საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№25 (354)
6 – 12 ივლისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



2 ლევან ვარშალომიძეს ფეხსაცმელი ესროლეს

# სტამბოლის აეროპორტი სააკაშვილის აგენტმა ააფეთქა? 4



«სხვადასხვა ქვეყანაში გამართული სასამართლო პროცესების დროს ჩატაევს ასე თუ ისე იცავდა ავსტრიაში მიღებული ლტოლვილის სტატუსი, სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ არასასურველია მისი გადაცემა რუსეთისთვის და ავტორიტეტული უფლებადამცველების მხარდაჭერა»

## რა აკავშირებს საქართველოსთან ახმედ ჩატაევს და ვის ხელშია თბილისის აეროპორტის დაცვის სისტემა? 5









გოგი თოფაძე:
## ოლანდი, მერკელი, ობამა უარს გვეუბნებიან, ჩვენ კი ქალბატონ თინას უნდა დავუჯეროთ? 6

## რატომ არ შემოუშვეს საქართველოში რუსულ-ქართული ურთიერთობების ექსპერტი და ვინ აკონტროლებს საზღვარს აჭარაში 3



«რომელ ისტორიულ არჩევანზეა საუბარი, რომელ ქართველ მეფეს ერქვა მეფე ევროპისა?!» 8



სოსო რობაქიძე: ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც «ნაციონალებს» მხარს დაუჭერს, პოლიტიკურად გაკოტრდება 9



«ნატოს ჯარი რომ შემოვიდეს, ამას რაც მოჰყვება, გათვითცნობიერებული გვაქვს?!» 12

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სურსათის სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს

**სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, თავი შეიკავოს სურსათის შეძენისაგან ისეთ ადგილებში, სადაც არ არის დაცული შენახვისა და რეალიზაციის სათანადო პირობები.** „ტემპერატურის მატების გამო გარე ვაჭრობის ადგილებში განსაკუთრებით საშიშია მაღალი რისკის შემცველი სურსათის — ხორცის და ხორცპროდუქტების, თევზის, რძის და რძის ნაწარმის, მალფუჭებადი საკონდიტრო პროდუქტების შეძენა.

სურსათის ეროვნული სააგენტო გაფრთხილებთ, არასათანადო პირობებში განთავსებული სურსათი საფრთხეს უქმნის თქვენს ჯანმრთელობას!" — ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



## შვედ გოგონებს მიგრანტებმა «კელნის ღამე» მოუწყვეს

**შვედეთის ქალაქ კარლსტადში მუსიკალური ფესტივალის დასრულების შემდეგ პოლიციაში 24 განცხადება შევიდა სექსუალური ძალადობის შესახებ, მათ შორის 12 წლის გოგონას გაუპატიურების მცდელობაზეც. მიგრანტებმა ახალგაზრდა შვედ ქალებზე ნადირობა მოაწყვეს.**

„საუბარია ახალგაზრდა ლტოლვილების 7-8-კაციან ჯგუფებზე, რომლებიც გარს ერტყმოდნენ გოგონებს და ხელებს უფათურებდნენ. ამ ჯგუფების წევრთა უმრავლესობა არასრულწლოვანია. ზოგიერთი ლტოლვილთა თავშესაფარში ცხოვრობს." — განუცხადა პოლიციელებს ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც შვედ გოგონაზე თავდასხმას შეესწრო. სამართალდამცველებმა შეძლეს 2 მოძალადის დაპატიმრება.

მეორე ფესტივალიდან კი, რომელიც ქალაქ **ნორჩეპინგში** გაიმართა, პოლიციელებმა გაუპატიურების 5 შემთხვევაზე მიიღეს განცხადება.

„ასეთი რამ, ადრე არასოდეს მომხდარა, ეს ყველაფერი შარშან დაიწყო სტოკჰოლმში, შემდეგ გავრცელდა სხვა ფესტივალებზეც". — განაცხადეს შვედეთის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა.

**2015 წლის 31 დეკემბრის ღამეს გერმანიის ქალაქ კელნში მიგრანტები მასობრივად დაესხნენ თავს გერმანელ ქალებს.** ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილები მხოლოდ სექსუალური ძალადობით არ შემოფარგლულან, ისინი მსხვერპლს ფულსა და ძვირფასეულობასაც ართმევდნენ. ზოგიერთი მონაცემით, ახალი წლის ღამეს კელნში ათობით გერმანელი ქალი გააუპატიურეს, გერმანიის ხელისუფლება კი მომხდარის მიჩქმალვას შეეცადა.



## ლევან ვარშალომიძეს ფეხსაცმელი ესროლეს — ინციდენტი სარფში

**აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე საქართველოში დაბრუნდა — ქვეყანაში სარფის საბაჟო პუნქტის გავლით შემოვიდა.**

ვარშალომიძის დასახვედრად „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები და ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეუღლე **სანდრა რულოვსი** მივიდნენ. სარფში მცირე ინციდენტიც მოხდა — ერთმა მამაკაცმა ლევან ვარშალომიძეს ფეხსაცმელი ესროლა, რის გამოც, წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. ვარშალომიძე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში აპირებს მონაწილეობას.

## «როგორც ყველა მხდალი, სააკაშვილი მოლაშვილის მსგავს ძლიერებს არ მიუტევებდა»

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ სულხან მოლაშვილის მიმართ მიხეილ სააკაშვილი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.**



„სულხან მოლაშვილი იყო ერთ-ერთი წარმატებული და პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელსაც ვიცნობდი 1990-იანი წლებიდან, როდესაც პარლამენტარი ვიყავი. ის იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ იყო კონტროლის პალატის თავმჯდომარე... ის განიხილებოდა შეიძლება, პრეზიდენტის მემკვიდრედაც კი... ალბათ, ესეც იყო გალიზიანების მიზეზი იმ მტრობისა, რომელიც სააკაშვილის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ გადაიზარდა სულხან მოლაშვილის დევნაში.

როგორც ყველა მხდალი კაცი, სააკაშვილი არ მიუტევებდა თავისზე ძლიერებს და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ სააკაშვილი, ისევე, როგორც მხდალი ადამიანი, სულხან მოლაშვილის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა და მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც იმყოფებოდა ეს მთასავით კაცი", — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა და დასძინა,რომ ასეთი სისასტიკის არქიტექტორები ხელისუფლებას აუცილებლად უნდა დაესაჯა.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი პარიზში 29 ივნისს გარდაიცვალა.

## ობამას იმპერიალიზმი — 800 სამხედრო ბაზა მსოფლიოში

**ამერიკულმა გამოცემა AlterNet-მა აშშ-ს ხელისუფლება უამრავი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო გააკრიტიკა.**



პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** შეიძლება გახდეს ისტორიაში პირველი ლიდერი, რომლის ხელისუფლებას სათავეში ყოფნის ორი ვადის განმავლობაში აშშ გამუდმებით იყო ჩართული სამხედრო კონფლიქტებში, რაც ხელს სულაც არ უშლის სახელმწიფო მდივან **ჯონ კერის,** იტრაბახოს ვაშინგტონის „ჩართულობით" უფრო მეტი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

28 ივნისს The Aspen Ideas Festival-ზე სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი შეეცადა, ჩაეცხრო დამსწრე საზოგადოების შეშფოთება მსოფლიოში არეულობების სულ უფრო მზარდი რაოდენობის გამო და საკმაოდ უცნაური რამ განაცხადა:

„სრული პასუხისმგებლობით ვეუბნები თითოეულ თქვენგანს: აშშ უფრო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის საქმეებში და ამას უფრო მეტი ძალისხმევით აკეთებს, ვიდრე ეს ხდებოდა ოდესმე ამერიკის ისტორიაში".

კერიმ მიანიშნა, რომ, როცა ლაპარაკობდა „მონაწილეობაზე", უნდა ეგულისხმათ მხოლოდ ერთი რამ: **ომი.**

**ამჟამად აშშ-ს უცხოეთში ყველაზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს, ვიდრე ნებისმიერ ხალხს, ქვეყანასა თუ იმპერიას ოდესმე ჰქონია კაცობრიობის ისტორიაში. 800 ამერიკული სამხედრო ბაზა მიმოფანტულია მსოფლიოში... 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმები განლაგებული იყო 135 ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ მსოფლიოს სახელმწიფოების 70%-ში. ამჟამად აშშ პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას გაჩაღებულ 74 კონფლიქტში**

**ამჟამად აშშ-ს უცხოეთში ყველაზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს, ვიდრე ნებისმიერ ხალხს, ქვეყანასა თუ იმპერიას ოდესმე ჰქონია კაცობრიობის ისტორიაში. 800 ამერიკული სამხედრო ბაზა მიმოფანტულია მსოფლიოში,** ამერიკის მიწაზე კი არც ერთი უცხოური სამხედრო ბაზა არ არის. ამასთანავე, სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობის პრესმდივანმა **კენ მაგროუმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმები განლაგებული იყო 135 ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ მსოფლიოს სახელმწიფოების 70%-ში.**

**ჯორჯ ბუში-უმცროსის** ადმინისტრაციის პერიოდში კი ამერიკული სპეცრაზმები დაახლოებით 60 ქვეყანაში იყო დისლოცირებული. აშშ-ის კონტროლის პალატამ დაასკვნა, რომ სპეცოპერაციის ძალების დაფინანსება 2001 წელს 3 მილიარდი დოლარიდან 10 მილიარდამდე გაიზარდა 2014 წელს.

დღეს აშშ-ის არმია განლაგებულია 5 კონტინენტის ათეულობით ქვეყანაში. პენტაგონი მსოფლიოში უდიდესი არენდატორია და მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზები აქვს **ბაჰრეინში, ჯიბუტიში, თურქეთში, ყატარში, საუდის არაბეთში, ქუვეითში, ერაყში, ავღანეთში, კოსოვოში, ყირგიზეთში,** ამას



უნდა დავუმატოთ მისი ძველი ბაზები **გერმანიაში, სამხრეთ კორეაში, იტალიასა** და **დიდ ბრიტანეთში.** მათგან ზოგიერთი უზარმაზარია, მაგალითად, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ბაზა **ელ-უდეიდში** (ყატარი), რომელიც ახლახან უფრო გაფართოვდა — ახლა იქ 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 120 თვითმფრინავია. **ამჟამად აშშ პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას გაჩაღებულ 74 კონფლიქტში.**

კერი, რა თქმა უნდა, მართალია, როცა ამბობს, რომ დღეს ამერიკის ვალდებულებები გაცილებით ფართოა, ვიდრე უწინ იყო. მაგრამ, რადგან სამხედრო ინტერვენცია ხელს უწყობს კრიზისების გამწვავებას და მათ გადაზრდას ფართომასშტაბიან კონფლიქტებში, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში, კერის ნართაული ნათქვამის გამო მშვიდად ვერავინ იქნება.

**„ეს სამწუხარო ეპიზოდი და რუსულ-ქართული ურთიერთობები მთლიანობაში — თავისი მასშტაბით, არათანაზომიერი მოვლენებია. ვფიქრობ, ეს არ იქნება სიგნალი იმისა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები სააკაშვილისდროინდელს უბრუნდება. დარწმუნებული ვარ, ამგვარი რამ არც ერთ ქვეყანას არ სურს“.**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ შემოუშვეს საქართველოში რუსულ-ქართული ურთიერთობების ექსპერტი და ვინ აკონტროლებს საზღვარს აჭარაში

**29 ივნისს საექსპერტო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ბათუმის აეროპორტში ჩამოსული საერთაშორისო დონის ექსპერტი საქართველოში არ შემოუშვეს. რატომ ჩაიკეტა საქართველოს საზღვარი რუსულ-ქართული ურთიერთობების ექსპერტისთვის და კონტროლდება თუ არა აჭარაში საზღვარი “ნაციონალური მოძრაობის” მითითებების მიხედვით? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ ნიკოლაი სილაევს ესაუბრა.**



**— რა მიზნით ეწვიეთ საქართველოს?**

— მონაწილეობა უნდა მიმეღო საექსპერტო შეხვედრაში, რომელიც იმართებოდა დიალოგის ფარგლებში — **„რუსეთისა და საქართველოს თანამშრომლობა ეკონომიკის სფეროში: შესაძლებლობები და პერსპექტივები“.** შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი ICCN (International Center on Conflict and Negotiation). ეს საერთაშორისო ცენტრი ცნობილი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წლის შემოდგომიდან მხარს უჭერს რუსულ-ქართულ საექსპერტო დიალოგს ამა თუ იმ ფორმატში. შეხვედრა დაფინანსებული იყო ICCN-ის გრანტიდან, რომელიც შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო ურთიერთობათა ფედერალური დეპარტამენტის ადამიანის უსაფრთხოების სექციამ გამოყო.

შეხვედრაზე უნდა წარვმდგარიყავი მოხსენებით რუსულ-ქართული სავაჭრო ურთიერთობების ფოკუსჯგუფების შესახებ. მე ვამზადებდი ამ ფოკუსჯგუფს, ვიყავი მოდერატორი და დავწერე ანგარიში. ანალოგიური ანგარიში, თავის მხრივ, ქართველ კოლეგებსაც უნდა წარმოედგინათ. შეხვედრაზე დაგეგმილი იყო შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობაც.

**— რა მოხდა ბათუმის აეროპორტში?**

— 29 ივნისს ბათუმის აეროპორტის საპასპორტო კონტროლის წარმომადგენლებმა საქართველოში შემოსვლაზე უარი მითხრეს. უარის მიზეზი არ განუმარტავთ, შემოსვლაზე უარის შესახებ **აქტიც კი არ შეუდგენიათ.** 2013 წლის თებერვლიდან სამ წელიწადნახევრის განმავლობაში არასოდეს შემქმნია საქართველოში შემოსვლის პრობლემა, მიუხედავად ჩემი ხშირი ვიზიტებისა. ახლა კი გაუგებარი მიზეზით ამიკრძალეს შემოსვლა. **მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ რუს საერთაშორისო ექსპერტს ქვეყანაში შემოსვლაზე უარი განუცხადა.**

**— როგორ ახსნა ეს საქართველოს სასაზღვრო სამსახურმა?**

— ამგვარი ქმედებებისას სასაზღვრო სამსახური არ იძლევა ახსნა-განმარტებას. ერთ-ერთმა ოფიცერმა მითხრა, რომ აკრძალული აქვს რაიმეს ახსნა. სასაზღვრო სამსახურის ოფიცრების სიტყვიერი დაპირებით, გადმომცემდნენ წერილობითი ახსნა-განმარტებას შემოსვლაზე უარის აქტის სახით, რომელშიც უარის მიზეზი იქნებოდა აღწერილი, მაგრამ მათ სიტყვა არ შეასრულეს. ეს აქტი პასპორტთან ერთად უნდა გადასცემოდა ეკიპაჟს იმ თვითმფრინავისა, რომლითაც ადამიანს აბრუნებენ საკუთარ ქვეყანაში. ავიაკომპანია S7-ის თვითმფრინავის ეკიპაჟს კი აქტი არ მიუღია — ეს ორჯერ შევამოწმე.

**— როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აკრძალული გქონდათ საქართველოში ჩამოსვლა, რაიმე პარალელს ხომ ვერ ხედავთ?**

— მართლაც, 2009 წლის დეკემბრიდან 2013 წლის იანვრამდე აკრძალული მქონდა საქართველოში ჩამოსვლა. ეს აკრძალვა, რომელიც საქართველოს მთავრობამ **მიხეილ სააკაშვილის** მმართველობის პერიოდში შემოიღო, ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაუქმდა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ **ბოლო სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში და ამა წლის 29 ივნისამდე არანაირი პრობლემა არ შემქმნია თბილისის აეროპორტში საზღვრის გადაკვეთისას, ბათუმში კი პირველად ჩამოვფრინდი და იგივე განმეორდა, რაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში.**

სამწუხაროდ, პარალელებს ვხედავ. როგორც მოგახსენეთ, ეს სააკაშვილის მმართველობის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც რუს საერთაშორისო ექსპერტს ქვეყანაში შემოსვლა აეკრძალა. აღვნიშნავ, რომ უკვე დიდი ხანია, ვმუშაობ რუსულ-ქართული ურთიერთობების სფეროში, ვმონაწილეობდი რუსულ-ქართული დიალოგის ძალიან ბევრ პროექტში, ზოგიერთი ამგვარი პროექტი თვითონაც განმიხორციელებია ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობით. ეს ღია, საჯარო საქმიანობაა, რომლის შესახებაც მშვენივრადაა ინფორმირებული ქართველი საზოგადოება და საქართველოს ხელისუფლება. **შემოსვლაზე უარის თქმით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოფიციალური თბილისი აღარ არის დაინტერესებული ამგვარი დიალოგით, რუსულ და ქართულ საზოგადოებებს შორის ურთიერთგაგების ზრდით. მე არ მინდა ასეთი დასკვნის გამოტანა.**

**— როგორ შეიძლება სიტუაციის გამოსწორება?**

— ვიმედოვნებ, რომ ეს გაუგებრობაა, რომელიც მალე გამოსწორდება.

**«ბოლო სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში და ამა წლის 29 ივნისამდე არანაირი პრობლემა არ შემქმნია თბილისის აეროპორტში საზღვრის გადაკვეთისას, ბათუმში კი პირველად ჩამოვფრინდი და იგივე განმეორდა, რაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში»**

**— ეს სიტუაცია ხომ არ იმოქმედებს რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე და თუ იმოქმედებს, როგორ?**

**—ეს სამწუხარო ეპიზოდი და რუსულ-ქართული ურთიერთობა მთლიანობაში — თავისი მასშტაბით, არათანაზომიერი მოვლენებია. ვფიქრობ, ეს არ იქნება სიგნალი იმისა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობა სააკაშვილისდროინდელს უბრუნდება. დარწმუნებული ვარ, ამგვარი რამ არც ერთ ქვეყანას არ სურს.**

ხაზს გავუსვამ, რომ **საქმე მხოლოდ რუსულ-ქართულ ურთიერთობას კი არ ეხება, არამედ საქართველოსა და შვეიცარიის ურთიერთობასაც.** შემოსვლაზე უარი ეთქვა მონაწილეს იმ საექსპერტო შეხვედრისა, რომელიც ორგანიზებული იყო შვეიცარიის დიპლომატიური უწყების მიერ და ტარდებოდა შვეიცარელი დიპლომატების მონაწილეობით. გამოდის, რომ ქვეყანას, რომელმაც დაიკისრა საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე — მოსკოვსა და თბილისს შორის შუამდგომლობა, საქართველოში „სხვა“ ხალხი ჩამოჰყავს?

**— ამ სიტუაციიდან რა გამოსავალს ხედავთ?**

— რუსეთისა და საქართველოს მეზობლობა გეოგრაფიული მოცემულობაა. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია, რომ ეს მეზობლობა იყოს კეთილგანწყობილი. **ჩვენს ქვეყნებს აქვთ სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირებები, მაგრამ დიალოგზე უარის თქმა ნიშნავს, რომ წინააღმდეგობები უსასრულოდ გაგრძელდება.** მე მოვუწოდებ, რომ არ მოხდეს რუსეთსა და საქართველოს შორის საექსპერტო დიალოგის პოლიტიზება. დაე, იგი განვითარდეს სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მონაწილეებით, სხვადასხვა შინაარსით, — აზრების მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვნობაში ჩნდება ახალი იდეები ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მივიღებ თუ არა ამ საქმიანობაში მონაწილეობას — ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია, რომ არ დაიკარგოს ნდობა, რომელიც ორი ქვეყნის საზოგადოებებს შორის გაჩნდა ბოლო წლებში, არ დაინგრეს ურთიერთგაგება, რომელიც ნელ-ნელა ჩნდება ჩვენი დიპლომატების ძალისხმევით. ვგულისხმობ **გრიგორი კარასინსა** და **ზურაბ აბაშიძეს**, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ასევე ვგულისხმობ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საექსპერტო საზოგადოებას. ეს ძალიან ფაქიზი ქსოვილია, რომლის მოქსოვაც რთულია, ხოლო გაგლეჯა — მარტივი. მოდი, გავუფრთხილდეთ მას.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა ამ კითხვებზე პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიეღო, მაგრამ ჩვენი წერილი უპასუხოდ დარჩა.**



# პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა უკრაინას მოუწოდა, თავი დაანებოს ნატოში გაწევრებაზე ოცნებას

**პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ უკრაინას მოუწოდა, აღარ იოცნებოს ნატოში გაწევრებაზე, თანაც, დააზუსტა, რომ კიევის ასეთი გეგმის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. იუწყება „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“.**



პოლონეთის ექსპრეზიდენტმა ვარშავაში კერბერის სახელობის ფონდის მიერ გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, ნატოში უკრაინის შესვლის უპერსპექტივობის გარდა, პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და მოლდოვას უსაფრთხოებაზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ 8-9 ივლისს ვარშავაში გამართულ ნატოს სამიტზე ამ ქვეყნებში ინტერნაციონალური ბატალიონების გაგზავნის შესახებაც მიიღებენ გადაწყვეტილებას.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც შს მინისტრის მოადგილე, გენერალი კაცი (მართალია, სააკაშვილმა ამ წოდებას ფასი დაუკარგა, მაგრამ მაინც) ვინმეს გადმოიბირებ და შემდეგ ის შენს წინააღმდეგ წავა, თანაც ისე, რომ ამას მასშტაბური სისხლისღვრა, საერთაშორისო სკანდალი, სირცხვილი და თავის მოჭრა მოყვება, სულ ცოტა, შენს არაპროფესიონალიზმზე უნდა დაფიქრდე.**

# სტამბოლის აეროპორტი სააკაშვილის აგენტმა ააფეთქა?

**„რამდენიმე წლის წინათ მე გადმოვიბირე ჩატაევი, რომელიც იყო კარგი ინფორმატორი და მომლაპარაკებელი ისლამისტურ იატაკქვეშეთთან ჩრდილოეთ კავკასიაში."—განუცხადა გასულ კვირას „დეილი ბესტს" საქართველოს შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და ოდესის ოლქის პოლიციის ამჟამინდელმა უფროსმა გიორგი ლორთქიფანიძემ. ის, შესაძლოა, ჯერ კიდევ ვერ ხვდება რამხელა პრობლემა შეიძლება შეექმნას მას და მიხეილ სააკაშვილს ამ ეპიზოდის გამო. როდის და რატომ დაიწყო თანამშრომლობა მათსა და იმ ადამიანს შორის, რომელსაც თურქული მედია, სამართალდამცავ ორგანოებში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით, ათათურქის სახელობის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორად ასახელებს?**

ის ფაქტი, რომ გიორგი ლორთქიფანიძე, ზემდგომთა დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით აწარმოებდა რაღაც მოლაპარაკებებს „ისლამისტურ იატაკვეშეთთან" აუცილებლად მოექცევა თურქული, რუსული და წამყვანი დასავლური სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში **ჩატაევს** მედიაში ხშირად უწოდებდნენ ე.წ. კავკასიის იმარატის ლიდერის, **დოკუ უმაროვის** წარმომადგენელს ევროპის ქვეყნებში. 2011 წლის 11 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ დოკუ უმაროვი "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ტერორისტების სიაში შეიყვანა, 2010 წლის 23 მარტიდან ის მოხსენებულია აშშ-ს საერთაშორისო ტერორისტების სიაში, 2011 წლის 26 მაისს სახელმწიფო დეპარტამენტმა „კავკასიის იმარატი" ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. **თუ ლორთქიფანიძის მიერ ნახსენებ „იატაკქვეშეთში" იმარატის სტრუქტურები იგულისხმება, ეს ნიშნავს, რომ ის საერთაშორისო ტერორისტებთან ჩატაევის მეშვეობით ურთიერთობდა. შესაძლოა, ლორთქიფანიძე, უბრალოდ, ვერ აცნობიერებს რა თემაზე საუბრობს, ან კიდევ, ახლო აღმოსავლეთში რომ იტყვიან, „გუანტანამო მოენატრა".**

მართალია, „დეილი ბესტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კონტაქტს ჩატაევსა და ისლამისტებთან ლორთქიფანიძე საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების პრევენციის აუცილებლობით ხსნის, მაგრამ ის, რაც შემდგომ ლაფანყურში მოხდა ამ ჩარჩოს აშკარად გასცდა. ახმედ ჩატაევი ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში სწორედ მაშინ მოექცა. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც აღწერილია სისხლიანი მოვლენების პრელუდია, კერძოდ ის, რომ 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან: „საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. კორიდორს ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას. მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად საბურთალოს რაიონში) დაიქირავეს ბინები. საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო." — აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშში („ინტერპრესნიუსი"). იქვე ნათქვამია, რომ **ამის შემდეგ საქართველოში დაახლოებით 120 ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მებრძოლი ჩამოვიდა.**

ძნელი სათქმელია, რა როლს ასრულებდა ახმედ ჩატაევი იმ ეტაპზე, ამაზე, სხვადასხვა ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვისაუბროთ. მაგრამ აშკარაა, რომ ყოველივე ზემოთქმული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კანონის აშკარა დარღვევაზე მიანიშნებს და გამოსაძიებელია. გასული წლის იანვარში ყოფილმა პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, რომ „ლაფანყურის საქმის გამოძიება პრაქტიკულად ბოლომდეა მიყვანილი" და აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ამ მოვლენების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისიის შექმნა ეფექტიანი ვერ იქნებოდა. გავიდა წელიწად-ნახევარი, მაგრამ **იმ „პრაქტიკულად დასრულებულ გამოძიებას" დღემდე არანაირი რეალური შედეგი არ მოუტანია და ეს, ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ სააკაშვილი და ლორთქიფანიძე აქეთ სდებენ ბრალს საქართველოს ხელისუფლებას, ტერორისტებს ხელს უწყობსო. ბოლომდე არგამოძიება უმძიმესი შემთხვევისა, რომელმაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხელისუფლების უსუსურობასა და უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს.**



გიორგი ლორთქიფანიძე



ახმედ ჩატაევი

**თუ ლორთქიფანიძის მიერ ნახსენებ «იატაკქვეშეთში» იმარატის სტრუქტურები იგულისხმება, ეს ნიშნავს, რომ ის საერთაშორისო ტერორისტებთან ჩატაევის მეშვეობით ურთიერთობდა. შესაძლოა, ლორთქიფანიძე, უბრალოდ, ვერ აცნობიერებს რა თემაზე საუბრობს, ან კიდევ, ახლო აღმოსავლეთში რომ იტყვიან, «გუანტანამო მოენატრა»**

გასული წლის აპრილში **მანსურ შუდინოვმა**, რომელიც, მისი თქმით, ლოპოტას ხეობაში განადგურებული რაზმის წევრი გახლდათ, გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, სადაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ნათქვამი იყო, რომ მებრძოლები საქართველოში ჩატაევსა და უმაროვს ჩამოჰყავდათ. ამასთანავე, **მან თქვა, რომ ბოლო მოლაპარაკებაზე მათ რაზმთან ჩატაევი ქართველ ძალოვნებთან ერთად მივიდა.** იმაზე, რაც შემდეგ მოხდა რამდენიმე ვერსია არსებობს. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, **სააკაშვილის ძალოვნებმა ჩატაევს ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებთან მოლაპარაკებებში შუამავლობა სთხოვეს, რაც დაადასტურა ლორთქიფანიძემ ამა წლის 2 ივლისს „რუსთავი 2"-ის ეთერში, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, მისი ლიკვიდაცია სცადეს (დაიჭრა, მაგრამ გადარჩა).**

კიდევ ერთი საინტერესო ციტატა სახალხო დამცველის მოხსენებიდან: **„ჩეჩენი მებრძოლების ნაწილი თანდათან კარგავდა ნდობას საქართველოს ხელისუფლებისა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიმართ. ახლოვდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარება თანდათან იძაბებოდა და ჩეჩენ მებრძოლებში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, დაგეგმილზე მეტი ხნით საქართველოში მათი გაჩერების მიზეზი დაკავშირებული ყოფილიყო არჩევნებთან და საარჩევნო პროცესებში რაიმე სახით მათ გამოყენებასთან".** კომენტატორების ნაწილი თვლის, რომ სააკაშვილი „ჩრილოკავკასიურ ლეგიონს" რუსეთის წინააღმდეგ ქმნიდა, მაგრამ საგულისხმოა, რომ აგვისტოს ომიდან 2012 წლამდე (ანუ, ვიდრე ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე არ იგრძნო) ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. ასე რომ, კითხვა იმის თაობაზე ჩეჩნეთში აპირებდა ამ რაზმის გამოყენებას თუ საქართველოში, კვლავინდებურად უპასუხოა. თუ ჩეჩნეთში უშვებდა (ამას რუსების ძალიან ხისტი პასუხი მოყვებოდა), რატომ უთხრა უარი „დერეფანზე" ბოლო მომენტში? შესაძლოა, სააკაშვილმა ვერ გათვალა, რომ რაზმის მებრძოლები, განსაკუთრებით კი პანკისელი ქისტები, მისი ფსიქიატრიული დიქტატურის შენარჩუნების გამო ქართველებს არ დაუპირისპირდებოდნენ.

„მაგრამ **შემდეგ ის (ჩატაევი) ჩვენ წინააღმდეგ წავიდა და დავაპატიმრეთ."** — განუცხადა „დეილი ბესტს" ლორთქიფანიძემ. საერთოდ, როდესაც შს მინისტრის მოადგილე, გენერალი კაცი (მართალია, სააკაშვილმა ამ წოდებას ფასი დაუკარგა, მაგრამ მაინც) ვინმეს გადმოიბირებ და შემდეგ ის შენს წინააღმდეგ წავა, თანაც ისე, რომ ამას მასშტაბური სისხლისღვრა, საერთაშორისო სკანდალი, სირცხვილი და თავის მოჭრა მოყვება, სულ ცოტა, შენს არაპროფესიონალიზმზე უნდა დაფიქრდე. **რა გადმობირება, რის ოპერატიული თამაშები? ლორთქიფანიძემ მოჯაჰედები კი არა, ოდესელი ქურდბაცაცები და ხულიგნები ვერ დაიმორჩილა, უკრაინის გენპროკურორის იური ლუცენკოს თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დანაშაულის რაოდენობამ ოდესის ოლქში კატასტროფულად მოიმატა (სტატისტიკურად უკრაინაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ამ ოლქშია).**

რა თქმა უნდა, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ზოგიერთ თემაზე შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვიმსჯელოთ. მაგრამ თურქეთის (და არამხოლოდ) სპეცსამსახურები სტამბოლის ტერაქტის გამოძიების პროცესში, ალბათ, შეამოწმებენ გაწყდა თუ არა კავშირი ლორთქიფანიძესა და ჩატაევს შორის 2012-ში. **იქნებ სააკაშვილმა და ლორთქიფანიძემ ჩათვალეს, რომ „ისლამისტურ იატაკვეშეთთან" კომუნიკაცია უნდა შეინარჩუნონ და ოდესის ოლქში ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს ბინები და საწვრთნელი ბაზები გამოუყონ, როგორც ეს, ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, საქართველოში გააკეთეს.**

თურქი გამომძიებლები შეიძლება ჩატაევის ქართული კავშირებით დაინტერესდნენ და, გამორიცხული არ არის, რომ სააკაშვილმა სწორედ ამიტომ დაიწყო ყვირილი, ჩატაევი ივანიშვილმა გაათავისუფლაო. მაგრამ საქმე ის არის, რომ წარსულში ჩატაევი გაათავისუფლეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბულგარეთშიც. ის ციხეში არც უკრაინიდან საქართველოში დეპორტაციის შემდეგ გამოუმწყვდევიათ (სააკაშვილის მმართველობის წლებში). ამ ეპიზოდზე პარლამენტის თავდაცვისა და და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა „რუსთავი 2"-ის ეთერში განაცხადა: „ჩატაევი უკრაინაში დააკავეს... საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა რა საჭიროდ ამ პირის გამოყენება პირადი მიზნებისთვის, მას უცებ შეუკერეს საქართველოში საქმე და დააბრალეს, რომ თითქოს ვიღაც ადამიანი მოკლა საქართველოში, როდესაც შესაბამისი დოკუმენტებით მტკიცდებოდა, რომ ის საქართველოში მანამდე არასდროს ყოფილა. ჩამოიყვანეს უმოკლეს ვადებში, სულ რაღაც, საათებში, მოუხსნეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ამ გზით გახდა საქართველოს უშიშროების აგენტი".

საზოგადოდ კი, **სხვადასხვა ქვეყანაში გამართული სასამართლო პროცესების დროს ჩატაევს ასე თუ ისე იცავდა ავსტრიაში მიღებული ლტოლვილის სტატუსი, სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ არასასურველია მისი გადაცემა რუსეთისთვის და ავტორიტეტული უფლებადამცველების მხარდაჭერა.** რაც მთავარია, იმხანად ის არ იყო შეყვანილი საერთაშორისო ტერორისტების სიაში (ეს 2015-ში მოხდა), თანაც, 2012-ში ბრალდება აშკარად თეთრი ძაფით იყო ნაკერი. „კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ცნობით, „ჩატაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში, რომელსაც კუდ-ი იძიებდა, შსს-ს 3 მოწმე ჰყავდა, მესაზღვრეები: **გიორგი კერესელიძე, ბადრი ტყემალაძე და გოგი აივაზაშვილი.** სამივე ლაფანყურის სასაზღვრო სექტორში მუშაობდა. ისინი ჩვენებებში აცხადებდნენ, რომ, ჩატაევი დაკავებისას შეიარაღებული იყო. ჩატაევმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. 2012 წლის 24 ოქტომბერს, „კახეთის საინფორმაციო ცენტრთან" ინტერვიუში (ფარული ჩაწერა) მოწმე გიორგი კერესელიძემ განაცხადა, რომ ახმედ ჩატაევი მათ თავად ჩაბარდა და არანაირი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობა არ ჰქონია. მისი თქმით, ჩატაევის ჩაბარების შემდეგ სამივე მესაზღვრე კუდ-ში დაიბარეს და ჩვენებებზე ხელმოწერა იქ დაავალეს. რაც შეეხება ბადრი ტყემალაძეს, მისი თქმითაც, ჩატაევს ხელყუმბარები არ ჰქონია".

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაუშვა უმძიმესი შეცდომა, როდესაც ლაფანყურის მოვლენების გამოძიება ბოლომდე არ მიიყვანა. მხოლოდ სტამბოლის ტერაქტმა აიძულა, ამ თემით კიდევ ერთხელ დაინტერესებულიყო. ცხადია, არ არსებობს იმის გარანტია, რომ 2012 წლის მოვლენები კვლავ დავიწყებას არ მიეცემა. თუ საზოგადოებას რეალური შედეგის მიღება და სიმართლის დადგენა სურს, ხელისუფლებაზე ზემოქმედება უნდა მოახდინოს.

**„ლადო დათაშვილი, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ტერორისტებთან, დღესაც საგამოძიებო სამსახურის უფროსია, ხოლო ოთარ ორჯონიკიძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „ოდეერია“, ამ ადამიანს აეროპორტის დაცვის სისტემის „გაყიდვა“ შეუძლია.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა აკავშირებს საქართველოსთან ახმედ ჩატაევს და ვის ხელშია თბილისის აეროპორტის დაცვის სისტემა?

**2016 წელს თურქეთი განსაკუთრებული ტერორის ქვეშ იმყოფება, 28 ივნისს სტამბოლში ათათურქის სახელობის აეროპორტში მოწყობილი ტერაქტი, რიგით მესამეა და საკმაოდ მასშტაბურიც. დაღუპულია 50-მდე ადამიანი, დაჭრილთა რაოდენობა კი 230-ს აჭარბებს. თურქულმა მედიამ ათათურქის აეროპორტში მომხდარი თავდასხმის ორგანიზებაში ეჭვმიტანილად ჩეჩენი ახმედ ჩატაევი დაასახელა. ის, როგორც ექსპერტები ამბობენ, “ისლამური სახელმწიფოს” წევრია. ჩატაევი ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაკავებულთა შორის ერთ-ერთია და სასჯელს საქართველოში იხდიდა. მას შემდეგ, რაც თურქეთში მომხდარ ტერაქტში ჩატაევიც მოიხსენიეს, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ წინა მთავრობისკენ გაიშვერა ხელი, სააკაშვილის ხელისუფლებამ კი „ოცნება“ დაადანაშაულა ჩატაევის ციხიდან გაშვების გამო.**
**რა აკავშირებს საქართველოსთან ახმედ ჩატაევს და შესაძლო იყო თუ არა, მას სტამბოლში მოწყობილ ტერაქტში მიეღო მონაწილეობა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ქართველ ექსპერტებს ვესაუბრეთ.**





## «პრემიერმა კვირიკაშვილმა სასწრაფოდ უნდა შექმნას ანიტერორისტული ბიურო»

**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი, ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალისტი:**

— ახმედ ჩატაევი ჩეჩნეთის ომში საველე მეთაური იყო, სპეცდანიშნულების რაზმის — იარმუკის ჯამაათის მეთაური. ის საქართველოში სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. 2009 წლიდან სააკაშვილმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ახმედ ჩატაევთან და არა მხოლოდ მასთან, სააკაშვილი „ალ-ქაიდასთანაც“ თანამშრომლობდა, ის ტერორიზმის ოფიციალური სპონსორი იყო — საშიში ტერორისტების მხარდამჭერი გახლდათ. ყოფილი პრეზიდენტი თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით ურთიერთობდა ტერორისტებთან. მას ეხმარებოდა კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, თავდაცვის სამინისტროს გარკვეული სტრუქტურები, მაგალითად, სამხედრო დაზვერვის სამსახური, ანიტერორისტული დეპარტამენტი. ყველა ამ უწყებას კოორდინაციას უწევდა შინაგან საქმეთა მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე**, რომელიც წარმოშობით პანკისიდანაა.

კოორდინატორთა შორის **ალი დუბაევი** და **ახმედ ჩატაევიც** იყვნენ. ალი დუბაევი, მეტსახელად „ზოოვი“ გამოაშკარავებული და დაპატიმრებული იყო თურქეთის სპეცსამსახურების მიერ. ის დღესაც იხდის სასჯელს — სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

სწორედ ეს ალი დუბაევი და ახმედ ჩატაევი მონაწილეობდნენ ლაფანყურის სპეცოპერაციის დაგეგმვაში. შესაძლოა, ჩატაევი არაფერ შუაშია, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება. როგორც გამოძიებამ მოგვიანებით დაადგინა, ჩატაევის დანაშაული არ იკვეთებოდა, მაგრამ ის გამოიყენეს.

სააკაშვილისდროინდელი სასამართლო ცდილობდა, წარმოეჩინა ისე, თითქოს დამნაშავეთა ჯგუფი რუსეთიდან საქართველოში გადმოდიოდა, მაგრამ ეს ასე არ იყო, პირიქით — დამნაშავეები საქართველოდან რუსეთში გადადიოდნენ, რაც ჩვენმა საგამოძიებო კომისიამაც დაადგინა.

ჩატაევის საქართველოში ჩამოყვანა ლორთქიფანიძის ინიციატივა გახლდათ, ამის მოწმეებიც არსებობენ. სპეცოპერაციისას ჩატაევი მძიმედ დაიჭრა, ფეხი დაკარგა და იძულებული შეიქნა, სამართალდამცავებს ჩაბარებოდა.

2012 წელს ახმედ ჩატაევი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. სასამართლომ ჰუმანურობა გამოიჩინა, თანაც, დანაშაული არ უმტკიცდებოდა. საქართველოდან ჩატაევი ავსტრიაში წავიდა და რეაბილიტაციის კურსი გაიარა. 2013-2014 წლებში ახმედ ჩატაევი „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე ჩავიდა და ამ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. მას ჩაბარებული აქვს ე.წ. კავკასიური ბიუროს მმართველობა. ყველა ოპერაცია კავკასიაში მის სახელს უკავშირდება.

**— რუსეთი ჩატაევის გადაცემას სთხოვდა საქართველოს, მაგრამ უარი მიიღო...**

— ის, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს, თურქეთში მომხდარ ტერაქტში რუსეთის ბრალი აღმოაჩინოს, „შეთქმულების თეორიის“ ნაწილი მგონია. ტერაქტებში რუსეთის მონაწილეობას გამოვრიცხავ. ზოგიერთი უვიცი ექსპერტი ამბობს, ტერაქტის შემდეგ „კალაშნიკოვი“ იპოვეს და ე.ი. რუსეთის ხელი ურევიაო. არადა, ის „კალაშნიკოვი“ იუგოსლავიური წარმოების იარაღია და გასარკვევია, იქ როგორ აღმოჩნდა...

**— რუსეთმა და თურქეთმა ურთიერთობა მოაგვარეს და, დიდი ალბათობით, ერთად იბრძოლებენ ტერორიზმის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო? ხომ შეიძლება, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველო გამოიყენოს, რათა ორივე მიმართულებით განახორციელოს შეტევა?**

— ათათურქის აეროპორტის აფეთქების შემდეგ საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან დიდია. მინდა, თქვენი ყურადღება ერთი მნიშვნელოვან გარემოებას მივაპყრო. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ახალი სტრატეგია შეიმუშავა. ტერაქტების მოწყობა დაიწყო გეოეკონომიკური გავლენის ცენტრებზე. თავს დაესხნენ „აბრეშუმის გზის“ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, შემდეგ — ორლანდოს, ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრს და ბოლოს — ათათურქის აეროპორტს, რომელიც უმნიშვნელოვანესი გეოეკონომიკური ცენტრია, არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ათათურქის აეროპორტი გადაზიდვების რაოდენობით ევროპაში მესამე ადგილზეა, თვეში 3 მილიარდი დოლარის ტვირთი გადააქვთ და მილიონობით ადამიანი გადაჰყავთ.

საქართველოც არის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ქვეყანა: სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებებით მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ, ჩვენს ქვეყანაზე გადის ჩრდილოეთ-სამხრეთის მნიშვნელოვანი საკვანძო არტერიებიც. აქედან გამომდინარე, „ისლამური სახელმწიფოს“ ეს დარტყმა უკანასკნელი არ იქნება. დარტყმები ყველა მიმართულებით არის მოსალოდნელი.

ასეთ რთულ ვითარებაში **საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის დასაცავად მზად არ არის. შესაძლოა, დაბალი დონის საფრთხეებს გავუმკლავდეთ, მაგრამ საშუალო და მაღალი დონის საფრთხეებთან ვერაფერს გავაწყობთ. არადა, საფრთხე რეალურია.**

**დღეს ხელისუფლებაში, თანაც, საკვანძო თანამდებობებზე სხედან ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდში ტერორისტებთან თანამშრომლობაში იყვნენ ეჭვმიტანილი. ამიტომ საფრთხე ორმაგია — შესაძლოა, ეს ადამიანები გამოიყენონ, დაზღვეული ნამდვილად არ ვართ.** ერთ-ერთი ადამიანი, სახელად **ლადო დათაშვილი**, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ტერორისტებთან, დღესაც საგამოძიებო სამსახურის უფროსია, ხოლო **ოთარ ორჯონიკიძე** თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „ოდეერია“ (მოქმედი რეზერვის ოფიცერი — ე.ნ), ამ ადამიანს აეროპორტის დაცვის სისტემის „გაყიდვა“ შეუძლია. წარმოგიდგენიათ, რამხელა საფრთხის წინაშე ვდგავართ? აერპორტში რომ ჩამოვიდეს ვინმე და ორჯონიკიძეს „ჯიჰადისტების“ მოკითხვა გადასცეს ან ჩატაევმა მოიკითხოს, როგორ ფიქრობთ, რას იზამს? სულ რაღაც 300 ათას დოლარად აეროპორტის დაცვის სქემას არ გაყიდის? გაყიდის, აუცილებლად გაყიდის და მერე ვიკითხავთ, რატომ დაგვემართა საშინელება.

კადრები აუცილებლად უნდა შეიცვალოს. **პრემიერმა კვირიკაშვილმა სასწრაფოდ უნდა შექმნას ანტიტერორისტული ბიურო და უმკაცრესად გააკონტროლოს.** აუცილებელია, აგრეთვე, აგენტურული ცენტრის შექმნა და ბოლოს — ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მუდმივი ანალიტიკური ცენტრის არსებობას. კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე არავინ მუშაობს, არასამთავრობოების მიერ ჩატარებული სამუშაოები საკმარისი არ არის, მთავრობა აქტიურად უნდა ჩაერიოს პროცესებში, მაგრამ ვინ? მთავრობა პრეზიდენტს არ ელაპარაკება, იმ მთავრობაშიც ვინ საით გარბის, არავინ იცის. ასე რომ, ქვეყანა საფრთხეშია, ხოლო საფრთხის თავიდან აცილების რეალური გეგმა და მზადყოფნა, არ არსებობს.



## «თურქეთში რაც მოხდა, იმის ჩამდენი ნამდვილად იყო ახმედ ჩატაევი»

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

— ახმედ ჩატაევი თავიდანვე ეზიარა ფუნდამენტალისტურ ისლამს, ახალგაზდა იყო, როდესაც დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ციხიდან გამოვიდა, ევროპას მიაშურა, ავსტრიამ მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა. დევნილის სტატუსის მოპოვების შემდეგ ჩატაევი ვეროპაში თავისუფლად გადაადგილდებოდა და დაკავებული იყო ახალგაზრდების გადაბირებით, რომლებსაც შემდეგ სირიაში გზავნიდა. მოგვიანებით, ის ჯერ შვედებმა, ხოლო შემდეგ ბულგარელებმა და უკრაინელებმაც დააპატიმრეს. მიზეზი, იარაღის უკანონო ტარება და გადატანა იყო. როდესაც ჩატაევი უკრაინელებმა დააპატიმრეს, სააკაშვილის ხელისუფლებამ რატომღაც მოინდომა, ის საქართველოსთვის გადმოეცათ. მოთხოვნას მოტივად დაედო, რომ ჩატაევს ოჯახი საქართველოში ჰყავდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. იმჟამინდელ ხელისუფლებას ჩატაევი რაღაცაში სჭირდებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ადამიანს საქართველოს მოქალაქეობა მისცეს და სპეცსამსახურებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა.

2012 წლიდან ჩატაევმა დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩეჩნებისა და ქისტების საქართველოში ჩამოყვანა და, როგორც „ლაფანყურის სპეცოპერაციაში“ გადარჩენილი ადამიანები ამბობენ, მათი გაწვრთნა, განსაკუთრებით — იდეოლოგიურ ნაწილში. „ლაფანყურის ოპერაციაში“ ჩატაევი უშუალოდ არ მონაწილეობდა, მას მთავრობამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად დაუძახა. ჩატაევი საქართველოს სპეცსამსახურების ოფიციალური თანამშრომელი არ იყო, ანუ ხელფასს არ იღებდა. „ლაფანყურის სპეცოპერაციიდან“ იმიტომ არ წამოვიდა, რომ მოღალატედ არ ჩაეთვალათ, თავად ასე განმარტავს. ჩატაევი შეტაკებაში მოყვა, დაიჭრა, ხევში ჩავარდა და 9 დღე იმალებოდა. მერე დაიჭირეს, გაასამართლეს და 2012 წელს ახლადმოსულმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა.

**— ახლა, როდესაც თურქეთში მომხდარ ტერაქტში ჩატაევიც მოიხსენიეს, მთავრობის წარმომადგენლები ხელს წინა ხელისუფლებისკენ იშვერენ, ხოლო ისინი პირიქით — ამჟამინდელი მთავრობისკენ... უნდა გაეთავისუფლებინათ თუ არა ჩატავი?**

— ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ჩატაევს არ გავუშვებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლება ძლიერ ზეწოლას განიცდიდა რუსეთის ხელისუფლებისგან მისი გადაცემის გამო. თანაც, ამ პიროვნებას უკვე ჰქონდა პოლიტიკური დევნილის სტატუსი, „ლაფანყურის ოპერაციისას“ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დასტურდებოდა, ისე, **ზუსტად ვიცი: თურქეთში რაც მოხდა, იმის ჩამდენი ნამდვილად იყო ახმედ ჩატაევი.** ეს ადამიანი არის „ისლამური დაჯგუფების“ ერთ-ერთი ამირა, თანაც, კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობს. თურქეთში ყველა არაბი აღრიცხვაზეა აყვანილი, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ტერაქტის დამკვეთმა ყურადღება ჩატაევზე შეაჩერა, ანუ ჩეჩნურ-კავკასიურ დაჯგუფებაზე.

**— დიდი საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა?**

— საფრთხე უდავოდ დიდია, მაგრამ თურქეთის ტერაქტი აქ არაფერ შუაშია. ეს პოლიტიკური ტერაქტი იყო. ტერორისტებმა იერიში მიიტანეს თურქეთის ყველაზე დაცულ ობიექტზე — ათათურქის აეროპორტზე, რომელიც თურქეთის სიმბოლოდ ითვლება, ამით მსოფლიოს უთხრეს – თურქეთის სპეცსამსახურები არაფრად ვარგა და ათათურქის სახელიც შეგვიძლია ტალახში ამოვსვაროთ. ტერაქტის ამოცანა ეს იყო. ამიტომ საქართველო არაფერ შუაშია, თუმცა ჩატაევს ჯიბეში საქართველოს პასპორტი ედო, ისევე, როგორც რუსეთისა და, შესაძლოა, ავსტრიისაც.

საქართველო დღეს იდეოლოგიური ტერორიზმის ქვეშ იმყოფება. რადიკალური ისლამის წარმომადგენლებმა ჩვენს ტერიტორიაზე ტაქტიკა შეცვალეს. ქადაგება, ემისრები, სოციალური ქსელები აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების გადასაბირებლად და, თუ აქამდე ერთ რეგიონში იყო მწვავე ვითარება, ახლა უკვე ოთხ რეგიონში გვაქვს პრობლემა.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მწამს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუდმივი კარნახისა და იძულებისგან გავთავისუფლდებით, შევქმნით ისეთ ძლიერ ეკონომიკას, რომლის გარეშე ნეიტრალიტეტი წარმოუდგენელია და, ბოლოს და ბოლოს, განვახორციელებთ ამ იდეას.“



## გოგი თოფაძე:
# ოლანდი, მერკელი, ობამა უარს გვეუბნებიან, ჩვენ კი ქალბატონ თინას უნდა დავუჯეროთ?

**ერთმა ცნობილმა ქართველმა პოეტმა საქართველოში შექმნილი ვითარება ასე ჩამოგვიყალიბა: დღეს მოვლენები ისე ვითარდება, რომ „საქმე მიჰყავთ თავისუფლებისგან გასათავისუფლებლად“. ეთანხმებით ამ ფორმულირებას, ბატონო გოგი? — ამ შეკითხვით ვიწყებ საუბარს ბატონ გოგი თოფაძესთან, პარლამენტართან, მეწარმესთან, მეცენატთან, მებრძოლ კაცთან, რომელიც ყოველთვის გამორჩეულია თავისი პრინციპულობითა და პირდაპირობით. დაფიქრდება, ვიყავით კი ოდესმე თავისუფალი ქვეყანა „ოქროს საუკუნის“ გარდაო, — მკითხავს და დაწვრილებით გამახსენებს საქართველოს ისტორიას.**

— თუ იგულისხმება ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული თავისუფლება, ასეთი თავისუფლებისგან გათავისუფლების მოწოდებას არა მხოლოდ უნდა დავეთანხმოთ, არამედ ჩვენი ყველა შესაძლებლობით ვიბრძოლოთ მისი რეალიზაციისთვის. **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ვერ ამოვისუნთქეთ თავისუფლად იმ მრჩევლების ხელში, რომლებიც შემოესივნენ საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში.**

**თავისუფლებისკენ დიდი ნაბიჯი კი გადავდგით 2012 წლის არჩევნების შედეგად, მაგრამ ყოფილებმა იმდენი პრობლემა დაგვიტოვეს, რომ გასული ოთხი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა სააკაშვილის ავგიას თავლების გასაწმენდად.**

— **არც ჩვენ აღმოვჩნდით ჰერკულესები...**

— ეგეც არის... მახსენდება ჩემი, **ზურაბ ტყემალაძისა** და ჩვენი გუნდის სხვა წევრების კამათი იმ დასავლელ მრჩევლებთან, მათ შორის, **შადმან ვალავისთან**, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ თურმე ისე ჩამოვრჩით თანამედროვე ტექნოლოგიებს, ტექნიკის პროგრესს, რომ საერთოდ ვერ შევძლებთ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, რომ ჩვენი ფუნქცია იქნება მხოლოდ ტურისტების მომსახურება და ხელისბიჭის ფუნქციის შესრულება.

— **ხოლო ჩვენი ბიჭები უნდა გავზარდოთ მშობლიური ამერიკის ინტერესებისთვის მებრძოლებად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.**

— დიახ, ასე იყო და, საუბედუროდ, აქეთ წაგვიყვანეს, განსაკუთრებით, ყოფილი ხელისუფლების 9-წლიანი პარპაშის პერიოდში. ამოვძირკვეთ ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის, მეჩაიეობის კულტურები, გავანადგურეთ ქართული მძიმე მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ა.შ. და ა.შ.

— **და ვაჭარ ერად ვიქეცით.**

— ვიქეცით კი? რასაც ვაჭრობას ვეძახით, იმას გადამყიდველობა ჰქვია: ვიყიდი იაფად, გავყიდი ძვირად.

უდიდესი შრომა გვჭირდება დღეს საიმისოდ, რომ ადამიანების ფსიქიკა შევცვალოთ, დავაბრუნოთ მათი გონება ტრადიციული ღირებულებებისკენ, ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ, რომელიც მამულიშვილურ მოვალეობასთანაა შერწყმული.

კი მივიღეთ ჩვენი ინიციატივით კანონი მთის რეგიონის შესახებ, თავისი პრიორიტეტებითა და შეღავათებით, მაგრამ უფრო მეტი გვინდოდა. კარგია, რომ პირველი ნაბიჯი გადავდგით. ამ მიმართულებით მუშაობას აუცილებლად განვაგრძობთ.

— **ფსიქიკის შეცვლა ახსენეთ. ეს ფსიქიკა ზოგიერთ მოხალისეს უკუღმართად შეეცვალა, თქვენ მოურიდებლად ამხილეთ ისინი. მათგან პირველი საქართველოს პრეზიდენტი მარგველაშვილი იყო: „მე ვამხილე პრეზიდენტი და ვთქვი, თუ რა განწყობა აქვს მარგველაშვილს სინამდვილეში ქართველი ხალხის მიმართ. ქართველი ერი არის უნიჭიერესი ერი, და შენი ხალხი, შენი ქვეყანა ასე რატომ უნდა დაახასიათო და დებილი უწოდო?!“ გიპასუხათ ამაზე?**

— რა უნდა ეპასუხა?! სხვა მოხალისეებმა გამოიდეს თავი და მათაც მიიღეს საკადრისი.

ქართველმა გლეხმა ვაზი რომ აჩეხა, ამას ერთგვარი გამართლება აქვს — ვერ შეინახა მოწეული მოსავლით ოჯახი. კილოგრამ ყურძენში 30 თეთრს რომ მოგცემენ, რისი გამკეთებელი ხარ? 40 ათას ჰექტრამდე ავჩეხეთ. შადმან ვალავი, რომელსაც უსიტყვოდ ენდობოდა ძველი ხელისუფლება, გვეუბნებოდა, რომ მეღვინეობის პროდუქტი მოხმარებაზე ორჯერ მეტი გაქვთ წარმოებული, ბაზარი არ გაგაჩნიათ და ვერ გაყიდითო. ამიტომ, მოგება რომ დაგრჩეთ, სოია მოიყვანეთო. გენმოდიფიცირებული სოიის პლანტაციების ქვეყნად უნდა გადაქცეულიყო, მისი გეგმით, ღვინის სამშობლო საქართველო.

აჩეხა გლეხმა ვაზი და დათესა საზამთრო. რუსეთიდან, ირანიდან იმდენი შემოიტანეს, რომ დაულპა ჩვენ მშრომელ კაცს საზამთრო. ხილბოსტნეულის რამდენი გადამამუშავებელი ქარხანა გვქონდა, ვაშლი ჩვენგან გაჰქონდათ — საექსპორტო საქონელი იყო. დღეს იმდენი ვაშლი არ გვაქვს, რომ საკონსერვო ქარხნები ავამუშაოთ.

— **ისინიც რომ გაიძარცვა და მოისპო?**

— სამწუხაროდ, მოისპო. ჩაიზე აღარ ვლაპარაკობ. რუსეთის ბაზრის 85 პროცენტი ჩვენი პროდუქციით იყო გაჯერებული... მიჰყიდეს ვიღაც თაღლითს ჩაის საუკეთესო პლანტაციები და კარგად აღჭურვილი ფაბრიკები.

**«დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ვერ ამოვისუნთქეთ თავისუფლად იმ მრჩევლების ხელში, რომლებიც შემოესივნენ საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში. თავისუფლებისკენ დიდი ნაბიჯი კი გადავდგით 2012 წლის არჩევნების შედეგად, მაგრამ ყოფილებმა იმდენი პრობლემა დაგვიტოვეს, რომ გასული ოთხი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა სააკაშვილის ავგიას თავლების გასაწმენდად»**

აირია ქვეყანა. ამ ქაოსურ ვითარებაში დაიბნა ბიზნესმენი, მეწარმე, გინდა ფერმერი. სახელმწიფოს არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული გეზი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების. ისე, როგორც წარმატებული ქვეყნების პრაქტიკაშია დანერგილი...

ძალიან ხომ არ გავერთე პასუხით?

— **არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ამასობაში ერთი შეკითხვა გამიჩნდა: ცნობილი ლოზუნგის, მოწოდებისა თუ დევიზის ავტორმა გოგი თოფაძემ, სოფლის მეურონეობაზე ამდენს რომ საუბრობს, ხომ არ შეცვალა უწინდელი პოზიცია — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“?**

— არა, რა თქმა უნდა. არა იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული (თუნდაც გადამმუშავებელი მრეწველობიდან გამომდინარე), რომ ერთმანეთისგან დაცილება ყოვლად გაუმართლებელია. უწინ ეს ორი მხარე, ეკონომიკის ორი შემადგენელი, დაბალანსებული იყო. დღეს მივდივართ დისბალანსის გამოსწორებისკენ, დაგისახელებთ თუნდაც იმ ფაქტს, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სრულად არის მოხნული, რაც ყოფილი ხელისუფლების მიერ აბსოლუტურად იყო იგნორირებული და ჩვენი სოფელი განწირული იყო იავარსაქმნელად.

წყალქვეშა ნავების გაკეთების შესაძლებლობა ამჟამად არ გვაქვს.

— **თუმცა წყალქვეშაფრთიან კატარღებს ვაკეთებდით...**

— თვითმფრინავებსაც, დაგზებსაც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც, და სანამ ყველაფერი დაგვვიწყებია, უნდა აღვადგინოთ. რადიკალური ღონისძიებებია განსახორციელებელი.

— **ე.ი. ძალაში რჩება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს!“**

— რა თქმა უნდა!

— **საქართველო, მოგეხსენებათ, მიჩნეულია ფარვატერულ ქვეყნად: ძლიერი სახელმწიფოს კვალში უნდა იყოს აუცილებლად მავალი. მდგომარეობა გვაიძულებს: ერთი მხრიდან — ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე მხარეს — რუსეთის ფედერაცია. ფიქრობთ, ბატონო გოგი, რომ საქართველოს შეუძლია ბლოკებგარეშე საგარეო პოლიტიკის განხორციელება თანამედროვე საერთაშორისო სივრცეში?**

— მოდი, გავაანალიზოთ. რუსეთი, ჩვენი მეზობელი, ანგელოზი არ არის, უმძლავრესი ქვეყანაა და თავისი ინტერესები აქვს. მისი გაღიზიანება, ლანძღვა მოგვიტანს სასურველ შედეგს?

— **შედეგი არის, მაგრამ მინუსი ნიშნით.**

— რაც უფრო გავააქტიურებთ ჩვენი დასავლური კურსის პროპაგანდას, ჩრდილოატლანტიკური ბლოკისკენ სწრაფვას, იმდენჯერ გადმოსწევენ აქეთ საზღვარს. გვისიგნალებენ, მიგვანიშნებენ — „გაჩერდით, დაფიქრდით, არ გინდათ“... ხომ ვიცით, რომ ნატოში არ გვიღებენ. ცრუ დაპირებების საკენკს გვიყრიან. **10 წლის წინათ მიუნჰენში ნატოს ორ გენერალს შევხვდი და მათ მითხრეს, თქვენ გიფრთხილდებით, ნატოში რომ არ გიღებთო.** იგივე თქვა **აპატურაიმ.** მაგრამ, ეტყობა, ვალდებულები არიან, ტყუილით გვკვებონ თავიანთი ოპონენტების ჯინაზე, იმისთვის, რომ გზა-კვალი არ შევიცვალოთ და, ღმერთმა არ ქნას, სოროსის თუ მისნაირი სხვა ავანტიურისტის პროექტი არ ჩავაგდოთ.

რუსოფილს დამიძახებენ, ამას რომ ვამბობ. კი, რუსეთში ვსწავლობდი, რუსეთში დავიცავი დისერტაციები, მაგრამ ჩემი ქვეყნისა მტკივა და მადარდებს.

**წარმოიდგინეთ, რომ მივაღწიეთ ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ მიზანს — შევედით ნატოში. როგორ ფიქრობთ, რუსეთი მშვიდად შეხვდება კავკასიის ქედზე დაყენებულ ბალისტიკურ რაკეტებს, რომლებიც მისკენ იქნება დამიზნებული?!**

ეს ერთი.

ნატოს უმძლავრესი პარტნიორია ჩვენი მეორე მეზობელი თურქეთი. საქართველოში, როგორც ნატოს წევრ ქვეყანაში (ხომ წარმოვიდგინეთ!) 10-12 ოფიცერი თურქეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან შემოვა და შემოჰყვება 2-3 ათასი თურქი ჯარისკაცი. გვაძლევს ეს ხელს?

ეს მეორე.

და — მესამე. **ვიცით, რომ არ მიგვიღებენ, არც მალავენ, პირდაპირ გვეუბნებიან. ჩვენ კი მაინც ვიბითურებთ თავს. აი, ჩამოვა ვარშავის სამიტიდან ჩვენი „გენერალისიმუსი“ და გვეტყვის, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ნატოს მიმართულებით.**

კარგით რა! **ოლანდი, მერკელი, ობამა** უარს გვეუბნებიან, ჩვენ კი ქალბატონ **თინას** უნდა დავუჯეროთ? თქვენმა მკითხველმა კარგად იცის, რა ჰქვია ამას.

— **ევროკავშირი, ბატონო გოგი?**

— ევროპისკენ ვართ, გვესმის, რას ნიშნავს ევროპული კულტურა, დემოკრატია, ტექნოლოგიური სიძლიერე... მაგრამ, როცა ხედავ, რომ ყველაზე ძლიერი, წამყვანი ქვეყნის — ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობა უარს ამბობს ევროკავშირის წევრობაზე, ამან, სულ ცოტა, უნდა დაგვაფიქროს — რა ხდება, რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი ისტორიული ფერიცვალება?

პრაგმატული ხალხია, გაუჭირდა ხურჯინივით აკიდებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თრევა და „ჩამოიბერტა ფეხზე ვით მტვერი“.

ეს პრობლემა აწუხებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებსაც, და ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამ სიტუაციაში დამატებით ტვირთს აიკიდებენ საქართველოს სახით? ახლა **მარინ ლე პენმა** გამოაცხადა, რომ საფრანგეთში მოაწყობენ დიდი ბრიტანეთის მსგავს რეფერენდუმს, ანერვიულდა იტალიაც...

**როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის მოთხოვნები ჩვენზე არ გავრცელდება? არ დაგვავალდებულებენ, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან დევნილების მიღებას?! და ეს მაშინ, როცა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი ქართველების პრობლემები ვერ გადაგვიწყვეტია.**

დეტალურად ამ პრობლემის განხილვა სხვა დროისთვის გადავდოთ.

— **და ნეიტრალიტეტის საკითხს დავუბრუნდეთ. რეალურია ასეთი პერსპექტივა საქართველოსთვის?**

— ღრმად მწამს, რომ ჩვენი ქვეყანა არ უნდა გაერთიანდეს არც ერთ აგრესიულ ბლოკში. არა გვაქვს ჩვენ მაგის თავი.

მწამს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუდმივი კარნახისა და იძულებისგან ▶

**«10 წლის წინათ მიუნხენში ნატოს ორ გენერალს შევხვდი და მათ მითხრეს, თქვენ გიფრთხილდებით, ნატოში რომ არ გიღებთო. იგივე თქვა აპატურაიმ. მაგრამ, ეტყობა, ვალდებულები არიან, ტყუილით გვკვებონ თავიანთი ოპონენტების ჯინაზე, იმისთვის, რომ გზა-კვალი არ შევიცვალოთ და, ღმერთმა არ ქნას, სოროსის თუ მისნაირი სხვა ავანტიურისტის პროექტი არ ჩავაგდოთ»**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კაპიტალისტური სისტემა სოციალურად გამუდმებით ფართოვდება და, როდესაც მოიცავს მსოფლიოს და აღარ დარჩება ადგილი გასაფართოებლად, დაიწყება კრიზისი, რაც კაპიტალიზმის კრახამდე და ახალი სისტემის გაჩენამდე მიგვიყვანს“.**

◀ გავთავისუფლდებით, შევქმნით ისეთ ძლიერ ეკონომიკას, რომლის გარეშე ნეიტრალიტეტი წარმოუდგენელია და, ბოლოს და ბოლოს, განვახორციელებთ ამ იდეას.

შენი ნეიტრალიტეტი სხვასაც უნდა აძლევდეს ხელს და მაშინაა შესაძლებელი მისი მატერიალიზაცია. ჩვენ ნელ-ნელა აქეთ მივდივართ.

— **ვიზალიბერალიზაცია ჩვენთვის განხორციელდება თუ მორიგი სატყუარაა?**

— ნუ ვიჩქარებთ. ვიფიქროთ. თანაც, გავითვალისწინოთ ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესვლის ისტორია, ისიც, რა შედეგი მიიღეს გაწევრების შემდეგ და, რაც მთავარია, როგორი ვითარებაა დღეს ევროკავშირში, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ.

კატეგორიულ პასუხს ამიტომ ვერ გაგცემთ.

— **ბატონო გოგი, ისე მახსოვს, რომ თითქოს გუშინ იყო, როგორ შემოგიტიეს ანტისტალინელმა დილეტანტებმა, როცა ამ უზარმაზარი, არცთუ მარტივად, მით უფრო, ცალმხრივად აღსაქმელი, სახელმწიფო მოღვაწის შესახებ თქვენი დადებითი აზრი როცა გამოთქვით. განსაკუთრებით გაცხარდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ ისინი საქართველოს მამებად უნდა გვყავდეს წარმოდგენილი, ხოლო იოსებ ჯუღაშვილს არაფერი გაუკეთებია ჩვენი ქვეყნისთვის.**

— ეს ბოლო თემა გავაანალიზოთ. **მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სტალინმა დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი საქართველოში იმ მიზნით, რომ ჩვენი ძირძველი მიწები, რომლებიც თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი, ამ ძალის გამოყენებით სამშობლოსთვის დაებრუნებინა.** იმხანად საბჭოთა კავშირს ისეთი ინერცია ჰქონდა აღებული, რომ ორ კვირაში დასახულ ამოცანას შეასრულებდა. მაგრამ ამერიკელების მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების აფეთქების შემდეგ, სტალინი იძულებული შეიქნა, ხელი აელო ამ განზრახვაზე. თურქეთთან ომის დაწყებას უეჭველად მოჰყვებოდა მესამე მსოფლიო ომი, რომლის შედეგები წარმოუდგენლად დამანგრეველი და დამღუპველი იქნებოდა კაცობრიობისთვის. მაშინ ტაოკლარჯეთიც და საქართველოც (სხვაზე აღარაფერს ვამბობ) საერთოდ აღიგვებოდა პირისაგან მიწისა. ასეთი ალტერნატივა დადგა მის წინაშე. გადაწყვეტილება, რომელიც აქედან გამომდინარე მიიღო, იყო სწორი და ერთადერთი.

მესხეთელი თურქების საქართველოდან გაყვანასაც შევახსენებთ.

იციან კი თუნდაც ეს სტალინის მაგინებლებმა? **მეეჭვება, საერთოდ, რამე წაუკითხავთ, ერთი წიგნი მაინც, რომელშიც სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა ობიექტურად, მიუკერძოებლად არის გაანალიზებული. არადა, ასეთი წიგნები, განსაკუთრებით, ბოლო დროს უდიდესი რაოდენობითაა გამოცემული რუსეთში, ასევე, აშშ-ში, სხვა ქვეყნებში.**

სტალინისადმი ჩემი დამოკიდებულება უწინაც ბევრჯერ გამომითქვამს. მაჩერებდნენ, მაჩუმებდნენ — ხმა არ ამოიღო, თორემ არც ნატოში მიგვიღებენ და არც ევროკავშირშიო.

— **ახლა ადამიანების შეგნებაში თანამედროვე მედიის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით ნერგავენ აზრს, რომ ფაშიზმი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამარცხა, ხოლო საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა ამ ომში.**

— რას ვუპასუხებდი, იცით, საქართველოს კეთილდღეობაზე თავგადადებულ იმ მოღვაწეებს, რომლებიც ჩემს გაჩუმებას ცდილობდნენ?

— **არ ვიცი.**

— ახლავე გეტყვით. მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ **თვითონ ვარ რეპრესირებული ოჯახის წევრი. მამაჩემი 8 წლის განმავლობაში პოლიტიკური პატიმარი იყო. მამიდაჩემმა 18 წელიწადი გაატარა მაგადანში, გადასახლებაში. ჩემი ორი ბიძა დახვრიტეს. ბებია გერმანელი მყავდა. როცა რაიხის ჯარები კავკასიონს მოადგნენ, მაშინ ამუშავდა რეპრესიების მანქანა. ჩვენც ამ ტალღაში მოვყევით.** მაგრამ, როგორც ქართველმა კაცმა, როგორ უნდა დავკარგო ობიექტური შეფასების უნარი და არ ვაღიარო, რომ სწორედ ჩვენი მიწაწყლის შვილი, იოსებ ჯუღაშვილი, მეოცე საუკუნის უდიდესი და აღიარებული ლიდერი იყო მსოფლიოში?!

— **რეპრესიები?**

— რეპრესიები შავი ლაქაა. მაგრამ იმ პერიოდში რომელ ქვეყანაში არ ხორციელდებოდა რეპრესიები? ამერიკის შეერთებული შტატებიც არ იყო გამონაკლისი.

ისტორიული ფაქტებითაა ეს დადასტურებული.

ახლა კი მათ შესახებ, ვინც მაჩუმებდა...

— **„ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!“**

— *(ეღიმება)*. პირდაპირ ვუპასუხე, რომ მათი პოზიცია ორმაგი სტანდარტების თვალსაჩინო ნიმუშია. სტალინს ადამიანის უფლებების დაუცველობას ბრალდებად რომ უყენებთ, მიპასუხეთ, გეთაყვა, გერმანია როგორღა არის ევროკავშირში, თანაც, წამყვან პოზიციაზე? **ჰიტლერი** რა, იცავდა ადამიანის უფლებებს?! ესპანეთი?! **ფრანკო** თავს იკლავდა ადამიანის უფლებების დასაცავად?! **მუსოლინის** ძეგლი რომ დგას ფლორენციაში, დუჩე უფლებადამცველი იყო, თუ რა? აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ რუმინეთში, რომელიც ევროკავშირის ქვეყანაა, ფაქტობრივად, ლინჩის წესით ჯარისკაცების საპირფარეშოს კედელთან მიახვრიტეს **ჩაუშესკუ** და მისი ცოლი.

მაგრად შევჯექი: მხოლოდ ცუდს ხედავთ, თქვე კაი ხალხო? ან, იქნებ, გაიძულებენ, რომ ასე თქვათ და ილაპარაკოთ? მაშინ სადაა სიტყვის თავისუფლება?!

მე რომ მკითხოთ, სწორედ ეს არის ფარვატერული აზროვნების ნიმუში და ასეთი თავისუფლებისგან მართლაც გვჭირდება გათავისუფლება.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.საუბარი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ რამდენს აიტანს საგაზეთო პუბლიკაცია?! წინ მარათონია, გრძელი საარჩევნო დისტანცია, დრო გვექნება. უამრავი.**

# «კაპიტალიზმის სისტემური კრიზისი — იმანუელ ვალერსტაინის იდეების გარშემო»

**3 ივლისს საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალ Politicano-ს ინიციატივითა და ორგანიზებით, ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრში საჯარო ლექცია გამართა თემაზე „კაპიტალიზმის სისტემური კრიზისი — იმანუელ ვალერსტაინის იდეების გარშემო.“ მთავარი მომხსენებელი გახლდათ ერთ-ერთი გამორჩეული მემარცხენე ინტელექტუალის, იმანუელ ვალერსტაინის სამტომეულის —The Modern World System-ის რუსულ ენაზე მთარგმნელი რუსი ეკონომისტი და სოციოლოგი ნიკოლაი პროცენკო, რომლის სიტყვით გამოსვლის შემდეგაც მემარცხენე ეკონომიკური მოსაზრებების გარშემო აქტიური დისკუსია გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ეკონომიკის ექსპერტები და პოლიტოლოგები — მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე, ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი, პროფესორი თამარ კიკნაძე, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ურუზმაგ ქარქუსოვი, საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის „პოლიტიკანოს“ ხელმძღვანელი გიორგი მდივანი და სხვები.**





## «ქვეყანა ინდუსტრიულად ვერ ვითარდება, მაგრამ ხელისუფლებას გამოსავლის ძიება და ვითარების შეცვლა არ სურს»

**გიორგი მდივანი, საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის Politicano-ს ხელმძღვანელი:**

— როგორც დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნა და რაზეც დღეს ყველა დასავლელი ეკონომისტი უკვე თანხმდება, კაპიტალისტური სისტემა ღრმა კრიზისშია. ასეთ შემთხვევაში რა გზები და გამოსავალი შეიძლება მოვნახოთ ჩვენ, რადგან ასეთ პირობებში აუცილებელია, გავითარებადმა ქვეყნებმა ალტერნატიული გზების ძიება დაიწყონ. **საქართველოს მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო ბანკისა თუ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ქვეყანაში არ მუშაობს. რეალურად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, უმუშევრობა არ მცირდება, ეკონომიკური მაჩვენებელი კი მხოლოდ და მხოლოდ საცალო ვაჭრობის ხარჯზე იზრდება, რაც ქვეყანაში საჭირო სამუშაო ადგილების შექმნას ვერ უზრუნველყოფს.**

ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, სააკაშვილის რეჟიმის ეკონომიკური პოლიტიკა არ შეცვლილა, რადგან ამის საშუალებას საქართველოს ხელისუფლებას არც მსოფლიო ბანკი აძლევს და არც სხვა დასავლელი პარტნიორები. **ქვეყანაში ნეოლიბერალური დიქტატურა გრძელდება. კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ძალიან დიდი უპირატესობით სარგებლობენ და ქვეყანა ინდუსტრიულად ვერ ვითარდება, ეს ხელისუფლებაშიც კარგად იციან, მაგრამ გამოსავლის ძიება და ვითარების შეცვლა არ სურთ.**

ქვეყანაში ეკონომიკური უთანასწორობა მასშტაბურია. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ლიდერია შემოსავლების უთანასწორობის მიხედვით. ცნობილია, რომ შემოსავლები ჩვენს ვითომ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში არადემოკრატიულად ნაწილდება. ერთ-ერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში იქნება პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღება. ბევრი მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

## «ვალერსტაინი დარწმუნებულია, რომ კაპიტალიზმს მომავალი არ აქვს»

**ნიკოლაი პროცენკო, ეკონომისტი, სოციოლოგი:**

— 2009 წელს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ბუნებრივია გამიჩნდა ინტერესი იმ ყველაფრის მიმართ, რაც ხდებოდა მსოფლიოში. იმ პერიოდში ბევრი თავისუფალი დროც მქონდა და ვცადე ვალერსტაინის წიგნი — **The Modern World System** მეთარგმნა.

წიგნის ტომები სხვადასხვა დროს გამოიცა. პირველი ტომი 1974 წელს, მეორე — 1980, მესამე — 1989, მეოთხე ტომი კი 2011 წელს დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ვალერსტაინის პირველ ტომში საუბარია მე-16 საუკუნეზე, მას გარკვეული კავშირი აქვს ჩვენს თანამედროვეობასთან. საუბარი ეხება ერთგვარ ეკონომიკურ პარადიგმას, სოციალურ სისტემას, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ წარმოიშვა და ბევრი საერთო მახასიათებლით დღემდე მოაღწია.

რაც შეეხება წიგნის კონცეფციას, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, **ვალერსტაინი ამტკიცებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი სულ უფრო მეტად ერთვებოდა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში. ვალერსტაინის წიგნისადმი ინტერესი ბუნებრივია, არ არსებობდა არც საბჭოთა პერიოდში და არც მის შემდგომ, ინტერესი გაჩნდა მას შემდეგ რაც მსოფლიო კრიზისმა სულ უფრო გამოავლინა თავი. სწორედ ამის შემდეგ დაიწყეს რუსულ ენაზე მისი ნამუშევრების თარგმნა.**

ჩემ მიერ წიგნის თარგმანზე მუშაობის დაწყება დაემთხვა მსოფლიო კრიზისის მწვავე პერიოდს, რომელიც. თუ ვალერსტაინს დავუჯერებთ, კაპიტალიზმისთვის უკანასკნელია. ვალერსტაინის ძირითადი სისტემის არსი არის ის, რომ **კაპიტალისტური სისტემა სოციალურად გამუდმებით ფართოვდება და, როდესაც მოიცავს მსოფლიოს და აღარ დარჩება ადგილი გასაფართოებლად, დაიწყება კრიზისი, რაც კაპიტალიზმის კრახამდე და ახალი სისტემის გაჩენამდე მიგვიყვანს.**

ვალერსტაინს უყვარს გამეორება, რომ ყველაფერს, რასაც აქვს დასაწყისი, ექნება დასასრულიც. მთვარი კითხვა, რომელზეც ვალერსტაინმა შეძლო ეპასუხა, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ — **როგორ გახდა მდიდარი ქვეყნები მდიდრები ხოლო რატომ მოხდა, რომ ღარიბი ქვეყნები ისევ ღარიბებად დარჩა?** თუმცა, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ, მეორე კითხვას უნდა ვუპასუხოთ: როდის დაიწყო კაპიტალიზმი? ამ საკითხზე ვიცით, რომ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ დასავლურ მეინსტრიმულ ეკონომიკაში დომინირებს აზრი, რომ კაპიტალიზმის დასაწყისი მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის დასაწყისია — სამრეწველო რევოლუციისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდი. ძირითადი სქემა ასეთია, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, ის აჩვენებს ნაკლებად განვითარებულს, როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გარკვეული პირობების შესრულების შედეგად იქცეს წარმატებულად. ეს მოსაზრება განსაკუთრებით პოპულარული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მაგრამ თითქმის ყველა მცდელობა, მცირედ განვითარებული ქვეყნებისთვის, დაეწიონ და გაუსწრონ ამ განვითარებულ ქვეყნებს, უარესი შედეგით სრულდება.

ვალერსტაინი ოთხივე ტომში აღწერს, როგორ ვითარდებოდა კაპიტალიზმი. მისი აზრით, იყო ცვლილებების სამი ციკლი. პირველი — ჰოლანდიური, მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი, შემდეგ ბრძოლა ჰეგემონიისთვის მიმდინარეობდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის, რომელიც ინგლისის გამარჯვებით დასრულდა. ინგლისის ჰეგემონია მიმდინარეობდა მე-19 საუკუნის შუა წლებამდე და შემდეგ ბრძოლა ჰეგემონიისთვის მიმდინარეობდა გერმანიას და აშშ-ს შორის, რუსეთის მონაწილეობითაც. შემდეგ ჩვენ გვაქვს ამერიკული ჰეგემონიის ციკლი, რომელიც, ვალერსტაინის აზრით, 1968 წელს დასრულდა. სხვათა შორის, ვალერსტაინის ბიოგრაფიაში ეს წელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი კანდიდატურა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე განიხილებოდა და მოვლენები სხვაგვარად რომ წარმართულიყო, შესაძლოა ამერიკის მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწე გამხდარიყო. თუმცა, როდესაც დაიწყო სტუდენტური მღელვარება, ვალერსტაინი ერთ-ერთი იყო ამერიკის ისტებლიშმენტში იმ მცირეთაგან, რომელმაც სცადა სტუდენტებთან დალაპარაკება, რაც ძალიან არ მოეწონა ხელისუფლებას და ის რამდენიმე წლით კანადაში გაემგზავრა.

**როგორი იქნება შემდეგი მსოფლიო სისტემა, ვალერსტაინი არ აღწერს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ კაპიტალიზმს მომავალი არ აქვს.** ვალერსტაინი ამბობს, რომ დაახლოებით 2050 წელს ჩვენ ვიცხოვრებთ უკვე სხვაგვარ ისტორიულ სისტემაში. ამიტომ მთავარი კითხვა არის ის, რომ ჩვენ, ადამიანებმა, რომლებსაც ფიქრი შეგვიძლია, რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს სისტემა იყოს უკეთესი.

**მოამზადა შორენა ცივქარაშვილმა**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ კრებას არ ესწრებოდა 4 მართლმადიდებლური საპატრიარქო და ესწრებოდნენ კათოლიკები, პროტესტანტები, ნესტორიანელები, — სად მოძებნეს ეს ნესტორიანელები, არ ვიცი, საოცრებაა პირდაპირ, —სომეხი მონოფიზიტები, კოპტები და ყველა, ვინც კი ოდესმე შეუჩვენებიათ მსოფლიო კრებებზე“**



### მამა დავით (ქვლივიძე):

# რომელ ისტორიულ არჩევანზეა საუბარი, რომელ ქართველ მეფეს ერქვა მეფე ევროპისა?!

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ვაშლიჯვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე):**

**— მამა დავით, კუნძულ კრეტაზე გამართულ საერთო მართლმადიდებლურ შეკრებაზე საქართველოს ეკლესიის წაუსვლელობამ საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული „ნეოლიბერალური“ პროპაგანდა განსაკუთრებით გაამწვავა. ისმის ბრალდებები, რომ თურმე ეს გადაწყვეტილება სინოდმა რუსეთის გავლენით მიიღო. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ეს პროპაგანდა?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ სანამ კუნძულ კრეტაზე შეიკრიბებოდნენ, შვეიცარიაში, კერძოდ, შამბეზიში გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრა და ამ შეხვედრაზე ყველა ეკლესია, გარდა საქართველოს ეკლესიისა, დუმდა იმ ანტიქრისტიანულ კანონებზე, რომლებიც კრეტაზე უნდა განხილულიყო. ამის შემდეგ ანტიოქიამ თქვა კრებაში მონაწილეობაზე უარი, შემდეგ ბულგარეთმაც იგივე განაცხადა, უარი განაცხადა სერბეთმაც, ბოლოს კი — რუსეთმაც. სხვათა შორის, ბულგარეთი შენგენის წევრიც არის, ნატოსიც და ევროკავშირის და, საინტერესოა, მისი გადაწყვეტილებაც რუსეთის გავლენა იყო? მე ვფიქრობ, ეს მართლმადიდებლური სულის ძახილია და თქმა იმისა, რომ თითქოს რუსეთია ამ ყველაფრის ავანგარდში და ამ ქვეყნის გამო არ ჩავიდნენ იქ ქართველები, აბსურდია. საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილება ღვთისმშობლის დიდი კურთხევა იყო და დიდი წყალობაა, რომ ჩვენმა ეკლესიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მართლმადიდებლობის ერთგულება. **საქართველოს ეკლესია არც კი განიხილავს ანტიმართლმადიდებლურ ცვლილებებს, რომლის შემოტანაც კრეტის კრებაზე უნდოდათ.**

**— თუმცა იქ ითქვა, რომ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები ყველასთვის სავალდებულოა...**

— ეს ასე არ არის. საინტერესო იყო ის, რომ **ამ კრებას არ ესწრებოდა 4 მართლმადიდებლური საპატრიარქო და ესწრებოდნენ კათოლიკები, პროტესტანტები, ნესტორიანელები, (სად მოძებნეს ეს ნესტორიანელები, არ ვიცი, საოცრებაა პირდაპირ), სომეხი მონოფიზიტები, კოპტები და ყველა, ვინც კი ოდესმე შეუჩვენებიათ მსოფლიო კრებებზე.** ახლა თვითონ განსაჯეთ, როგორი წმინდა მართლმადიდებლური კრება იყო ეს. ჩემი აზრით, **სატირალია, როცა მართლმადიდებლები და კათოლიკები ერთად ლოცულობენ სულიწმიდის გარდამოსვლის ლოცვას, ვინაიდან, მოციქულთა კანონში პირდაპირ წერია, თუ მღვდელმა ან ეპისკოპოსმა მწვალებლებთან ილოცოს, განიკვეთოსო.** ამ ხალხს წესით რომ მიუდგე, პასუხი უნდა მოსთხოვო...

**— და რატომ არ უნდა მივუდგეთ?**

— თვითონ თავისი ეკლესიები უნდა მიუდგნენ, შიგნით. მაგალითად, ვთქვათ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი მოიქცა არასწორად? კონსტანტინოპოლის ეკლესიამ უნდა ამხილოს იგი და ასეც ყოფილა ეკლესიის ისტორიაში, პატრიარქობა არ ნიშნავს გუბერნატორობას.

**— მოდი, გავიხსენოთ მსგავსი პრეცენდენტი.**

— მაგალითად, გავიხსენოთ კონსტანტინოპოლის პატრიარქი **ნესტორი,** რომელიც მეოთხე საუკუნეში მოღვაწეობდა. ის გადააყენეს და მის მიერ შემოტანილი სწავლება — ნესტორიანელობა მწვალებლობად ჩამოყალიბდა. ამ სწავლებით ის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს აკნინებდა და შეურაცხყოფდა. ამის შემდეგ გადაასახლეს და ღვთის ისეთი რისხვა დაატყდა თავს, რომ ენა გაუსივდა, მატლები დაესივნენ და საზარელი წამებით გარდაიცვალა. სხვა უამრავი შემთხვევაცაა, როცა პატრიარქებისა და ეპისკოპოსების გადაყენება ხდებოდა.

რაც შეეხება კრეტის შეკრებას, **გარდა იმ ეკლესიებისა, რომლებიც კრეტაზე არ ჩავიდნენ, კრების გადაწყვეტილებებს დამსწრე რვა ეპისკოპოსმაც არ მოაწერა ხელი, მათ შორის, საკმაოდ ავტორიტეტულმა ეპისკოპოსებმაც.** ათონის მთიდანაც მიწერეს საპროტესტო წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ანუ, ეს ანტიეკლესიური გადაწყვეტილებები საბოლოოდ რა შედეგით დასრულდება, რთული სათქმელია. მართლმადიდებლობა — ეს არის კრებსითი რელიგია და არა ისეთი დიქტატურული, როგორიც არის კათოლიციზმი — რომის პაპი რასაც იტყვის, ყველა უსიტყვოდ ემორჩილება...

**— ეს ყველაფერი არის თუ არა მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილების შეტანის მცდელობა?**

— რა თქმა უნდა.

**— როგორ ფიქრობთ, ვისგან მოდის ეს მცდელობა?**

— ცხადია, ანტიქრისტიანული ძალებისგან.

დავუბრუნდეთ კრეტის შეკრებას, რომელიც დაგვირგვინდა ერთობლივი ეკუმენისტური ლოცვებით, რაც აკრძალულია და ეს არის პირდაპირ რეპეტიცია, სამზადისი ანტიქრისტესთან შესახვედრად.

ახლა კონკრეტულად რატომ არ შეიძლება ერთობლივი ლოცვები და ვინ შეიძლება იყოს ერის მოწინააღმდეგე. ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ებრაელებს აუკრძალა უცხო ტომის ქალის ცოლად შერთვა,

> **«გარდა იმ ეკლესიებისა, რომლებიც კრეტაზე არ ჩავიდნენ, კრების გადაწყვეტილებებს დამსწრე რვა ეპისკოპოსმაც არ მოაწერა ხელი, მათ შორის, საკმაოდ ავტორიტეტულმა ეპისკოპოსებმაც. ათონის მთიდანაც მიწერეს საპროტესტო წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქს»**

რადგან ითვლებოდა, რომ, თუ უცხო ტომის ქალები მოვიდოდნენ, ისინი თავიანთ წარმართულ რელიგიებს შემოიტანდნენ. სოლომონ მეფემ ეს წესი დაარღვია და დაიწყო უცხო ტომის ქალების მოყვანა ცოლად, იმხანად, მოგეხსენებათ, მრავალცოლიანობა იყო. ჯერ მოიყვანა ხეთები, შემდეგ — ამორეველები, ეგვიპტელები, ამალიკელები და ამ ქალებმა, ბუნებრივია, შემოიტანეს თავიანთი კერპები. ანუ, მათ ეს კერპები დადგეს ჯერ საძინებლებში, შემდეგ სამეფო პალატებში და ბოლოს ისე გაკადნიერდნენ, რომ სოლომონის ტაძრის ეზოში აშთარის კერპი აღმართეს. ამის შემდეგ იერუსალიმის ტაძარში ერთდროულად მიდიოდა ჭეშმარიტი ღვთისმსახურება და ეშმაკის თაყვანისცემა, ანუ დაიწყო ეკუმენისტური, შერეული, არასწორი ლოცვები. ამის შემდეგ ღმერთი გამოეცხადა სოლომონს და უთხრა, შენ ისეთი დიდი ცოდვა ჩაიდინე, არ გაპატიებ, მაგრამ რადგან ამხელა ღვაწლი გაქვს და ტაძარი ამიშენე, სიცოცხლეში არა, მაგრამ შენი სიკვდილის შემდეგ შენს სამეფოს შუაზე გავყოფ და ის ვერასოდეს გაერთიანდებაო. ასეც მოხდა, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ისრაელი ორად გაიყო, ისრაელად და იუდეად და 1948 წელს, როდესაც გაერომ ხელახლა დაუშვა ამ სახელმწიფოს შექმნა, ის ისევ ორადაა გაყოფილი. რატომ მოხდა ეს? ეკუმენისტური ლოცვების გამო. ახლა გეკითხებით, **ეკუმენისტური ლოცვაა სახელმწიფოს ღალატი თუ ამ ლოცვაში მონაწილეობაზე უარის თქმა? სწორად მოიქცა თუ არა საქართველოს ეკლესია? — ნამდვილად სწორად მოიქცა.**

**— როდესაც სინოდმა განჩინება მიიღო და შეკრებაში მონაწილეობაზე უარი თქვა, იყვნენ სასულიერო პირები, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდნენ. მათ პოზიცია როგორ უნდა აიხსნას?**

— ჩემი არგუმენტი არის სახარება და მე სახარებიდან ვსაუბრობ, მათ რომ დაუსვათ ანალოგიური შეკითხვა, იცით, რას გიპასუხებენ? — „მე ასე ვფიქრობ“, „ჩვენ ასე გვგონია“, „ახლა ასე ჯობს“... ჰკითხეთ და ნახავთ. მათ სხვა პასუხი არ აქვთ, ვერც ექნებათ...

**— ამას წინათ პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ე.წ. სოციალურ მუშაკს უფლებას ანიჭებს, „ძალადობის“ შემთხვევაში ბავშვი ოჯახიდან გაიყვანოს და „მოძალადე“ მშობელს მოაშოროს. რა საფრთხეებს შეიცავს ეს საკანონმდებლო ცვლილება?**

— მთელი მსოფლიო ემზადება ანტიქრისტესთან შესახვედრად, ეს არის სამზადისი; და ანტიქრისტე იქნება არა მხოლოდ სულიერი ლიდერი მსოფლიოსი, არამედ პოლიტიკურიც. **თქვენ, ალბათ, მოისმინეთ რომის პაპის კომენტარები კრეტის კრებაზე, მან მართლმადიდებლები კნუტებსა და ძაღლის ლეკვებს შეადარა...** იმისთვის, რომ ანტიქრისტე მოვიდეს, აუცილებელია, ჯერ დიდი განდგომილება იყოს ქრისტესგან, ამიტომ საჭიროა ნიადაგის მომზადება. ამას ემსახურება ეს საკანონმდებლო ცვლილებებიც, სხვა ამოცანა და მიზანი ამას არ აქვს.

**— ამ საკანონმდებლო პაკეტს მხარი დაუჭირეს იმ პარლამენტარებმაც, რომლებიც პოლიტიკაში ეროვნული ლოზუნგებით მოვიდნენ. მათგან ზოგი თავის დროზე ინიციატივითაც გამოდიოდა, რომ დეპუტატებს ჩოხა-ახალუხით ევლოთ სხდომებზე. როგორ ფიქრობთ, ისინი გაუცნობიერებლად აძლევენ ხმას მსგავს კანონებს თუ შეგნებულად აკეთებენ არჩევანს?**

— ნებისმიერ შემთხვევაში მათ უნდა იცოდნენ, რომ არცოდნა არცოდვას არ ნიშნავს. ამის გამო მათ ღვთის წინაშე მოუწევთ პასუხისგება. მით უფრო, რომ ეკლესია საჯაროდ აპროტესტებდა ამას. ასე რომ, ჩვენმა ხალხმაც კარგად უნდა გააანალიზოს, ვის მისცეს ხმა. იმ ადამიანებს უნდა დავუჭიროთ მხარი, ვინც იტყვის, რომ ამ კანონს შეაჩერებს.

**— როგორც სასულიერო პირს, თუ გაქვთ დეპუტატებთან კონტაქტი?**

— სანამ პარლამენტში შევიდოდნენ და დეპუტატის მანდატს მიიღებდნენ, ბევრთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. მეტსაც გეტყვით, მაშინ, როდესაც მათთვის გამარჯობის თქმაც კი საშიში იყო, როგორც შემეძლო, მხარში ვედექი. ახლა რომ ვურეკავ, ზარს არ პასუხობენ. ეტყობა, არ სურთ, ჩემთან საუბარი, იციან, რომ ეს მათთვის სასიამოვნო საუბარი არ იქნება, ან, ალბათ, სათქმელიც არაფერი აქვთ...

**— საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკაა, რომ თურმე ჩვენი ისტორიული არჩევანია ევროპა და ევროკავშირი. სწორად მიგაჩნიათ ეს მიდგომა?**

— ევროკავშირი იშლება და სად მიდიან? ან რომელ ისტორიულ არჩევანზეა საუბარი, რომელ ქართველ მეფეს ერქვა მეფე ევროპისა? თქვენ დავით აღმაშენებლის ტიტულები იცით? სოლომონიან, იესიან, დავითიან, მეფე აბხაზთა, ქართველთა, რანთა, შაჰინშა და შირვანშა... სად არის ევროპა ნახსენები?! ან იგივე გიორგი ბრწყინვალეს ტიტულები ავიღოთ, სად არის მეფე ევროპის?!

ახლა უფრო აქეთ წამოვიდეთ, მეცხრამეტე საუკუნეში, როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს და ევროპული იერი მიიღეს ქართველებმა, საიდან მიიღეს?— პეტერბურგიდან. პეტერბურგი იყო ევროპის ჩრდილოეთ დედაქალაქი და იქ მიიღეს დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა განათლება. დღეს ამ თემაზე საუბარი სამარცხვინოდ ითვლება, რამეს იტყვი, გამოხტება ვიღაც და რუსეთის აგენტი ხარო,—მოგაძახებს. თვითონ ვისი აგენტები არიან, საინტერესოა...

**— დავუბრუნდეთ ისევ იმ საკანონდებლო პაკეტს, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე დაამტკიცა, რა გზა რჩება საზოგადოებას, რომ ამ კანონის საბოლოოდ მიღებას და ამოქმედებას ხელი შეუშალოს?**

— ეს უნდა გააჩეროს მომავალმა პარლამენტმა, ამიტომ, ისეთი ხალხი უნდა ავირჩიოთ, ვინც ამას გააკეთებს.

**— თუ ვერ ავირჩევთ?**

— უნდა ავირჩიოთ, თუ არადა, ყველაფერი ჩვენს თავს დავაბრალოთ. დავჯდეთ მშვიდად, წყნარად და ვუყუროთ გულხელდაკრეფილებმა, როგორ დაგვამხობენ თავზე სახელმწიფოს. ამისთვის, ალბათ, დიდი დრო არ დასჭირდებათ...

> **«სატირალია, როცა მართლმადიდებლები და კათოლიკები ერთად ლოცულობენ სულიწმიდის გარდამოსვლის ლოცვას, ვინაიდან, მოციქულთა კანონში პირდაპირ წერია, თუ მღვდელმა ან ეპისკოპოსმა მწვალებლებთან ილოცოს, განიკვეთოსო»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„გიგი წერეთელი არის, ბოდიში და, გათახსირებული, ლაქია კაცი, რომელსაც არავინ და არაფერი სწამს ქვეყანაზე — არც ღმერთი, არც სამშობლო და, მგონი, არც შვილი და ოჯახი უყვარს“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოსო რობაქიძე: ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც «ნაციონალებს» მხარს დაუჭერს, პოლიტიკურად გაკოტრდება

**28 ივნისს სააკაშვილის მოკავშირე ევროპის სახალხო პარტიამ „მამალი ნაცი“ გიგი წერეთელი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა. ამით ევროპალრამენტის „ლომებმა“ კიდევ ერთხელ დაუქნიეს თითი „ქოცების“ ხელისუფლებას: ღმერთი არ გაგიწყრეთ, ჩვენს ხელისბიჭებს არ შეეხოთ, თორემ ძალაუფლებას ცხვირში ძმრად ამოგადენთ, დიდსაც და პატარასაც შავ დღეს დაგაყრითო. ეგ იყო და „სანაცეთიც“ აყაყანდა: ხელისუფლება კი გვდევნის, მაგრამ აგერ დასავლეთი ქართული დემოკრატიის პერსპექტივას მხოლოდ ჩვენში და ჩვენსავით მოაზროვნე პოლიტიკურ სუბიექტებში ხედავსო. მოგვიანებით ამ საყოველთაო „ნაცსექტანტურ“ თუხთუხს პრეზიდენტი (თუ პრეზიდენტად წოდებული) მარგველაშვილიც შეუერთდა და ხოტბა შეასხა, როგორც წერეთელს, ისე მის წარმდგენ ევროპის სახალხო პარტიასაც. მეტიც, მან არა მხოლოდ მხარი დაუჭირა „ნაციონალ“ კანდიდატს, მის მიმართ კომპლიმენტებიც არ დაიშურა, ეუთოს საპარლამენტო დელეგაციებისადმი გაგზავნილ წერილში კი ასე შეაფასა: „ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე პარლამენტარია და საერთო ინტერესების საფუძველზე კონსენსუსის მიღწევაზეა ორიენტირებული.“ იმავე წერილში მარგველაშვილმა წერეთლის წარდგენის გამო მადლობა გადაუხადა ევროპის სახალხო პარტიას და სხვა დელეგაციებსაც მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდა...**
**როგორ აისახება ეს განცხადება პრეზიდენტის იმიჯზე, მის რეიტინგსა და პოლიტიკურ პერსპექტივაზე, როგორ იმოქმედებს იგი საზოგადოების განწყობაზე და საზოგადოდ, ადეკვატური თუა მსგავსი განცხადება იმ ფონზე, როცა ხელისუფლების შეცვლიდან ოთხი წლის თავზე ხალხი კვლავაც უშედეგოდ ელოდება სამართლიანობის აღდგენას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის მიერ 2004 წლის 23 ნოემბერს ქუჩაში დახვრეტილი 19 წლის ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე.**



**«თუ «ნაციონალური მოძრაობა» გავიდა ამ არჩევნებში მეორე ადგილზე და გახდა მთავარი ოპოზიციონერი, ქვეყანა 2020 წლამდე აჯანყების გარეშე ვერ მივა. ეს გარდაუვალი იქნება იმიტომ, რომ საზოგადოება უკვე ველარ მოითმენს ამდენ შეურაცხყოფას»**

**— ბატონო სოსო, რა აზრის ხართ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის კანდიდატად ნაციონალი გიგი წერეთლის წარდგენასა და ამ საკითხის მიმართ პრეზიდენტ მარგველაშვილის პოზიციაზე? მარგველაშვილმა წერეთელს „კონსენსუსზე ორიენტირებული, გამოცდილი პოლიტიკოსი“ უწოდა.**

— გიგი წერეთელი არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ჯალათი, ის ერთ-ერთი მონაწილეა იმ შავი საქმეებისა, რომლებიც სააკაშვილმა, თავის გარემოცვასთან ერთად, გააკეთა ცხრა წლის განმავლობაში. ეს არის დამნაშავე პარტია და, თუ ვინმე მას მხარს დაუჭერს, გინდ პრეზიდენტი იყოს, გინდ — პრემიერმინისტრი ან ვინმე სხვა, ამით ის ხელს მოაწერს ძალიან მძიმე პოლიტიკურ განაჩენს. ეს იქნება სერიოზული დარტყმა მის რეპუტაციაზე, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ყველა ჩათვლის, რომ ამ პოლიტიკურ სუბიექტს გადახრები აქვს “ნაციონალური მოძრაობისკენ”.

**— ფიქრობთ, რომ დღეს რომელიმე სახელისუფლო სუბიექტს აქვს მსგავსი გადახრები?**

— ეს ძალიან მალე გამოჩნდება და, მერწმუნეთ, ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც „ნაციონალებს“ მხარს დაუჭერს, პოლიტიკურად გაკოტრდება. ამაში ვარ ღრმად დარწმუნებული, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით დგომა, რომელ პარტიაზე ან ცალკეულ სუბიექტზე უნდა იყოს საუბარი, ყველას ისეთივე პოლიტიკურ გვამად გადააქცევს, როგორიც თვითონ „ნაცმოძრაობაა.“ კიდევ ვიმეორებ, აქ ცხრა წელი ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ქუჩაში დახვრიტეს 125 ადამიანი, ციხეში — 720, გააუპატიურეს ათასობით პატიმარი და დღეს, თუ კიდევ ვინმე მხარს უჭერს ამ კაცისმკვლელების მოხვედრას რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, ეს არის ქვეყნის ღალატი. ამ ღალატს ხალხი არავის აპატიებს და ვინც უნდა იყოს, გინდ პრეზიდენტი, გინდ პრემიერი ან რომელიმე სხვა მაღალი თანამდებობის პირი, ძალიან ძვირად დაუჯდება მსგავსი ნაბიჯის გადადგმა.

**— ამას წინათ მარგველაშვილმა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ ვანო მაჭავარიანი დანიშნა. ამასთანავე, ხშირად ხვდება „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს, მათ შორის, სიყრმის მეგობარ გიგა ბოკერიას და სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს მთავრობას. ეს ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ პრეზიდენტს გარკვეული სიმპათია აქვს სააკაშვილის გუნდის მიმართ?**

— **გიგა ბოკერია** იყო „ნაცმოძრაობის“ რუხი კარდინალი, რომელსაც კარგად ვიცით, ციხეში რა ბუნტიც აქვს მოწყობილი. საერთოდ, თუკი რამე სიბინძურე კეთდებოდა ქვეყანაში, **ადეიშვილთან, მერაბიშვილთან** და სხვა „ნაციონალ“ მაღალჩინოსნებთან ერთად, ბოკერიაც იყო თავიდათავი.

კიდევ ვიმეორებ: ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია და მათთან ლაპარაკი არ შეიძლება. ამათ უნდა ელაპარაკო, როგორც საშიშ დამნაშავეს... ვისაც ეს არ ესმის, ან სრულ ჭკუაზე ვერ არის, ან მაგათზე საშიში დამნაშავეა თვითონ. საქართველოში „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა იყოს გაუქმებული და ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იქნება სოლიდარული, ის ქვეყნის მოღალატეა.

**— „ნაცმოძრაობას“ თუ ავკრძალავთ, დასავლეთმა შეიძლება, დემოკრატია გაგვიკრიტიკოს.**

— დემოკრატია ფასობს ზუსტად იმით, რომ დამნაშავეებს სჯიან. ამათმა კი დამნაშავეებს თავზე ხელი გადაუსვეს...

**— მცირე ხნის წინათ სააკაშვილმა განაცხადა, ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი რამ გადავაფასეთ და წარსულში დაშვებულ შეცდომებს მომავალში აღარ გავიმეორებთო. გჯერათ, რომ „ნაცმოძრაობა“ შეიძლება ძირეულად შეიცვალოს?**

— ეს ჩემთვის ღიმილის მომგვრელია, **როგორ შეიძლება სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ახალაია და მსგავსი პირსისხლიანი ჯალათები შეიცვალონ?! ან როგორ შეიძლება, ბოკერია შეიცვალოს?!** ერთი სული აქვთ, როდის მოვლენ ხელისუფლებაში და როდის დასჯიან იმ ხალხს, რომელმაც მათ წინააღმდეგ ხმა ამოიღო. ესენი არიან გამოუსწორებელი მანიაკები და თუ შანსი მიეცემათ, უარესს გააკეთებენ. პირდაპირ გეტყვით, **თუ „ნაციონალური მოძრაობა“ გავიდა ამ არჩევნებში მეორე ადგილზე და გახდა მთავარი ოპოზიციონერი, ქვეყანა 2020 წლამდე აჯანყების გარეშე ვერ მივა.** ეს გარდაუვალი იქნება იმიტომ, რომ საზოგადოება უკვე ველარ მოითმენს ამდენ შეურაცხყოფას; **თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, დაისჯებიან ისინი, ვინც მათ ხელს დააფარებს.**

**— ბიძინა ივანიშვილი პირადად დაგპირდათ იური ვაზაგაშვილის პანაშვიდზე, რომ ყველა დამნაშავე პასუხს აგებდა. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, როგორ ფიქრობთ, რამ შეაფერხა მართლმსაჯულება?**

— ამ საკითხზე ივანიშვილს შეკითხვა დაუსვა ერთმა ჟურნალისტმა და მან თქვა, რომ მართლმსაჯულება ყველაფერს აკეთებს, მაგრამ სააკაშვილი, ადეიშვილი გაქცეულები არიან. მან, აგრეთვე, ისაუბრა მერაბიშვილზე, ახალაიაზე და აღნიშნა, რომ მათ უკვე აგეს პასუხი. ანუ, ეს მოიყვანა არგუმენტად, რომ სამართლიანობის აღდგენა ხორციელდება, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. **მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორი ყოფილი მაღალჩინოსანი ციხეშია, სამართლიანობის ხარისხი არის ნული.** იცით, რატომ? იმიტომ, რომ ახალაიასა და მერაბიშვილის დონის კრიმინალები, რომლებსაც ათასობით ადამიანი ჰყავს გაუბედურებული და მათგან ერთ-ერთი პირდაპირ გაიძახოდა, ორი გვამი მჭირდებაო, ვაშლის გათლასა და რაღაც მსგავს სისულელეებზე არ უნდა იყოს გასამართლებული.

აქვე მინდა შეკითხვა დავუსვა ყველას, ვისაც აქვს ილუზია, რომ სამართლიანობა აღდგა — **სად არის დავით ცინდელიანი, რომელიც მამას ჩამოაყვანინეს მოტყუებით ქუთაისში და გაქრა?** დღეს არც ის ვიცით, სადაა ეს კაცი და არც ის — მკვდარია თუ ცოცხალი. რატომ არ იძიებენ ამ საქმეს?!

**— რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ პერსპექტივას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილი თანაგუნდელებს შეხვდა უკრაინაში და შეხვედრის დასასრულს განაცხადა, შემდეგი ყრილობა დიდგორის ველზე უნდა გავმართოთო...**

— დიდგორის ველზე თავის დროზე ვინ შეკრიბა ქართველობა, როგორ უსარდლა და რა შედეგით დასრულდა ყველაფერი, ისტორიიდან ვიცით, მაგრამ **სააკაშვილის შედარება იმ ფენომენთან მხოლოდ სააკაშვილისნაირ ავადმყოფს და რეალობას მოწყვეტილ ადამიანს შეუძლია.** რა უნდა ვთქვა ამაზე. პასუხის გაცემაც არ ღირს. **რა უნდა დიდგორში, რომ მიდის, ვის მოაწონებს ამით თავს, მისი მოკლე ჭკუით?...**

**— ალბათ, თავის ელექტორატს.**

— მესმის, რომ სააკაშვილს ძალაუფლების რაღაც მანიაკური მოთხოვნილება აქვს და ვერ ეგუება პოლიტიკურ კრახს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. „ნაციონალური მოძრაობა“ დამთავრებულია, მკვდარია და მკვდარს კიდევ პოლიტიკაშიც ვერავინ გააცოცხლებს. ირბინოს ახლა რამდენიც უნდა, რაც უფრო გაეჩხირება თვალში საზოგადოებას, მით მეტად შეიძულებენ, მით მეტად დაეცემა მისი და მისი დანაშაულებრივი ორგანიზაციის რეიტინგი, რადგან ხალხს კარგად ახსოვს, რა უბედურებებიც დაატრიალეს ცხრა წლის განმავლობაში. ან როგორ შეიძლება დახვრეტილი ბიჭების, გაუპატიურებულ-განადგურებული მოქალაქეების დავიწყება? ეს სამარცხვინო ლაქა მათ გაჰყვებათ სიცოცხლის ბოლომდე...

**— საინტერესოა, მარგველაშვილისთვის თუ იქნება სამარცხვინო ლაქა გიგი წერეთლის მხარდაჭერა და ხოტბა იმ დროს, როცა „ნაცმოძრაობის“ ნაწამები სულხან მოლაშვილი მიწას მიაბარეს?**

— როგორც გითხარით, ეს არის ძალიან მძიმე პოლიტიკური განაჩენი. ხვალ და ზეგ მარგველაშვილს ეს ამბავი წინ დახვდება ისევე, როგორც მურუსიძის ამბავი დახვდა. **გიგი წერეთელი არის, ბოდიში და, გათახსირებული, ლაქია კაცი, რომელსაც არავინ და არაფერი სწამს ქვეყანაზე — არც ღმერთი, არც სამშობლო და, მგონი, არც შვილი და ოჯახი უყვარს...**

**— დასასრულ — ისევ სამართლიანობის აღდგენაზე გკითხავთ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლიდან ოთხი წლის თავზე ეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე არ არის მისული, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ აქვს რწმენა, რომ ადრე თუ გვიან მართლმსაჯულება თავის სიტყვას იტყვის. როგორ ფიქრობთ, კიდევ რა დრო აქვს ხელისუფლებას, ანუ, რა პერიოდის შემდეგ უნდა ჩაიქნიოს ხელი თუნდაც საზოგადოების ამ უმცირესმა ნაწილმაც და ჩათვალოს, რომ „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენის უნარი არ შესწევს?**

— ჩემი აზრით, ამისათვის ერთი წელი აქვს ხელისუფლებას. ამ ერთ წელიწადში რამე მნიშვნელოვანი ძვრები თუ არ მოხდა ამ მიმართულებით, დაიწყება მწვავე პოლიტიკური კრიზისი. ეს გარდაუვალია. ასე რომ, სამართლიანობა თუ აღდგება, ყველაფერი კარგად იქნება, თუ არა ხალხი, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ საკუთარი სისხლისა და სიკვდილ-სიცოცხლის რისკის ფასად უთხრა უარი, უარს ეტყვის „ქართულ ოცნებასაც.“ მორჩა, ეს იქნება მათი დასასრული. ამას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ისწავლი თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არავითარი აზრი არ აქვს, თუკი უცხოეთში არ გაემგზავრები და იქიდან არ ჩამოიტან რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში „გავლა-გამოვლის დამადასტურებელ“ სერტიფიკატს.**

# მოვითხოვ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაუქმებას!

**საქართველოში, ბანალურად რომ ვთქვათ, საგამოცდო ციებ-ცხელება დაიწყო. არის ერთი ამბავი — „შენი სად აბარებს, ქალო?“, „ვაიმე, ჩემსას 100-პროცენტიანი გრანტი უნდა და გაქაჩავს, ნეტა?“, „პირველი რომელი უმაღლესი ჩაწერა შენმა?“, „აუ, ჩემსას თსუ უნდა ძალიან და, ნეტა, მოხვდებოდეს“...**
**კი, მაგრამ რად უნდა?!**



ან, საერთოდ, რად გვინდა ეს ტრაგიკომიკური ცირკი, რომელსაც ასე „ამაყად“ დავარქვით ჟღერადი სახელი „საერთო ეროვნული გამოცდები“?!

რომელი ეროვნული? რატომ ვაწვალებთ ჩვენს შვილებს ან რეპეტიტორებთან რატომ ვყრით ფულს, რატომ ვნერვიულობთ, რა აზრი აქვს ყოველივე ამას?!

დავუშვათ მოხვდა ჩვენი პირმშო იქ, სადაც ძალიან სურს მოხვედრა! კარგი, 100-პროცენტიანს თუ არა, 70-პროცენტიან დაფინანსებას მაინც მიიღებს... მერე?

მოდი, მივყვეთ უფრო გასაგებად და თანმიმდევრობით:

**ვინც კარგად მიცნობს, აუცილებლად გაუკვირდება, რატომ ვითხოვ მე, მგზნებარე, თავგადაკლული თსუ-ელი ბაკურ სვანიძე, ქართველების საამაყო ცოდნის ტაძრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაუქმებას. იქნებ იფიქროთ, რომ ეს ხუმრობაა? არა, ამჯერად ამ უმაღლესი სასწავლებლის, და ზოგადად ყველა ქართული უმაღლესი სასწავლებლის, გაუქმებას სრული სერიოზულობით მოვითხოვ!**

მიზეზი, ჩემი აზრით, ნათელია და აბსოლუტურად ლეგიტიმურიც — განა ასეთ დამცირებულ, უფუნქციო, უაზრო არსებობას, არ სჯობს საერთოდ არ არსებობდეს საქართველოსთვის ოდესღაც ასე საამაყო უნივერსიტეტი?

თუმცა სიტყვა „ოდესღაც“ ამ შემთხვევაში ნამდვილად არ მიგვანიშნებს საუკუნეების წინანდელ ამბავზე და ეს მით უფრო გულდასაწყვეტია. აკი, **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგერ, 20 წლის წინათ მართლაც საამაყო, საფიცარი იყო და, არათუ რეგიონში, შეიძლება ითქვას, მსოფლიოშიც კი ერთ-ერთი სამაგალითო უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა.**

დღეს კი რა ხდება? მიდის თსუ-ში სტუდენტებთან შეხვედრაზე განათლების მინისტრი ან პრემიერმინისტრი, ან რომელიმე სხვა „მოღვაწე“, ან სულაც ჩვენი ქვეყნის „მამამარჩენალი“ მილიარდერი და ფორმალური, გაცნობითი ხასიათის კითხვა-პასუხის შემდეგ სტუდენტებისადმი მიმართვას ასე ამთავრებს: „როდესაც გაივლით სრულ კურსს ამ უნივერსიტეტში, შემდეგ აუცილებლად უნდა გაემგზავროთ უცხოეთში, რათა ღრმად და საფუძლიანად დაეუფლოთ თქვენს პროფესიას, მიიღოთ უფრო დიდი ცოდნა და შემდეგ დაბრუნდეთ სამშობლოში, ჩვენ კი გარანტიას გაძლევთ, რომ უცხოეთში განათლებამიღებული საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება კარგი სამსახურითა და გარანტირებული მომავლით!“

რას ნიშნავს ეს?

ფაქტობრივად, იმას, რომ **ისწავლი თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არავითარი აზრი არ აქვს, თუკი უცხოეთში არ გაემგზავრები და იქიდან არ ჩამოიტან რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში „გავლა-გამოვლის დამადასტურებელ“ სერტიფიკატს.**

დიახ! სწორედ „გავლა-გამოვლის დამადასტურებელ სერთიფიკატს“ და არა რეალურ დიპლომს, რადგან აქედან წასულ „გენიოსთა“ უმეტესობა უცხოეთში ძირითადად 3 ან 6-თვიან კურსებს გადიან და შემდეგ იტყუებიან, უცხოეთში დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელიო.

უბედურება კი არის ის, რომ **არც კი არსებობს რაიმე გარკვეული შეზღუდული ჩამონათვალი უცხოური უნივერსიტეტებისა, რომელთა დამთავრებაც ან იქ რაიმე კურსის გავლაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავლილ სრულ კურსზე უპირატესად რომ ჩაითვალოს. არა, ბატონო! ევროპის ნებისმიერი ქვეყნის, ამერიკისა თუ კანადის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის არათუ აუდიტორიაში, არამედ დერეფანში ერთხელ შეხედვაც კი საკმარისია, რომ ვინმე ფულიანი ოჯახიდან გამოსულმა სულელმა უქონელ, მაგრამ გონიერ, ქართულ უნივერსიტეტდამთავრებულზე მაღლა დაიჭიროს თავი!**

და თანაც, მისი ცარიელი თავის მაღლა დაჭერას კვერი დაუკრას და ხელი შეუწყოს მთავრობამ, სახელმწიფომ და ყველა „ვერწასულს“ გვითხრას, — აი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, რომელმაც სამჯერ თუ ოთხჯერ გაიარ-გამოაირა პენსილვანიის, ტორონტოს, სორბონის, ლაიპციგისა თუ კიდევ რომელიღაც უნივერსიტეტში და ამიტომ ის უნდა დაინიშნოს მაღალ თანამდებობაზე მაღალი ანაზღაურებითო. შენ კი **საწყალი, საცოდავი, დაჩაჩანაკებული თბილისის სახელმწიუფო უნივერსიტეტის (ან სხვა ნებისმიერი ქართული უმაღლესი სასწავლებლის) კურსდასამთავრებულო, რადგან ოჯახს არ ჰქონდა სახსარი, შენთვის უცხო ენა უმაღლეს დონეზე ესწავლებინა და მერე სადმე საზღვრებს გარეთ გაეგზავნე, დაჯექი ახლა და ეხვეწე, აი, ამ „უცხოურად განათლებულს“, რომ როგორმე გაიღოს მოწყალება და სამსახურში მიგიღოს.**

როგორ, **ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი** და სხვა **უდიდესი მოღვაწენი განა ამისთვის ცდილობდნენ თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას?!** მათი არგუმენტი ხომ სწორედ ის იყო, რომ ხელმოკლე ქართველებს ჰქონოდათ საშუალება, სამშობლოში მიეღოთ სრულყოფილი **(ხაზს ვუსვამ)** უმაღლესი განათლება და არ დასჭირვებოდათ მაინცდამაინც პეტერგბურგში, ვენაში, ბერლინში ან რომში გამგზავრება?!

**დღეს კი ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს სიამაყეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მხოლოდ ევროპულ-ამერიკული უნივერსიტეტების ერთგვარი „ქვეკოლეჯის“ დატვირთვა აქვს და მის დამთავრებას, როგორც გამოდის, არც კი აქვს არანაირი აზრი.**

წესით, მთავრობა, სახელმწიფო მოწადინებული უნდა იყოს, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე, სხვა ტრადიციული ქართული უმაღლესი სასწავლებლების პრესტიჟზე იზრუნოს. **თუკი ვინმე მოიტანს იმ არგუმენტს, რომ თსუ-ში რეალურად არ არის სწავლის მაღალი დონე, პასუხად ვეტყვი — საქმეც ეგაა, რომ სწავლის დონის ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ და არა ახალგაზრდების უცხოეთში გარეკვაზე(!).**

მით უმეტეს, რომ ამ უნივერსიტეტს, ასევე, არაერთ სხვა ქართულ უმაღლეს სასწავლებელს, ნამდვილად აქვს საამისო ტრადიცია. **2004 წლიდან სწორედ ამიტომაც მოხდა განუკითხავი და უსამართლო თავდასხმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. ეს დაწესებულება იყო ბოლო ბასტიონი, რომელიც დიდი გაჭირვებით დასცა ე.წ. ვარდების რევოლუციამ. ამ უწიგნურთა „რევოლუციის“ პირველმა დარტყმითმა ტალღამ ყველა და ყველაფერი გადათელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა. სწორედ ამიტომ მოგვიანებით განსაკუთრებით ძლიერი, სპეციალურად მომზადებული უსამართლო და ცილისმწამებლური ნიაღვარი დაატყდა თსუ-ს.**

კორუფციასა და მექრთამეობაში კოლექტიური ბრალდებით **საუნივერსიტეტო საქმიანობას ჩამოაშორეს ღვაწლმოსილი, პროფესიონალი, დამსახურებული ლექტორების 90 პროცენტი და თსუ გამოტენეს ლაწირაკი გოგო-ბიჭებით, რომლებსაც არც პედაგოგიური პრაქტიკა ჰქონდათ და არც შესაბამისი ცოდნა-განათლება, არც ინტელექტი და არც გამოცდილება. მათი ერთადერთი „პლუსი“ სწორედ ის იყო, რომ სადღაც, უცხოეთის რომელიღაც სასწავლებელში ორჯერ შეიხედეს დერეფანში.**

მავანს უცხოეთში სწავლის კატეგორიული წინააღმდეგი რომ არ ვეგონო, ამიტომ კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: **კი, ბატონო, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, წაბრძანდეს და ისწავლოს! უბრალოდ, ეს არ უნდა იყოს ვინმეს ვინმეზე უპირატესობის უპირობო არგუმენტი; მით უმეტეს ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სახელმწიფო დონეზე გაფეტიშებული რაიმე სტატუსი „უცხოეთში განათლებამიღებულისა“ და ამ სტატუსის მქონეს არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პრივილეგიები.**

ეს მომავლისთვის გზის მიცემა, მომავლის შენება და განვითარება კი არა, მომავლის საბოლოო დასამარებაა, დაღუპვა და განადგურება!

კი, ბატონო, **ისწავლოს მავანმა შეძლებული ოჯახის შვილმა უცხოეთში, ჩამოვიდეს და სრულიად თანაბარ პირობებში, თანაბარი სტარტით და კონკურენციით დაუმტკიცოს ადგილობრივ კადრებს, რომ იგი რაღაცით მეტია მათზე! და არა ისე, რომ ჩამოვიდა ვიღაც სულელი, რომელმაც, კიდევ ვიმეორებ, ორჯერ შეიხედა რომელიღაც უცხოური უმაღლესი დაწესებულების დერეფანში და ამის გამო პირდაპირ, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, უპირობოდ უნდა ვაღიაროთ „ყველაზე ჭკვიანად“ ამა თუ იმ სფეროში.**

სამწუხაროდ, **არც იმის კონტროლი არსებობს, უცხოეთიდან მავანთა მიერ ფრიალ-ფრიალით ჩამოტანილი „დიპლომები“ მართლა სრული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომებია, თუ 3 ან 6-თვიანი კურსების „მოსმენის“ სერტიფიკატი.**

ვიცნობ არაერთ ასეთ „უცხოურად განათლებულს“, რომლებიც სულ 2-3 წელიწადს იყვნენ საზღვარგარეთ და უკან დაბრუნებულნი უტიფრად გვიმტკიცებენ, რომ იქ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს და თანაც წარჩინებით. არადა, **არ არსებობს მსოფლიოში არც ერთ უნივერსიტეტი, რომელშიც სრული უმაღლესი კურსი 2-3 წელიწადში ისწავლებოდეს, ხოლო მართლაც სერიოზული და სახელმოხვეჭილი უნივერსიტეტების სრული დიპლომის აღებას ზოგჯერ 7-8 წელიწადიც კი სჭირდება.**

**მაშ, საიდან ამდენი 20-25 წლის „უცხოურად განათლებული“ გოგო-ბიჭების ცვენა?!**

დიდი აკაკი წერეთლის არ იყოს, რომელსაც ნიშნისმოგებით უთხრეს, — შენ რომ ერთ კაცზე ამბობდი, ძალიან სულელიაო, იცი, რომ უცხოეთში წასულა სასწავლებლადო?

— უი, დავიღუპეთო! — შეიცხადა აკაკიმ.

— რატომო? — გაუკვირდა მოსაუბრეს.

— აქამდე მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, რა სულელიც იყო და ახლა უცხოეთშიც გაიგებენ და თავი მოგვეჭრებაო! — დამწუხრებული სახით უპასუხა თურმე დიდმა პოეტმა.

მოდი, მეც გაჭრილად და პირდაპირ ვიტყვი: **უცხოეთში განათლებამიღებულ არაერთ სულელს ვიცნობ პირადად და სულაც არ მინდა, ჩემი ქვეყნის ბედს ასეთი სულელები განაგებდნენ!**

**დიახ! უცხოეთში განათლების მიღება სულაც არ ნიშნავს უპირობოდ ვინმეს გენიოსობას, განსაკუთრებულობას, გამორჩეულობას, ინტელექტს და გონიერებას.**

**არ შეიძლება საზოგადოება და, მით უფრო, სახელმწიფო, მთავრობა იმ დონის, პირდაპირ ვიტყვი, გოიმი იყოს, რომ „უცხოეთში განათლების მიღება“ აღიაროს ძირითად პრიორიტეტად და უცხოეთიდან დაბრუნებულ სტუდენტებს უყუროს, როგორც რაღაც არამიწიერ არსებებს და მათი თაყვანისცემა მოსთხოვოს „ბანძ ქართულ უმაღლესებში“ განათლებამიღებულ, მართლაც მონდომებულ, უნიჭიერეს, ცოდნას მოწყურებულ, მაგრამ ხელმოკლე და უცხოეთში წასვლის ვერშემძლე ახლაგაზრდებს.**

ვიცი, უამრავ „საპირწონე“ არგუმენტს მომიყვანს ზოგიერთი — აქაოდა, ხელმოკლეობა არაფერ შუაშია, სახელმწიფო ნებისმიერ ხელმოკლეს შეუწყობს ხელს უცხოეთში გამგზავრებაში, ამის შესაბამისი პროგრამები არსებობსო და ა. შ.

არ გინდათ, რა!

**ყველამ ხომ ძალიან კარგად ვიცით, ვისაც შეუწყობენ ხელს, ვის დააფინანსებენ და როგორც მოხდება ეგ ყველაფერი...**

სიმართლის გარკვევის ყველაზე საუკეთესო საშუალება თანაბარი სასტარტო პირობები და ჯანსაღი კონკურენციაა.

მანამდე კი **იმაზე ვიზრუნოთ, რომ „ნაცების“ მიერ პოლიტიკური მოტივით ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში შეყრილი „გაპროფესორებული“ უვიცები, რომლებიც სწორედაც რომ უცხოური განათლებით „გვემარიაჟებიან“ და ამ დროს სრული რეგვენები გახლავან, როგორმე გამოვდევნოთ იქიდან და ასპარეზი მართლაც ღირსეულ, გონიერ პედაგოგებს მივცეთ.**

აი, ასე უნდა მოვიქცეთ, იმის ნაცვლად, რომ სამთავრობო დონეზე ვიძახოთ, — ამ ქვეყანაში სამსახური, დაფასება, ხელშეწყობა, უზრუნველყოფილი მომავალი და გარანტირებული კარგი ცხოვრება მხოლოდ იმათ ექნებათ, ვინც უცხოეთში წავა და იქ მიიღებს განათლებასო.

ეს, პირდაპირ ვიტყვი, სახელმწიფოებრივი დანაშაულია!

და, **თუკი მაინც არ მეთანხმებით, მაშინ მიპასუხეთ: რა ჯანდაბად გვჭირდება ეს ამაყად გამოცხადებული „საერთო ეროვნული გამოცდები“? რაღაზე ვაწვალებთ ჩვენს შვილებს? რაღაზე ვიხდით თანხებს მათი საგამოცდოდ მომზადებისთვის?** მოდი, სკოლის დამთავრებისთანავე პირდაპირ გავუშვათ უცხოეთში შვილები და საერთოდ გავაუქმოთ დიდი ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მიერ დაარსებული. დღემდე ამაყად მდგარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**ისე მაინტერესებდა სანახაობა, დავგმე ბიძინა 5-ჯერ(!) და მოულოდნელად არაამქვეყნიურმა ძალამ დიდი სიჩქარით მომისროლა და მეც იმ ადგილზე აღმოვჩნდი. მივუახლოვდი და... ლევან ვარშალომიძე არ ყოფილა?! ეჰ, ჩავიქნიე ხელი, 41-ჯერ დავგმე მიშა და უკან, ჩემს საძინებელში დავბრუნდი.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გათენებამდე ბიძინა 5-ჯერ დავგმე!

**ნაშუაღამევი იყო, საათს დავხედე და სამი სრულდებოდა. გადავიფარე ზეწარი და ძილს მივეცი თავი. ცხელოდა და ფანჯარა ღია მქონდა. ის-ის იყო ძილის სიღრმეში მივდიოდი, თვალებში რაღაც უნცაურმა შუქმა მომანათა. ვიფიქრე, ასე მალე როგორ გათენდა-მეთქი, მაგრამ ჩემივე ეჭვების არ დავიჯერე და გადავტრიალდი, რათა სინათლეს არ შევეწუხებინე. ამაოდ, ამჯერად საოცრად დამცხა და თითქო ზურგზე რაღაც მკბენდა. ველარ დავიძინე, გამოვფხიზლდი. შუქი თვალებში მანათებს. წამოვდექი, ფანჯარაში გავიხედე და სასწაულიც დავინახე: ციდან დაეშვა თეთრი მარხილი და ზედ თვალებაციმციმებული, ღაჟღაჟალოყებიანი ყმაწვილი შევნიშნე, მსგავსი ანგელოზისა, რომელიც არასდროს მენახა.**




**მოდიოდა და მოდიოდა დედამიწისკენ მისი სახება. შორიდან ირმებზე შებმული ზანზალაკების ხმაც ისმოდა, დაახლოებით ისეთი, სანტა-კლაუსის ზღაპრებში რომაა. როგორც იქნა, დაეშვა მიწაზე ახალგაზრდა სახებაბადრული ყმაწვილი და მოჰფინა ნათელი იმ ადგილს. მოულოდნელად ხალხის ტალღა მოაწყდა ყველა კუთხიდან, არაამქვეყნიური ხმები ისმოდა. ეს იყო ხმა აღტაცებისა, იმედისა და სიხარულისა. ყველა იმ ადგილისკენ გარბოდა, ყურში კი საიდანღაც ჩამესმა: «ლევანი ჩამოსულა»**

ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევდა და შუქიც ერთ წერტილში იყო კონცენტრირებული.

მოდიოდა და მოდიოდა დედამიწისკენ მისი სახება. შორიდან ირმებზე შებმული ზანზალაკების ხმაც ისმოდა, დაახლოებით ისეთი, სანტა-კლაუსის საახალწლო ზღაპრებში რომაა. როგორც იქნა, დაეშვა მიწაზე ახალგაზრდა სახებაბადრული ყმაწვილი და მოჰფინა ნათელი იმ ადგილს. მოულოდნელად ხალხის ტალღა მოაწყდა ყველა კუთხიდან, არაამქვეყნიური ხმები ისმოდა. ეს იყო ხმა აღტაცებისა, იმედისა და სიხარულისა. ყველა იმ ადგილისკენ გარბოდა, ყურში კი საიდანღაც ჩამესმა: „ლევანი ჩამოსულა“. ცოტა შევშინდი, ასეთი რამ არასდროს მენახა და ვიფიქრე, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი. **შევედი სააბაზანოში და ცივი წყალი შევისხი სახეზე, გამოვტრიალდი და ისევ ფანჯარაში გავიხედე. არა, არ გავგიჟებულვარ, აშკარად რეალობაა და ვცდილობ, გავერკვე, — ვინ არის ლევანი, მის გამო ასეთი ამბები რომ ხდება. ჩავიცვი, შიშიც და გაოცებაც გადავლახე და გადავწყვიტე, ჩავიდე.**

**ბათუმში სანაპიროსთან ვცხოვრობ და ეს ამბებიც იქვე ხდებოდა. მივდივარ და მახსენდება ფილმ „ნატვრის ხის“ ბოლო ეპიზოდები, როცა ყველა სადღაც გარბის გაურკვევლად, თუმცა ამ შემთხვევაში ადამიანები სიხარულით გარბოდნენ. ერთ-ერთს დავეწიე და ვკითხე, რა ხდებოდა, სად მიდიოდა. მან მიპასუხა, — ლევანი ჩამოვიდაო.**

ჯერ კიდევ ვერ გავერკვიე, ვინ არის ლევანი. ალბათ, თქვენც გქონიათ სიზმარში განცდა, როდესაც ცდილობთ, სადღაც მიხვიდეთ და ვერ მიდიხართ. მეც ასე დამემართა, მივდივარ და ვერაფრით მივაღწიე იმ ადგილამდე. მხოლოდ შორიდან ვხედავ ადამიანებს, რომლებიც „ლევანის“ გარშემო დგანან, ის მადლმოსილი სახით უღიმის თითოეულ მათგანს და ეფერება.

მოულოდნელად ცაზე კიდევ ერთი ნათება გამოჩნდა, რომელსაც საოცრად ამაზრზენი ხმა მოჰყვა. წინა შემთხვევაში თუ მარხილი დაეშვა ციდან, ამჯერად დავინახე მფრინავი გარეული ტახები, დიდი ეშვებით, რომლებიც სინათლის სისწრაფით მოფრინავდნენ ამ ადგილისკენ. ნაბიჯს ავუჩქარე, მივრბივარ და მაინც ვერ მივდივარ იმ ადგილამდე, თითქოს ქანცი მეცლება, რაღაც ძალა მაკავებს, ამ დროს ყურში ჩამესმა უცნაური ხმა: „იქ მხოლოდ რჩეულები მიაღწევენ, ნუ ცდილობ იქ მისვლას, სადაც არ მიგესვლება“.

და გაუჩინარდა, თუმცა ის არც გამოჩენილა, მხოლოდ ხმა მომესმა. ვფიქრობდი, როგორ გავმხდარიყავი რჩეული, რათა იქამდე მიმეღწია. უცებ ისევ ჩამესმა ხმა: „თუ გინდა მიაღწიო მათთან, 5-ჯერ უნდა დაგმო ბიძინა!“

ისე მაინტერესებდა სანახაობა, დავგმე ბიძინა 5-ჯერ(!) და მოულოდნელად არაამქვეყნიურმა ძალამ დიდი სიჩქარით მომისროლა და მეც იმ ადგილზე აღმოვჩნდი.

მივუახლოვდი და... ლევან ვარშალომიძე არ ყოფილა?! ეჰ, ჩავიქნიე ხელი, 41-ჯერ დავგმე მიშა და უკან, ჩემს საძინებელში დავბრუნდი.

**ციური მესია**

# ექსპერტები ამტკიცებენ, რომ 20-ლარიანსა და 10-ლარიანს შორის დიდი სხვაობაა




**მოგეხსენებათ, როგორც ყველა წინასაარჩევნო პერიოდში, 2016 წლის ოქტომბრის არჩევნების წინაც კიდევ ერთხელ გამოცხადდა პენსიის მომატების შესახებ. ამჯერად პენსიამ მთელი 20 ლარით მოიმატა, მაგრამ ქართველი ხალხის უმადურობის შესახებ ხომ უკვე არაერთხელ გვითხრეს ბიძინა ივანიშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა, ზუსტად ისე, როგორც აქამდე მიხეილ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები გვეუბნებოდნენ, უფრო მანამდე — ედუარდ შევარდნაძე და მისი მხარდამჭერები და კიდევ უფრო მანამდე — ზვიად გამსახურდია და მისი მხარდამჭერები.**

მოკლედ, ეს უმადური ქართველი ხალხი ვერასოდეს აფასებს საკადრისად ამ ჩვენს საამაყო პოლიტიკურ ლიდერებს. ასე მოხდა ამჯერადაც: პენსიის 20 ლარით მომატების დაპირება არავინ არაფრად ჩაუგდო ბატონი ბიძინას მთავრობას, პირიქით — აქირქილდნენ კიდეც; „რა იყო, 20 ლარს რომ გვიგდებენ, მათხოვრები ხომ არ ვართო?!“

აი, ამ საკითხის გარკვევას შეეცადა ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი და, როგორც ყოველთვის, გაარკვია კიდეც. აღმოჩნდა, რომ ქართველი ერი მართლაც უმადურია და სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილი სულაც არ უყურებს პენსიონერებს, როგორც მათხოვრებს. ამაში დაგვარწმუნა ერთმა შემთხვევამ, როდესაც ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი უთვალთვალებდა **ნოდარ ხადურსა** და **ბიძინა ივანიშვილს.** მოსახლეობასთან ერთ-ერთი შეხვედრისას ბიძინას წინ გადაუდგა ერთი ხანში შესული ქალბატონი და მიმართა: „ბატონო ბიძინა, თუ შეიძლება ერთ წუთით, თხოვნა მაქვს თქვენთან“.

ბიძინა ივანიშვილმა იმ წამს იშიშვლა 10-ლარიანი და გვერდით მომავალ ხადურს (მაინც, ყოველი შემთხვევისთვის) კონსულტაცია სთხოვა: „ნოდარ, ეს, მგონი, მათხოვარია და რა ვქნა, მივცე 10-ლარიანი?“

გამოცდილი ფინანსთა მინისტრი უმალ გაერკვა ვითარებაში და ბელადს შეცდომის დაშვების საშუალება არ მისცა: „არა, ბატონო ბიძინა, ეგ მათხოვარი არ არის, ეგ პენსიონერია და ჯობს, 20-ლარიანი მისცეთ!“

ნოდარის ამ სიტყვებზე ბიძინაც უმალ მოეგო გონს, სასწრაფოდ ჩააბრუნა საფულეში 10-ლარიანი, მერე იქიდან ახალი, ტკიცინა წითელი 20-ლარიანი ამოიღო და პენსიონერს გადასცა(!).

აი, ასეთი შემთხვევის შემდეგ ნუთუ მოუბრუნდება ენა ვინმეს იმის სათქმელად, ბიძინა ივანიშვილი მათხოვარსა და პენსიონერს ვერ არჩევსო?

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც მაინც ბოლომდე უმადურები რჩებიან და გველებივით სისინებენ — „აუფ, დიდი ამბავი! 10 ლარის მაგივრად 20 ლარი თუ მისცეს პენსიონერებს, ვითომ რა დიდი განსხვავებაა?“

ამაზე, რა თქმა უნდა, საკუთარი პოზიცია გამოთქვეს „20/30“-ის ექსპერტებმა. მათი




დაჟინებული მტკიცებით, 10-ლარიანსა და 20-ლარიანს შორის ზუსტად იმდენივე განსხვავებაა, რაც 20-ლარიანსა და 30-ლარიანს შორის(!). ერთი ეგაა, რომ 30-ლარიანი კუპიურა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი „20/30“-ის ექსპერტების რჩევით მალე ამ ხარვეზსაც გამოასწორებს ქართულ ეკონომიკაში.

ჰო, კიდევ 10-ლარიანსა და 20-ლარიანს შორის ის განსხვავებაცაა, რომ ერთი მოლურჯო ფერისაა, მეორე კი — მოწითალო. ამასთანავე, ერთს აკაკი წერეთელი ახატია, მეორეს — ილია ჭავჭავაძე... მოკლედ, ვინც უმადური არ არის და დიადი ბიძინას ღვაწლის დაფასების სურვილი აქვს, ძალიან კარგად ხედავს ამ განსხვავებებსო, — ამბობენ „20/30“-ის პროფესიონალი, ძალიან გამოცდილი და პირუთვნელი ექსპერტები.

**ბეჩა ბაბაია**

შორია გეურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიცნობ რუს პოლიტიკოსებს, აგრეთვე — ჟურნალისტებსაც. ისინი ჩემთან საუბრისას საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ... კარგი მენეჯერი სჭირდება ქართულ პოლიტიკას, ქართველ პოლიტიკოსებს კი — ბევრი ფიქრი. გამოსავალი ყოველთვის არსებობს“.**




## ესპანეთი გიბრალტარის დაბრუნებაზე ალაპარაკდა

**დასავლური მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ესპანეთი კვლავ ალაპარაკდა გიბრალტარის სრუტის დაბრუნებაზე. ამის შესახებ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე მანუელ გარსია-მარგალიომ განაცხადა.**

ესპანეთს გიბრალტარის დაბრუნების შანსი „ბრექსიტის“ შემდეგ გაუჩნდა. „ეს მოვლენა ახალ პერსპექტივებს ხსნის“, — განაცხადა გარსია-მარგალიომ და დასძინა, რომ **„ესპანეთი, უბრალოდ, ვალდებულია, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს „ბრექსიტი“, რათა დაიბრუნოს გიბრალტარის სრუტე, რომელზეც, აგერ უკვე 300 წელიწადია, კამათი გრძელდება“.**

გიბრალტარის სტრატეგიული მნიშვნელობა პირველად არაბებმა დააფასეს XIII საუკუნეში, როდესაც აფრიკიდან ესპანეთში შეიჭრნენ და ციცაბო კლდეებზე ციხესიმაგრე ააშენეს. ამ ციხესიმაგრეს თავიანთი მხედართმთავრის **ტარიკ იბნ სეიდ ჯებოლ ატ-ტარიკის** („ტარიკის მთა“) უწოდეს. დროთა განმავლობაში ამ სახელმა ცვლილება განიცადა და გარდაიქმნა გიბრალტარად. მე-14 საუკუნეში გიბრალტარი კასტილიელებმა დაიპყრეს. 1704 წელს კი გიბრალტარი ინგლისელებისა და ჰოლანდიელების ესკადრამ ჩაიგდო ხელთ და 9 წლის შემდგომ, უტრეხტის შეთანხმების მიხედვით, ბრიტანელებმა დაიკანონეს. 1830 წელს გიბრალტარი ოფიციალურად გახდა ბრიტანეთის კოლონია.

1967 წელს გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ II გიბრალტარს კონსტიტუცია და თვითმმართველობა „უბოძა“ ყველა საკითხში, შიგა და გარე უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის გარდა.





# «ნატოს ჯარი რომ შემოვიდეს, ამას რაც მოჰყვება, გათვითცნობიერებული გვაქვს?!»

**ოთხი წელია, 39 წლის მარიანა თავაძე ემიგრანტია. ამჟამად რუსეთის ქალაქ ასტრახანში ცხოვრობს და მუშაობს ექიმად. საქართველოში ყოფნისას პოლიტიკაშიც მოღვაწეობდა, რამდენიმე პარტიას პიარს უწევდა. თანამშრომლობდა თურქეთის ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიასთან ოჯახური ძალადობის კონცეფციაზე. მუშაობს ორ პროექტზე — „რატომ იხრება არასრულწლოვანთა ფსიქიკა კრიმინალისკენ“ და „პრევენცია არასრულწლოვანებში ნარკომანიის მიდრეკილების თავიდან ასაცილებლად“.**



**— ქალბატონო მარინა, რატომ დატოვეთ საქართველო?**

— ოთხი წელია, საქართველოდან წამოვედი. წარმოშობით გორელი ვარ. აგვისტოს ომის დროს კასეტური ბომბის ნამსხვრევი მომხვდა, რის შემდეგაც ასთმა დამემართა. როდესაც გამოვკეთდი, სამსახურის პოვნის პრობლემა შემექმნა. სიამაყის გამო ვერავის ვთხოვე დახმარება, არადა, ძალიან ბევრმა ნაცნობმა, მათ შორის, პარლამენტარმა, იცოდა, რის გამოც ველარ ვმუშაობდი. სამწუხაროდ, არავის შემოუთავაზებია სამსახური. ჩემი მეუღლე პოლიციის ოფიცერი იყო და ათი წლის წინათ გარდაიცვალა. ორი სტუდენტი შვილით უშემოსავლოდ დავრჩი. ამიტომ იძულებული შევიქენი, ასტრახანში წამოვსულიყავი...

**— რუსეთში ბევრი ქართველია. მოგეხსენებათ, როგორაა დაძაბული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. თქვენი აზრით, როგორი სიტუაციაა რეალურად რუსეთში, როგორაა ხალხი განწყობილი მთავრობის მიმართ და რას ფიქრობენ ქართველებზე?**

— ქართველები აგვისტოს ომს პოლიტიკოსების შეცდომებს აბრალებენ. საზოგადოდ კი, სხვადასხვაგვარი თვალსაზრისია დამკვიდრებული მოსახლეობაში. ზოგს ჰგონია, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი გახდება, თუ რუსეთი ძლიერი არ იქნება. არიან ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტი კავშირი სურთ ევროპასთან, ზოგს სირიის ომის შემდეგ სწორედ რუსეთი ჰგონია ლიდერი მსოფლიო ასპარეზზე. სირიის პრობლემას კი დასავლეთს აბრალებენ. რუსეთის ხელისუფლება, ჩემი დაკვირვებით, მოსახლეობის გულის მოგებაზე ფიქრობს, ინარჩუნებს სიძლიერეს და მსოფლიოში თავისი ინტერესების დასაცავად ყველაფერს აკეთებს. რაც შეეხება რეფორმებს, ნელი ტემპის რეფორმის მომხრეები არიან. რუსეთს „პოლიტიკური ვაჭრობა“ უყვარს, დიპლომატია და რატომ ვერ ვიყენებთ ქართველები ამას, გაუგებარია. **რუსეთთან მტრულმა ურთიერთობამ, ვხედავთ, რაც მოიტანა. აუცილებელია, აღდგეს სავაჭრო ურთიერთობა. აუცილებელია, მეზობელ ქვეყანასთან გამოვნახოთ საერთო ენა. მეშინია, საქართველო ისრაელივით ორ ცეცხლს შუა არ აღმოჩნდეს და თვითმყოფადობა არ დაკარგოს. ტერიტორიებს კი შეველიეთ, მაგრამ, ნატოს ჯარი რომ შემოვიდეს, ამას რაც მოჰყვება, გათვითცნობიერებული გვაქვს?**

**— რუსეთში მცხოვრები ქართველები ჩართულნი ხართ საქართველოს საშინაო პოლიტიკაში? როგორია თქვენი აზრი საქართველოს ძველ და ამჟამინდელ ხელისუფლებაზე?**

— წინა არჩევნებში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დასამარცხებელი. ახლა არის შესაძლებლობა, მრავალპარტიული პარლამენტი ჩამოყალიბდეს. იდეებისა და კონცეფციების კორიანტელი უნდა იყოს. პარტიები რატომღაც გვერდს უვლიან მთავარს, აგვისტოს ომის გამოძიებას დაჰპირდა ალასანია მოსახლეობას, მაგრამ ვერაფერი გააკეთა. რაც შეეხება მედიას, თავისუფლება აშკარაა. „რუსთავი 2“ კი აქამდეც უნდა გადასცემოდა მფლობელს. არ მომწონს პრეზიდენტის რწმუნებულების მუშაობაც. ამბობენ, ქართლის რწმუნებული მოსახლეობაში არც დადისო. **სამწუხაროა, რომ დღემდე არ გამოუძიებიათ ბევრი საქმე. არადამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავთ მტკიცებულებად. ყველა მინისტრი თვეში ერთ დღეს მაინც უნდა პასუხობდეს მოსახლეობის კითხვებს.** სამწუხაროა, რომ არც მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნა პარლამენტში.

**— როგორი დამოკიდებულება აქვთ რუსებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ და თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— რუსებისთვის ერთნაირსქესიანთა ქორწინება მიუღებელია. არა მგონია, ამას ევროპა გვავალდებულებდეს, მაგრამ პრევენციისთვის აუცილებელია ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონით აკრძალვა ან ასეთი პირების მკურნალობა. **როგორ შეიძლება დავაკანონოთ ის, რასაც შეუძლია ჩვენი კულტურის, ტრადიციების გაუფასურება?! რომელ ქართველ მშობელს მოეწონება, თავისი ვაჟი რომ ეტყვის, — მამა, ვთხოვდებიო... ან ქალიშვილი — ცოლი მომყავსო?!** ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. შეიძლება დიდი ბრძოლა დაგვჭირდეს ჩვენი ღირებულებების დასაცავად, მაგრამ წყალი არ გაუვა, რომ ქართველები ამას ვერ აიტანენ. ქართველი ვაჟკაცები და მანდილოსნები სხვა სულით, შეგნებით არიან აღზრდილები, ამიტომ ამას არავინ დაუშვებს.

**— დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი, როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება ბრიტანელებმა და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას?**

— ევროკავშირში ქვეყნის წევრობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — **დევიდ კემერონის** წინასაარაჩევნო დაპირება იყო და შესრულდა. უბრალოდ, შედეგზე არ უფიქრიათ... ან იქნებ დაფიქრდნენ კიდეც. ევროპა ისედაც ორად იყო გაყოფილი. ზოგი ექსპერტი ამას რუსეთის თამაშს მიაწერს. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ყველაფერს დააჩქარებს. **რამდენიმე თვის წინათ იწინასწარმეტყველა საბერძნეთის პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა ევროკავშირის ტრანსფორმაცია. ნატოს ტრანსფორმირებაც გარდაუვალია. ვნახოთ, რა მოხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ლიდერები მოუმზადებლები არიან ახალი პრობლემების მოსაგვარებლად.**

**— რას შემოუთვლიდით მონატრებულ საქართველოს, გეგმავთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?**

— საქართველო ჩემი ფესვებია. ნოსტალგია, როგორც თავისუფლების უშრეტი წყარო, ჩემს სულს კვებავს. რამდენიმე პროფესია მაქვს, რამდენიმე ქვეყანა მოვიარე და რამდენიმეშიც ვგეგმავ ვიზიტს, მაგრამ სამშობლოში ღირსეული ცხოვრება უფრო აღმატებულია, ვიდრე უცხოეთში. რამდენიმე წელი ევროპაში ვმუშაობდი. ახლა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მომიწია ექიმად მუშაობა, მაგრამ სულიერად მაინც მანდ ვარ და ჩამოსვლისთანავე ემიგრანტებისთვის სპეციალური საიტის შექმნას ვაპირებ, რომელზეც ისინი საკუთარ ინიციატივებს გაასაჯაროებენ. ემიგრანტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. რუსეთში ცხოვრება არ მიჭირს. ვიცნობ რუს პოლიტიკოსებს, აგრეთვე, ჟურნალისტებს. ისინი ჩემთან საუბრისას საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ... კარგი მენეჯერი სჭირდება ქართულ პოლიტიკას, ქართველ პოლიტიკოსებს კი — ბევრი ფიქრი. გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

**«რუსეთთან მტრულმა ურთიერთობამ, ვხედავთ, რაც მოიტანა. აუცილებელია, აღდგეს სავაჭრო ურთიერთობები. აუცილებელია, მეზობელ ქვეყანასთან გამოვნახოთ საერთო ენა. მეშინია, საქართველო ისრაელივით ორ ცეცხლს შუა არ აღმოჩნდეს და თვითმყოფადობა არ დაკარგოს»**

**«როგორ შეიძლება დავაკანონოთ ის, რასაც შეუძლია ჩვენი კულტურის, ტრადიციების გაუფასურება. რომელ ქართველ მშობელს მოეწონება, თავისი ვაჟი რომ ეტყვის, — მამა, ვთხოვდებიო... ან ქალიშვილი — ცოლი მომყავსო?!»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**ტენდენცია, რომელიც სულ უფრო გამოკვეთილი ხდება, მიგვანიშნებს, რომ ნარკოტიკების პროპაგანდის საწინააღმდეგოდ სპეციალური მუხლის შემოღების ნაცვლად ჩვენი პარლამენტის წევრები ხშირად თავგამოდებით იბრძვიან, ვთქვათ, მარიხუანის დეკრიმინალიზაციისთვის.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ ასე შეიძლება შევაფასოთ ის რეალობა, რომელიც საქართველოს ტელესივრცეშია დამკვიდრებული. უნებურად?
შეიძლება ასეც ვთქვათ, მაგრამ, სინამდვილე საშიშროების შემცველი რომ არის, ფაქტია.
„მაი ვიდეო“ იქნება თუ ცალკეული ტელეპროგრამები, ყველა გაჟღენთილია ასეთი დაყოვნებული ეფექტის მქონე რეკლამით.
ექსკლუზიური ფსონების პროპაგანდა „ევროპაბეთისა“ თუ „აჭარა ბეთკომის“ დაკვეთით, ლუდსახარში მონოპოლისტი კომპანიების პროდუქციის, სიგარეტისა და ა.შ. რეკლამირება, თურმე, ისეთი ნეგატივის მქონეა, რომელზეც ტელემაყურებელს წარმოდგენაც არ აქვს.
არადა, მას ეხება უშუალოდ.
ამ სპეციფიკურ პრობლემაში გარკვევას სპეციალისტების კვლევებზე დაყრდნობით შევეცდებით.**

# ნარკომანიის პროპაგანდა ეკრანზე

დავიწყოთ **ელექტროსიგარეტის** პროპაგანდით. რეკლამა გვარწმუნებს, რომ იგი, ეს სიგარეტი, ძალიან კარგი საშუალებაა, თამბაქოს მოწევას რომ გადავეჩვიოთ. **მიაქციეთ ყურადღება: ამ ვიდეორგოლებში მეცნიერულ დასაბუთებას კი არ ვისმენთ, რატომაა ელექტროსიგარეტი ჩვეულებრივზე ნაკლებად მავნე, არამედ გვეუბნებიან „შიშველ სიმართლეს“, რომ უმჯობესია მისი მოწევა.** ადამიანი, უმეტესად — ახალგაზრდა, ასე განსჯის: რადგან ელექტროსიგარეტი ნაკლებად მავნეა, ბარემ ამას მოვწევო, მიეძალება სიგარეტს, ჯერ — ელექტროს, შემდეგ — თამბაქოს.

სანამ **კაზინოების რეკლამირების** საკითხზე გადავალთ, ისიც ვთქვათ, რომ ჩვენ, ადამიანები, სათამაშო ბიზნესთან დამოკიდებულების კუთხით რამდენიმე კატეგორიად ვიყოფით:

**პირველ კატეგორიას** მიეკუთვნებიან ისინი, ვინც, თამაშში თუ ჩაერთვება, შემდეგ თავს ველარ ანებებს, ანუ ისე იქცევა, როგორც ჩამოყალიბებული ნარკომანი ნარკოტიკთან დამოკიდებულების დროს. ასეთები 3 პროცენტამდეა.

**მეორე ჯგუფში** (დაახლოებით 5 პროცენტი), არიან ადამიანები, რომლებიც აზარტულ თამაშში აგებენ იმ რაოდენობის თანხას (ქონებას), რომელიც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არ არის. მაგალითად, წააგებს მანქანას, მაგრამ ბინას — არასოდეს.

**მესამე ჯგუფი** შედგება ისეთი მოთამაშეებისგან, რომლებიც აგებენ მხოლოდ ჯიბის ფულს.

**მეცნიერულმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ ადამიანებს აზარტული თამაშისკენ, არც მეტი, არც ნაკლები, უბიძგებს რეკლამა.**

ეკრანიდან გაუთავებლად რომ გვესმის მოწოდება: მოდი, ითამაშე და მოიგებ, იმ სამ პროცენტს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, აზარტულ თამაშში ითრევს. ეს „სამპროცენტიანი“ რეკლამას თავისი გავლენის ქვეშ რომ არ მოექცია, შეიძლება ისე გარდაცვლილიყო, აზარტულ თამაშზე არც ეფიქრა. და ვერც იმას შეიტყობდა, რომელ ჯგუფს განეკუთვნებოდა.

ამის არცოდნა დიდი უბედურება არ არის, მაგრამ მთავარია, რა განსაზღვრავს მის ჩათრევას, ინტერესის გაჩენას, აყოლას ნარკოდამოკიდებულების მსგავსად აზარტული თამაშებისადმი.

ამის მიზეზი თურმე გენეტიკური და ბიოლოგიური ფაქტორებია, მხოლოდ სოციალური არა. **ადამიანების ნაწილს გარკვეული დეფიციტი აქვს სიამოვნების მიღების. დადასტურებულია, რომ მოლოდინი მოგების, რომელიც თამაშში ჩართულ ადამიანს უჩნდება, ააქტიურებს დამოკიდებულების ამ სისტემებს.**

თანდაყოლილს.

ახლა — **ალკოჰოლის** შესახებ, რომელიც საქართველოში საკმაოდ მძიმე პრობლემად გვექცა. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო მეორე ადგილზე იყო ალკოჰოლიკების სიმცირით, პირველზე — სომხეთი. იმ პერიოდში ჩატარებული ერთი მიკროგამოკვლევით გაირკვა, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებს შორის გაცილებით ნაკლები ალკოჰოლიკი იყო, ვიდრე რუსეთში მცხოვრებ რუსებს შორის (შესაბამისი პროპორციები გამოკვლევაში დაცული იყო). იმხანად ამ მიმართულებით კვლევა ვერ გაგრძელდა, რადგან მიიჩნიეს, რომ ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით მოძმე რესპუბლიკას...

ჩვენ კი გავჩერდით, მაგრამ პრობლემა გაფართოვდა, გამწვავდა და პრაქტიკულად გადაულახავი შეიქნა... სადარდებელი ის გვაქვს, რომ საქართველოში ვითარება დაგვიმძიმდა. გამოკვლევა ამ მიმართულებით, მართალია, არავის ჩაუტარებია, მაგრამ **არაპირდაპირი მონაცემებით ირკვევა, რომ ალკოჰოლის მოხმარებამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში, ძალიან მოიმატა.**

არ იფიქროთ, რომ გაგვილოთდნენ ახალგაზრდები.

არა, მაგრამ უარესი რამ ხდება. **საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებლების საკმაოდ დიდი, შემაშფოთებლად დიდი რაოდენობაა.**

აი, ამ კატეგორიის ახალგაზრდები, ნარკოტიკს როცა ვერ შოულობენ, მას ალკოჰოლით ჩაანაცვლებენ.

**მართალია, ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგალითად, აკრძალა ქუჩაში ალკოჰოლის მოხმარება, მათ შორის, ლუდის. მაგრამ იმ რეკლამების ეკრანზე ტრიალი, რომ ახლა ფეხბურთია (ევრო-2016), იყიდე ლუდი და „ნატახტართან“ ან „არგოსთან“ ერთად მატჩების ცქერით ისიამოვნეო, ხელს უწყობს ამ პრობლემის გაღრმავებაგაფართოებას.**



ფაქტობრივად, ახალ ტრადიციას გვიმკვიდრებენ, შეიძლება, უნებურადაც. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ **იმ პერიოდში, როცა თბილისის „დინამო“ დინამოობდა, ფეხბურთელები ისტერიკული დედაკაცებივით არ კიოდნენ ყოველი გატანილი ბურთის შემდეგ, ბორია პაიჭაძეობდა, მიშა მესხობდა, დათო ყიფიანობდა და თამაშების გაყიდვა აზრადაც არავის მოსდიოდა, „დინამოს“ სტადიონზე მთვრალი კაცის მისვლა ფეხბურთის შეურაცხყოფად ითვლებოდა** (თამაშის შემდეგ — შესვი, შეგერგოს!).

ახლა თურმე ლუდის „ბრენდებით“ ჩაბუჟბუჟებული, უნდა „ჩაჯდე“ ეკრანთან და სვა მანამდე, სანამ დაცლილი ნახევარლიტრიანი ბოთლების რაოდენობა გატანილი და მიღებული ბურთების რაოდენობაში არ აგერევა.

ამის უკან, გვიმტკიცებენ მედიკოსები, დგას ნარკომანიის წახალისების პრობლემა, ცოტა სხვაგვარად — ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემა. ის, რაც ალკოჰოლური პროდუქციის რეკლამირების საქმეში ხდება, დამატებით ხიფათს უქმნის ჩვენს საზოგადოებას — სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

**ამ უბედურებას ემატება ისიც, რომ ლუდის სასმელად ქალებსაც იწვევენ, რაც ჩვენთვის ოდითგანვე მიუღებელი იყო, ხოლო მედიცინის თვალსაზრისით — მრავალმხრივ მავნე.**

საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს კანონი ნარკოტიკებზე.. თუ არ მეშლება, ამ კანონის მე-12 მუხლში ჩაწერილია ნარკოტიკების პროპაგანდის აკრძალვა. რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და, ნაცვლად იმისა, რომ პარლამენტს დაეხვეწა და დაეკონკრეტებინა ეს კანონი, კერძოდ, დაედგინა ნარკოტიკების პროპაგანდისთვის დასჯის გარდაუვალობა, პირიქით, თავს იკლავს: **ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისთვის, ლიბერალიზაციისთვის, არავინ არ უნდა დავსაჯოთო.**

**ნუ დავსჯით, ანუ ციხეში ნუ ჩავსვამთ. შეიძლება, ასეც დავაზუსტოთ. მაგრამ ეს ცალკე თემაა. თუმცა ის ტენდენცია, რომელიც სულ უფრო გამოკვეთილი ხდება, მიგვანიშნებს, რომ ნარკოტიკების პროპაგანდის საწინააღმდეგოდ სპეციალური მუხლის შემოღების ნაცვლად ჩვენი პარლამენტის წევრები ხშირად თავგამოდებით იბრძვიან, ვთქვათ, მარიხუანის დეკრიმინალიზაციისთვის.**

„დასჯა“ დღევანდელი კანონმდებლობაში გამაფრთხილებელი ზომებით, პირობითი სასჯელის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგრამ ასეთი ლიბერალური ზომებიც კი მინიმალურად მუშაობს — სულ რამდენი ათეული კაცია დასჯილი.

ასეთია სტატისტიკა.

**ნარკოდამოკიდებულება** ურთულესი მოვლენაა, რომელიც აზიანებს არა მხოლოდ კერძო პიროვნებას, მის ოჯახს, არამედ სრულად საზოგადოებრიობას, ამიტომ აუცილებელია, არა ფეხის ხმას აყოლა (რისი მოწმენიც ხშირად ვართ), არამედ კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების აუცილებლად, მიზანმიმართულად და გადაუდებლად განხორციელება.

თითქოს მარტივი და გასაგები მოთხოვნაა, მაგრამ...

**ამას წინათ საქართველოს კონსტიტუციურმა სასამართლომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა პირი, რომელსაც 70 გრამ მარიხუანაზე ნაკლები აღმოაჩნდა, რაც ანალიტიკოსთა აზრით, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება იყო, რადგან გრამებით გამოსახული, არ იძლევა ნარკოგენულ ეფექტზე სრულ წარმოდგენას.**

კვალიფიციური გამოძიება დააკლდა ამ გადაწყვეტილებას და ნაჩქარევი აღმოჩნდა.

აქვე უნდა ვთქვათ (სპეციალისტებიც გვაფრთხილებენ) ნარკომანობის და ნარკოტიკების პროპაგანდის ერთმანეთში არევა შეცდომა იქნება. ამ შემთხვევაში ნარკოტიკების პროპაგანდისთვის დასჯაზე ვსაუბრობთ. პასუხისმგებლობაც აქედან გამომდინარეობს.

როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი?

**მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის თანახმად, რამდენადაც ამცირებ პასუხისმგებლობას იურიდიული დევნის კუთხით, იმდენადვე უნდა გაზარდო მკურნალობის საშუალებები.**

არსებობს გაეროს ე.წ. ტოკიოს რეზოლუცია, რომელიც გვირჩევს, რა ზომები უნდა განვახორციელოთ, თუ არ გვსურს დეკრიმინალიზაციის შედეგად დანაშაულის გაზრდის საშიშროება დაგვემუქროს.

**ეს ზომები ძირითადად გაძლიერებული ადმინისტრაციული ღონისძიებებია: გაფრთხილება, პირობითი სასჯელი, სამთვიანი პატიმრობა, შენიშნული პიროვნების კვირაში ერთხელ ნარკოტიკზე შემოწმება. მთელი პაკეტია. მაგრამ, რაც მთავარია, თუ ნარკოდამოკიდებულს მკურნალობა სჭირდება, სახელმწიფომ უნდა გაიღოს ყველა ხარჯი მის სამკურნალოდ.** საქართველოში წლის განმავლობაში, როგორც ირკვევა, სულ 350-მდე ადამიანს შეიძლება ვუმკურნალოთ, მეტს — არა. ეს იმ დროს, როცა ქვეყანაში ათიათასობით ნარკომანი გვყავს. ეს პრობლემაა, უწინარეს ყოვლისა, დასაბალანსებელი.

**მეთადონის პროგრამა,** რომელიც საქართველოში მოქმედებს, თავისთავად წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მასში ჩართული არ არის იმდენი ნარკოდამოკიდებული, რამდენიც ევროსტანდარტების მიხედვითაა გათვალისწინებული, ანუ მათი საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი მაინც. მაგრამ ამას, გასაგებია, დამატებითი თანხა სჭირდება.

რომელიც არ არის და ესეც გასაგებია...

ახლა დასკვნისკენ წავიდეთ. გარდა ამ ფონზე ნარკოტიკების ღია პროპაგანდისა, რომელსაც ჩვენს ტელესივრცეში ზოგჯერ გვთავაზობენ, **სიგარეტების, აზარტული თამაშების, ალკოჰოლური სასმელის (ლუდის) და ა.შ. რეკლამირება არის დამოკიდებულების სინდრომის გამჩენი. ერთი შეხედვით, თითქოს არავითარი შეხება არ აქვს ნარკოდამოკიდებულებასთან, მაგრამ დადგენილია, რომ რეალურად აქედანაც იღებს სათავეს „თეთრი სიკვდილი“.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გადაფხიკე და მოიგე (?!).**

**ახლა თურმე ლუდის «ბრენდებით» ჩაბუჟბუჟებული, უნდა «ჩაჯდე» ეკრანთან და სვა მანამდე, სანამ დაცლილი ნახევარლიტრიანი ბოთლების რაოდენობა გატანილი და მიღებული ბურთების რაოდენობაში არ აგერევა. ამის უკან, გვიმტკიცებენ სპეციალისტები, დგას ნარკომანიის წახალისების პრობლემა, ცოტა სხვაგვარად — ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემა. ის, რაც ალკოჰოლური პროდუქციის რეკლამირების საქმეში ხდება, დამატებით ხიფათს უქმნის ჩვენს საზოგადოებას — სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის კუთხით**



პარა ბელუმ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლიდან რუსეთში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვების ინტენსივობამ მოიმატა. ამჟამად რუსეთის სამხედრო კოსმოსური თანამგზავრები აკონტროლებენ აშშ-ის ტერიტორიას და დედამიწის სხვა კუთხეებს, რომლებიც ქვეყნის თავდაცვისთვის საინტერესოა.**



რადიოელექტრონული დაზვერვის რუსული სამხედრო კოსმოსური თანამგზავრი „პერსონა"



ამერიკული სადაზვერვო კოსმოსური თანამგზავრი USA241 (SBIRS-CEO2).



ჩინური კოსმოსური თანამგზავრი-ლაბორატორია „ტიანგუნ-2".

# რუსეთის, აშშ-ისა და ჩინეთის სამხედრო-კოსმოსური თანამგზავრები

## რუსეთი აშშ-ს მისი კოსმოსური მზვერავი თანამგზავრების საიდუმლო მონაცემების გამოქვეყნებას დაჰპირდა

**ამა წლის 8-17 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა მშვიდობიანი მიზნებისთვის კოსმოსის ათვისების გაეროს კომიტეტის 59-ე სესია, რომელზეც რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება გაეროს ეგიდით კოსმოსური ობიექტების — მოქმედი თანამგზავრებისა და კოსმოსური ნაგვის — მონაცემების ერთობლივი ბაზის შექმნის თაობაზე.**

რუსეთის დელაგაციის წევრებმა, აგრეთვე, განაცხადეს, რომ მათი ქვეყანა აპირებს ორბიტული მონაცემების საჯარო სერვისის შექმნას, ანუ საზოგადოებრიობას წარუდგენს დედამიწის გარშემო ახლო ორბიტაზე მოძრავი ობიექტების მონაცემების კატალოგს. ამრიგად, დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები, რომლებიც ასახული არ არის აშშ-ის კოსმოსური თავდაცვის სარდლობის კატალოგში. ეს არის კატალოგი NORAD (North American Aerospace Defence Comand), რომელშიც აღწერილია კოსმოსური ერის დაწყებიდან დღემდე კოსმოსში გაშვებული 45 ათასზე მეტი ობიექტის მონაცემები.

თითოეულ ობიექტს მინიჭებული აქვს 5-ნიშნიანი ნომერი — NORAD ID, მაგალითად, ნომერი პირველი ეკუთვნის საბჭოთა რაკეტა P-7-ის ზედა საფეხურს, რომელმაც 1957 წლის 4 ოქტომბერს ორბიტაზე გაიყვანა თანამგზავრი „სპუტნიკ-1"; ამ თანამგზავრის ნომერი კი არის 2. რამდენიმე კვირის შემდეგ ორივე ობიექტი გამოვიდა ორბიტიდან და დედამიწის ატმოსფეროში დაიწვა.

კატალოგ NORAD-ის დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია და ინტერნეტში არის უამრავი სერვისი, რომლებიც საშუალებას იძლევა, რეალურ დროში დააკვირდეთ თქვენთვის საინტერესო თანამგზავრს, მაგრამ კოსმოსური აპარატების ნაწილის მონაცემებს NORAD-ი არ აქვეყნებს — ამერიკული თანამგზავრების მონაცემებთან ერთად NORAD-ი მალავს ინფორმაციას თავისი მოკავშირეების — საფრანგეთის, გერმანიის, ისრაელისა და იაპონიის — სამხედრო თანამგზავრების შესახებ. ახლა რუსეთს შესაძლებლობა მიეცა, აშშ-ს სათანადოდ უპასუხოს, რადგან რუსეთმა ბოლო წლებში ძალიან გააძლიერა თანამგზავრებზე დაკვირვების საშუალებები. მაგალითად, 2010 წელს „როსკოსმოსის" შეკვეთით დამზადდა 19,2 სმ-დან 65 სმ-მდე დიამეტრის 21 ტელესკოპი. ეს ინსტრუმენტები გააკეთეს დედამიწის ახლო კოსმოსურ სივრცეში სახიფათო სიტუაციების გამაფრთხილებელი ავტომატიზებული სისტემებისთვის. რუსეთმა მეორე ასეთი სისტემა შარშან ნოემბერში აამოქმედა. „როსკოსმოსის" ქსელის გარდა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოსმოსური სივრცის კონტროლის თავისი სისტემაც აქვს.

2010 წლიდან ამუშავდა „ასტრომეტრული და ფოტომეტრული დაკვირვებების ოპტიკური ინსტრუმენტების სამეცნიერო სისტემა. ამ პროექტში ამჟამად მონაწილეობს 15 ქვეყნის 31 ობსერვატორია, მათ შორის, მექსიკისა და ბოლივიის.

„ჩვენი ქსელი თვალყურს ადევნებს დაახლოებით 40%-ით მეტ ობიექტს, ვიდრე ამერიკულ ღია კატალოგშია მოცემული. ჩვენ რამდენიმეჯერ მეტი ტელესკოპი გვაქვს NORAD-თან შედარებით და უფრო მეტ ადგილას განლაგებული. პლუს — ვიყენებთ ტელესკოპებს, რომლებსაც დაკვირვების გაცილებით მეტი ველი აქვს, რომელიც ღამით ცის მეტ მონაკვეთზე დაკვირვებას, ახალი ობიექტების აღმოჩენასა და მათი ორბიტების ზუსტად დადგენის საშუალებას გვაძლევს". — განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა **იგორ მოლოტოვმა.**

ვენაში გამართულ სესიაზე რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წამოყენებული წინადადების არსი ასეთია: **სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კოსმოსური ობიექტების მონაცემების გაერთიანება ერთობლივად შექმნილ კატალოგში ამ მონაცემების სრულყოფის, სიზუსტისა და იმ ნებისმიერი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, რომელიც კოსმოსში საქმიანობს. ეს სისტემა შეძლებდა პოტენციური საფრთხის შემცველი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დანიშნულების ადგილებზე გაგზავნას. რუსეთის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ჩინეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი — არა.** როგორც ჩანს, ამერიკელებს სურთ, შეინარჩუნონ მონოპოლია დედამიწის ახლოს სივრცეში თანამგზავრების მოძრაობის მონაცემებზე, ამასთანავე, არ სურთ თავიანთ სამხედრო ობიექტების შესახებ ინფორმაციის გაცემა, მაგრამ **რუსეთის განცხადება, რომ სადამკვირვებლო სისტემების მიერ მოპოვებულ მონაცემებს ხელმისაწვდომს გახდის, ნიშნავს იმას, რომ ამერიკული კოსმოსური აპარატების მონაცემებიც აღარ იქნება საიდუმლო.**

ექსპერტთა აზრით, **კოსმოსური ნაგავი მსოფლიოს პრობლემაა და ყველას ეხება. ისევე, როგორც ასტეროიდებისა და კომეტებისგან დედამიწისთვის შექმნილი ხიფათის თავიდან აცილება. კოსმოსიდან რეალური მუქარის შემთხვევაში პრობლემის მოგვარება საერთო ძალისხმევით უნდა მოხდეს, ამიტომ მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა პლანეტის უსაფრთხოებას განამტკიცებს.**

### რუსეთის სამხედრო-კოსმოსური თანამგზავრები

რუსეთის სამხედრო თანამგზავრები ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას, რომლებიც ორ ძირითად ფუნქციად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

**1. კავშირგაბმულობის სხვადასხვა არხის მოსმენა და რეტლანსლაციის ობიექტების ჩამოყალიბება;**

**2. ბირთვული გამოცდებისა და რაკეტების გაშვების, აგრეთვე, სამხედრო ქვედანაყოფების განლაგებისა და გადაადგილებების გაკონტროლება.**

სამხედრო თანამგზავრების კოსმოსში გაშვებაში ამერიკელები პიონერები არიან — პირველი კოსმოსური მზვერავი აპარატი ორბიტაზე 1959 წელს გაიყვანეს, რუსეთმა კი 1960 დაიწყო ასეთი კოსმოსური აპარატების დამზადება. იმხანად კოსმოსური თანამგზავრების შექმნის ბაზა იყო კრასნოგორსკის მექანიკური ქარხანა. სამხედრო კოსმოსური აპარატების სერიული გამოშვება კი რუსეთმა 1962 წელს დაიწყო. 1964 წელს საბჭოთა კავშირის არმია კოსმოსური ფოტოდაზვერვითი კომპლექს „ზენიტ-2"-ით შეიარაღდა. ფოტოების გადაღების შემდეგ ფოტოლენტა სპეციალური პროგრამით დედამიწაზე ეშვებოდა. ამჟამად დედამიწის ახლო ორბიტაზე დაახლოებით 2 ათასამდე ექსპლუატირებული კოსმოსური თანამგზავრია, რომლებიც სსრკ-ის პერიოდშია გაშვებული.

რუსეთის მიერ სირიაში განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციამ ნათლად წარმოაჩინა თანამედროვე კოსმოსური ფოტოგადაღების შესაძლებლობები. ფოტოები, რომლებსაც აპარატი დედამიწაზე რეალურ დროში გადმოსცემს, მაღალხარისხიანია.

2014 წლიდან რუსეთში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვების ინტენსივობამ მოიმატა. ამჟამად **რუსეთის სამხედრო კოსმოსური თანამგზავრები სრულიად აკონტროლებენ აშშ-ის ტერიტორიას და დედამიწის სხვა კუთხეებს, რომლებიც ქვეყნის თავდაცვისთვის საინტერესოა.**

### აშშ-ის სამხედრო-კოსმოსური თანამგზავრები

აშშ-მა პირველი სამხედრო თანამგზავრი პროგრამა CORONA-ს ფარგლებში შექმნა. მისი დანიშნულება იყო სსრკ-ისა და ჩინეთის ტერიტორიების თვალთვალი. თანმგზავრები დაამზადეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლაბორატორიებში. კოსმოსური აპარატების პირველ მოდელს 1972 წლამდე იყენებდა აშშ-ის არმია, ამ პროგრამის ფარგლებში კოსმოსში უშვებდნენ KH-1, KH-2, KH-3, KH-4, KH-4A-სა და KH-4B მოდელის აპარატებს. მათი სახელწოდება იშიფრება, როგორც Key Hole — „კლიტის ჭუჭრუტანა". პროგრამა NORAD-ს ფარგლებში გაშვებული იყო 144 თანამგზავრი.

ამერიკელები დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ ინფორმაციას KH თანამგზავრების დანიშნულებაზე და მათ გაშვებას კოსმოსში მშვიდობიანი მიზნებისთვის კვლევით ხსნიდნენ (პროგრამა Discover). ამ სერიის ერთ-ერთი აპარატი 1962 წელს შპიცბერგენის არქიპელაგის ტერიტორიაზე ჩამოვარდა და საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა ჩაიგდეს ხელთ. ამერიკელებმა პროექტი მას შემდეგ დახურეს, რაც ერთ-ერთი თანამგზავრიდან ფოტოლენტის ჩამოგდების ადგილას საბჭოთა წყალქვეშა ნავი შენიშნეს.

აშშ-მა სამხედრო თანამგზავრები მილიტარისტული მიზნებით პირველად 1991 წელს გამოიყენა სპარსეთის ყურეში კონფლიქტის პერიოდში. ამ სამხედრო თანამგზავრების მეშვეობით ეწეოდნენ დაზვერვას და ამყარებდნენ კავშირს.

### ჩინეთის სამხედრო-კოსმოსური თანამგზავრები

რუსეთი თავისი სამხედრო თანამგზავრებისთვის ქმნის სპეციალურ ლაზერულ იარაღს მოწინააღმდეგის სამხედრო-კოსმოსური აპარატების „დასაბრმავებლად", ჩინეთი კი მუშაობს იმისათვის, რომ კოსმოსური თანამგზავრები მოწინააღმდეგის თანამგზავრების გამანადგურებელი იარაღით აღჭურვოს.

2016 წლის იანვარში ჩინელებმა რაკეტით ჩამოაგდეს ამერიკული კოსმოსური თანამგზავრი „ფენიუნ-1C". ამ ნაბიჯით ჩინელებმა ამერიკელები გააფრთხილეს, რომ არა მხოლოდ დედამიწაზე გასცემენ მათ საკადრის პასუხს, არამედ კოსმოსშიც და რომ ამერიკელთა ძლიერება უსაზღვრო არ არის. ამ ინციდენტმა აშშ-ის მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მან იაპონიასთან, ავსტრალიასა და კანადასთან ერთად ჩინეთისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა.

ამერიკელთა შიში გამოწვეულია იმით, რომ ჩინელებს რაკეტებით შეუძლიათ ჩამოაგდონ დედამიწის ახლო ორბიტაზე მოძრავი თანამგზავრები. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი სსრკ-მა და აშშ-მა 1970-იან წლებში შექმნეს. ამჟამად ჩინეთი დიდ ყურადღებას უთმობს კოსმოსურ კავშირსა და დაზვერვას. სამხედრო კავშირგაბმულობა ვითარდება სამი მიმართულებით: სტრატეგიული დაცული კავშირი პროგრამა **„შენტუნის"** ჩარჩოებში, ტაქტიკური — **„ფენხოს",** ხოლო მონაცემების რეტრანსლაცია — **„ტიანლიანის".** ამრიგად, ჩინეთის სამხედრო თანამგზავრები ფეხს უწყობენ დროს და ტექნოლოგიური კუთხით არაფრით ჩამორჩებიან რუსეთისა და აშშ-ის კოსმოსურ აპარატებს.

მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარეები ატომურ იარაღს გამოიყენებენ, კოსმოსური აპარატები საკვანძო როლს ითამაშებს. სწორედ კოსმოსური თანამგზავრების წყალობით შეიძლება მაღალი სიზუსტით დადგინდეს ბალისტიკური რაკეტის გაშვების დრო და ადგილი, მისი ფრენის ტრაექტორიაზე დაკვირვება განადგურების მიზნით და საპასუხო დარტყმის განხორციელება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ტრანსგენდერს, რომელსაც ვიზუალურად აღენიშნება მამაკაცის ნიშნები, შეუძლია იქორწინოს ქალზე ან ტრანსგენდერზე, რომელსაც ვიზუალურად აღენიშნება ქალის ნიშნები, ან პირიქით. ამასთანავე, ტრანსგენდერს, რომელსაც აქვს ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ქორწინება ეკრძალება.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## პაკისტანში მუსლიმებს ტრანსგენდერზე დაქორწინების ნება დართეს

**პაკისტანელმა მღვდელმსახურებმა გამოსცეს ფეტვა, რომლის მიხედვითაც მუსლიმანებს უფლება აქვთ იქორწინონ ტრანსგენდერზე.**



ისლამურ სამართალში ფეტვა — ეს არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს, ან ცალკეული სასულიერო მოღვაწის პოზიცია საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სამართლებრივი საკითხის მიმართ. ფეტვის შესრულება ყოველთვის არ არის სავალდებულო, ხშირად ის დოკუმენტის ავტორის თვალსაზრისს გამოხატავს და სამართლებრივ შედეგს არ იწვევს.

ზემოაღნიშნული ფეტვა გამოსცეს 26 ივნისს და მას 50-მა სასულიერო პირმა დაუჭირა მხარი. ფეტვის ავტორების აზრით, **ტრანსგენდერს, რომელსაც ვიზუალურად აღენიშნება მამაკაცის ნიშნები, შეუძლია იქორწინოს ქალზე ან ტრანსგენდერზე, რომელსაც ვიზუალურად აღენიშნება ქალის ნიშნები, ან პირიქით. ამასთანავე, ტრანსგენდერს, რომელსაც აქვს ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ქორწინება ეკრძალება.**

ფეტვაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ტრანსგენდერისთვის მემკვიდრეობის წილის წართმევა, ხოლო მშობლები, რომლებიც შვილებს მემკვიდრეობას ართმევენ, ღმერთის მრისხანებას დაიმსახურებენ.

2009 წლის პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ ტრანსგენდერები ოფიციალურად აღიარა „მესამე სქესად“ და ხელისუფლება დაავალდებულა, ეს პირადობის მოწმობებში ჩაწეროს. ეს გადაწყვეტილება განიხილებოდა, როგორც პაკისტანში ტრანსგენდერთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული გაბედული ნაბიჯი, მაგრამ ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებზე თავდასხმა მაინც გრძელდება.

## მამამ თავისი 3 გოგონა მოძალადესა და პორნოგრაფიული ფილმების შემქმნელს მიჰყიდა

**ტენესის შტატის მცხოვრებს თავისი შვილების მოძალადისთვის მიყიდვის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, — იუწყება Associated press-ი.**



63 წლის ამერიკელს განაჩენი გამოუტანა ტენესის შტატის მოსამართლემ **რონი ბრიერმა**, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთი დანაშაულის შესახებ არასოდეს არაფერი სმენია.

გამოძიების მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, 2011 წელს მამამ თავისი სამი გოგონა მიჰყიდა მოძალადეს, რომელიც მათ აუპატიურებდა და პორნოგრაფიულ ფილმებში მონაწილეობას აიძულებდა. სამართალდამცველებმა ამის შესახებ 2 წლის შემდეგ შეიტყვეს, როდესაც გოგონები 12, 14 და 16 წლის იყვნენ. შტატის პროკურორის განცხადებით, ამ დანაშაულში გოგონების მამასთან ერთად დედაც იყო გარეული. დედას 18 წლით აღუკვეთეს თავისუფლება.

## აშშ-ს არმიაში არა მხოლოდ ჰომოსექსუალისტები, არამედ ტრანსგენდერებიც იმსახურებენ

**პენტაგონმა 1 ივლისიდან გააუქმა აკრძალვა აშშ-ის არმიაში ტრანსგენდერების მსახურების შესახებ, — იუწყება ამერიკული გამოცემა USA Today.**





ცვლილება შეეხება სამხედრო სამსახურის ყველა ასპექტს, მათ შორის, ჯარების დაკომპლექტებასა და ტრანსგენდერების უნიფორმას.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის **ეშტონ კარტერის** განცხადებით, ამერიკელ ტრანსგენდერებს ამიერიდან თავისუფლად შეეძლებათ სამხედრო სამსახურის გავლა და მათ არმიიდან აღარ დაითხოვენ მხოლოდ იმიტომ, რომ ტრანსსექსუალები არიან.

კარტერმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში, სულ ცოტა, 18 ქვეყანაა, სადაც ტრანსგენდერებს უფლება აქვთ, სამხედრო სამსახური გაიარონ. მათ შორის არის აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფოები: დიდი ბრიტანეთი, ისრაელი და ავსტრალია.

## შეშლილი ერეტიკოსები. კანადის გაერთიანებული ეკლესიის ხელმძღვანელი ლესბოსელია

**2015 წლის 13 აგვისტოს კანადის გაერთიანებული ეკლესიის ე.წ. მოდერატორად აირჩიეს პასტორი ჯორდან კანტველი, რომელიც პირველი ლესბოსელია ამ პროტესტანტულ დენომინაციის (რელიგიური ორგანიზაციის ან სარწმუნოების ტიპი — რედ.) სათავეში.**



კანტელი არ არის სექსუალური უმცირესობის პირველი წარმომადგენელი, რომელიც კანადის გაერთიანებული ეკლესიის იერარქიაში წამყვან პოზიციაზეა. 2012 წელს მოდერატორად აირჩიეს გეი — **ჰარი პატერსონი.**

კანადის გაერთიანებული ეკლესია ამ ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის შემდეგ უდიდესი დენომინაციაა, რომელიც შეიქმნა 1925 წელს კანადის პრესვიტერიანული და მეთოდისტური ეკლესიებისა და კონგრეგაციონალისტური კავშირის გაერთიანების შედეგად.

## პირველი გენმოდიფიცირებული ქალი


ელიზაბეტ პერიში

**კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩატარდა გამაოგნებელი სამეცნიერო ექსპერიმენტი: ქალმა იმისათვის, რომ მუდამ ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს გენები შეიცვალა.**

ექიმებმა გადაწყვიტეს, ბიოლოგიური საათი უკუღმა დაეტრიალებინათ და ქალის გენომში ჩაერივნენ. ამერიკელ მკვლევარს — **ელიზაბეტ პერიშს** ვენაში შეუყვანეს გენეტიკური მასალა, რომელიც მისი სხეულის თითოეული უჯრედის ბირთვში შეაღწევს და გამოიწვევს ცვლილებებს, რომელთა შედეგადაც შეჩერდება დაბერება და დაიწყება გაახალგაზრდავება. ამასთანავე, რევოლუციურმა თერაპიამ, რომელიც არასოდეს გამოუცდიათ ადამიანზე, შეიძლება თანამდევი უარყოფითი მოვლენებიც გამოიწვიოს.

„მე ვიცი, რომ შეიძლება სერიოზულად დავზარალდე. მაგრამ, ამასთანავე, მესმის, რომ, თუ ამას არ გავაკეთებ, მოვკვდები იმ დაავადებებით, რომლებიც თან სდევს დაბერებას. ხოლო, თუკი ექსპერიმენტი წარმატებით ჩაივლის, მილიონობით ადამიანს შეუნარჩუნდება სიცოცხლეს“, — განაცხადა ელიზაბეტ პერიშმა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მაშინ, როდესაც ჰიტლერი ტრაბახით აყრუებდა მსოფლიოს, — მოვსპე საბჭოთა ავიაცია და მალე საბჭოთა კავშირსაც გავანადგურებო, გერმანიის მოსახლეობა გაკვირვებული უსმენდა ფიურერს, რადგან „განადგურებული" საბჭოთა ავიაცია მასირებულად ბომბავდა გერმანულ ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებს".**

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

# «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-24 (251-253)

## ნაწილი IV

**1941 წლის 11 სექტემბერს, 4 და 22 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გოლოვანოვის პოლკის მფრინავები ორდენებით დააჯილდოვა.**

დაჯილდოებულთა შორის ლენინის ორდენოსანი გახდა უმცროსი სერჟანტი **დავით ჩხიკვიშვილი,** შემდგომ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

დავით ჩხიკვიშვილმა პირველი საბძოლო გაფრენისთანავე გამოიჩინა გამბედაობა და მოხერხებულობა. დარწმუნდა რა, რომ მის ბომბდამშენს ვერ დაიცავდა გამანადგურებელი ავიაცია, გადაწყვიტა, თავისი თვითმფრინავი თვითონვე მოეყვანა საიმედო საბრძოლო მდგომარეობაში. **თვითმფრინავის იმ ადგილებში დარჩენილი სიცარიელეებიდან, საიდანაც ძრავა გამონაბოლქვს ისვრის, მოხერხებულმა ქართველმა ორ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს ლულები გამოაყოფინა, ხოლო სასხლეტებს ტროსები მიამაგრა და ფეხებზე გამოიბა. გერმანული „მესერშმიტების" პილოტები ცდილობდნენ, უკნიდან მიჰპარვოდნენ და ტყვიამფრქვევებით დაეცხრილათ დავით ჩხარტიშვილის ბომბდამშენი, მაგრამ გმირობისთვის დაბადებული გურული ხელების პარალელურად ფეხებზე მობმულ ტროსებსაც ამუშავებდა და თვითმფრინავის კუდში ჩადგმული ტყვიამფრქვევებიდან უფრო მასირებულ სროლას აუტეხავდა ხოლმე ფაშისტებს, ვიდრე წინ დადგმული ტყვიამფრქვევიდან.** დავით ჩხიკვიშვილის პირველი გაფრენა და გმირობა შეუმჩნევლი არ დარჩენილა არც მტრისა და არც მოყვრისთვის. თვითნაკეთი დაჯავშნილი ფარები, რომლებიც მკერდსა და მუცელს უფარავდა, უვნებელს ხდიდა მფრინავს, მაგრამ რამდენჯერმე მაინც დაჭრეს ფეხებში, თუმცა ამის გამო საჰაერო ბრძოლა არ შეუწყვეტია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, მიწაზე დაშვებულ მფრინავის მკერდისა და მუცლის დამცავ ჯავშანზე ტყვიის შვიდი ნაკვალევი აღმოაჩინეს.

**დავით ჩხიკვიშვილმა თავისი მოხერხებულობით მოწინააღმდეგის 7 გამანადგურებელი დაანარცხა მიწას. ასე უკვდავყო შესანიშნავმა მფრინავმა, მეცნიერმა, ორგანიზატორმა და აღმზრდელმა თავისი სახელი დიდი სამამულო ომის ისტორიაში. თუმცა, დავით ჩხიკვიშვილი არა მხოლოდ ბრძოლებითა და მოხერხებულობით, არამედ უზადო ადამიანობით, მაღალი კულტურითა და უანგარო მეგობრობითაც არის ჩაწერილი საქართველოს მატიანეში.**

„1941 წლის 10 აგვისტოს სამხედრო ავიაციის შტაბში გამომიძახეს. ადგილზე დილაადრიან გამოვცხადდი. სამსახურში ჯერ კიდევ არავინ იყო მოსული. პირველი, ვინც შენობაში შემოვიდა, სარდლის მოადგილე, გენერალი **პეტროვი** იყო, რომელმაც შეშფოთებით მკითხა, რისთვის ჩამოხვედიო." — იგონებს გოლოვანოვი.

— მე თქვენგან მოველი პასუხს, რისთვის გამომიძახეთ.

— სარდალს უნდა დაელოდოთ, მე არაფერი ვიცი. — მითხრა გენერალმა.

ღრმად განათლებული გენერალთან საინტერესო საუბარი ტელეფონის ზარმა შეწყვიტა. ყურმილიდან შემომესმა ხმამაღლა ნათქვამი: "გოლოვანოვი ამხანაგ სტალინთან!"

როდესაც კაბინეტში შევედი, სტალინი ჩიბუხით ხელში ხალიჩაზე მიმოდიოდა. მომესალმა და მშვიდი ხმით მომმითხრა:

— არის ავიადივიზია, რომელიც ბერლინის სამრეწველო ობიექტებს ბომბავს. დივიზიის მეთაურია **ვოდოპიანოვი.** მას ეს საქმე კარგად არ გამოსდის. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ დივიზიას თქვენ ჩაუდგეთ სათავეში, სასწრაფოდ გამოცხადდით ხელმძღვანელობასთან, ნახვამდის."

კაბინეტიდან გამოსული გოლოვანოვი გონს დიდხანს ვერ მოდიოდა. არ იცოდა, სად უნდა წასულიყო, ვინ იყო ვოდოპიანოვი, ან სად იყო დისლოცირებული სტალინის მიერ ხსენებული ავიადივიზია. არ იცოდა, როგორი ადამიანები იყვნენ დივიზიაში, ვისთან უნდა ემუშავა. თანაც, ენანებოდა იმ ერთიანი ორგანიზმიდან მოშორება, რომელიც თავიდან ბოლომდე თვითონ ააწყო, მაგრამ სტალინის ბრძანება ყველასთვის უსიტყვოდ შესასრულებელი იყო.

„სასწრაფოდ გამოვცხადდი სამხედრო ავიაციის სარდალ **პავლე ჟიგარევთან**. სარდალმა მითხრა, რომ უამრავი საკითხის გამო დაავიწყდა ჩემი გამოძახება (ვითომ სტალინზე მეტი საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი.— გრ. ონიანი). მკითხა, რაზე ვესაუბრე სტალინს. ვუპასუხე, რომ გარდა ბრძანებისა ჩემი დანიშვნის შესახებ, სტალინს ჩემთვის არაფერი უთქვამს. სარდალს სახეზე კმაყოფილება მოეფინა, რაც მე საეჭვოდ მომეჩვენა". — წერს გოლოვანოვი.

„—სასწრაფოდ გადააბარეთ პოლკი თქვენს მოადგილეს, ახლავე გავცემ განკარგულებას, დივიზიის მეთაურად თქვენი დანიშვნის შესახებ, თქვენ კი სასწრაფოდ უნდა ჩახვიდეთ დივიზიაში.

სარდლის კაბინეტიდანვე აეროდრომზე გავეშურე და თავდაპირველად ჩემს პოლკში ჩავფრინდი. პოლკი ჩემს მოადგილე **ფილიპოვს** ჩავაბარე. დავემშვიდობე პირად შემადგენლობას და მოსკოვში დავბრუნდი. კვლავ გამოვცხადდი სარდალ ჟიგარევთან. მან ჩემი დანიშვნის ბრძანება გადმომცა და მკაცრად გამაფრთხილა, რკინის ხელით გამეწმინდა დივიზიის შემადგენლობა და დამემყარებინა სამხედრო წესრიგი.



გოლოვანოვი

კვლავ აეროდრომი და დანიშნულების ადგილზე გაფრენა. ახალ დივიზიაში რამდენიმე ნაცნობი მფრინავი შემხვდა. ვაზუსტებდი დივიზიის შემადგენლობას, მის საბრძოლო დისციპლინას და მფრინავთა კვალიფიკაციას. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მთავარ ინჟინერ **მარკოვთან** საუბარი, ვისგანაც ბევრი რამ შევიტყვე, როგორც დივიზიის ახალმა მეთაურმა.

როდესაც ვეცნობოდი დოკუმენტებს, წავაწყდი სტალინის ხელმოწერილ ბრძანებას დივიზიის საბროლო დავალების შესახებ:

„81-ე ავიადივიზიამ (დივიზიის მეთაური ვოდოპიანოვი) 9-დან 10 აგვისტომდე მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით განახორციელოს ბერლინისაკენ გაფრენა. ფრენისას, გარდა ფუგასური ბომბებისა, გამოყენებული იქნას მცირე და დიდი ძალის ცეცხლგამჩენი ჭურვები. ბერლინამდე გზაზე შეფერხების შემთხვევაში შეტევა განახორციელონ კენიგსბერგზე. ი. სტალინი. 8/8/ 1941."

სტალინის ამ ბრძანების შესასრულებლად საბრძოლო მოქმედებაში ჩართულა თვითონ სარდალი ჟიგარევი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, დივიზიამ განიცადა მატერიალური და ადამიანური ზარალი, რის გამოც სტალინს არაერთი „სასიამოვნო" სიტყვით შეუმკია ჟიგარევი (ახლა გაახსენდა გოლოვანოვს, რატომ აინტერესებდა ჟიგარევს, რაზე ესაუბრა სტალინი მას — გრ.ონიანი).

გამოჩენილი საბრძოლო მამაცობისათვის სტალინმა, ბრძანებით, მადლობა გამოუცხადა დივიზიის მეთაურს — **მიხეილ ვოდოპიანოვს** და შეუქო სამშობლოსათვის თავგანწირვა, რომელიც მან მტრის ზურგში საბძოლო მოქმედებებისას გამოავლინა.

მაგრამ ბრძანების მეორე ნაწილში არ გაითვალისწინა ვოდოპიანოვის გმირობა, დივიზიის მეთაურობა მისთვის შეუფერებელ თანანმდებობად ჩათვალა და დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ვოდოპიანოვთან ერთად გაათავისფლა დივიზიის შტაბის უფროსი და მის ნაცვლად დანიშნა პოდპოლკოვნიკი **ელინი.**

საქაღალდეებიდან ამოღებული ბრძანებებითა და კერძო საუბრებით გოლოვანოვი მოკლე ხანში გაერკვია საქმის ვითარებაში და, მიუხედავად ვოდოპიანოვის სიმამაცისა, გაოცებული იყო, როგორ დათანხმდა ის დივიზიის მეთაურის პოსტზე დანიშვნას.

დაიწყო დივიზიის დაკომპლექტების მეტად რთული და, ამასთანავე, საჩქარო საქმე. ერთ დღეს გოლოვანოვმა გამოიძახა დივიზიის ყოფილი მეთაური ვოდოპიანოვი და დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით მიიღო იგი. გულახდილი საუბრის შემდეგ გოლოვანოვმა ყოფილ მეთაურს ჰკითხა, როგორ გადაეწყვიტა მისი საქმე ან რა მოეხსენებინა სტალინისათვის მის შესახებ.

ვოდოპიანოვმა გულახდილად უთხრა ახალ მეთაურს, რომ არა აქვს ცოდნა, უხელმძღვანელოს ამ უზარმაზარ სამხედრო შენაერთს, მაგრამ სურს, დარჩეს დივიზიაში, როგორც მფრინავი და ჰყავდეს თავისი ეკიპაჟი. ხოლო, თუ ამას სამხედრო წოდებაც დაემატება, დიდი მადლობელი დარჩება. დღეს მას აქვს ბრიგადის მეთაურის წოდება, რომელიც გაუქმებულია, ახალი ჩინი კი მიღებული არ აქვს. გოლოვანოვმა დახმარება აღუთქვა დივიზიის ყოფილ მეთაურს და დაემშვიდობა.

„დათქმულ დროს სტალინთან გამოვცხადდი და მოვახსენე, რომ დივიზია მზად არის საბრძოლო დავალებების შესასრულებლად. — იგონებს გოლოვანოვი.

— როგორ გადაწყდა დივიზიის ხელმძღვანელობის საკითხი?

სტალინს მოვახსენე, რომ დივიზიაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა: მოსახსნელი — მოიხსნა, დასაწინაურებელი — დაწინაურდა, დასასჯელი კი — დაისაჯა. აქვე სტალინს ვოდოპიანოვის თხოვნით კი არა, პირადი რეკომენდაციით მივმართე, დახმარებოდა ყოფილ დივიზიის მეთაურს.

— აი ასე! — გაეღიმა სტალინს და მითხრა:

— ხალხთან შენ მუშაობ და მათი ბედიც შენ უნდა გადაწყვიტო".

სტალინმა სრული ნდობა გამოუცხადა გოლოვანოვს.

„გავიდა ხანი. სტალინს ანგარიშს ვაბარებდი ჩემი მუშაობის შესახებ.

— რა არის თქვენთან ახალი, ამხანაგო გოლოვანოვ?!

მე კვლავ ვოდოპიანოვზე დავუწყე საუბარი.

—ამხანაგო სტალინ, ვოდოპიანოვს შემორჩა ძველი წოდება — "ბრიგადის მეთაური," რომელიც გაუქმებულია, ახალი წოდება კი არ მიუღია.

— თქვენ რას შემოგვთავაზებთ? — შემეკითხა სტალინი.

— მივანიჭოთ მას, ამხანაგო სტალინ, გენერალ-მაიორის წოდება.

— კი მაგრამ, ის ხომ დღეს საჰაერო ხომალდის მეთაურია და არა — დივიზიის.

— მართალია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ მას მხრებზე აწევს ბევრი გმირული და კარგი საქმე, ის ხომ პირველია, ვინც პოლარული წრის იქით იფრინა. მივცეთ გენერლობა, ძალიან გთხოვთ, მან ეს დაიმსახურა.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ სტალინმა მითხრა:

—თანახმა ვარ! მომეცით წარდგინება.

არ გასულა დიდი დრო, რომ ქუჩაში გენერალი შემხვდა და, წესის დარღვევით, მხედრულად მომესალმა მე, ნაკლები ჩინის მქონეს. შევხედე და გამეღიმა, — ჩემი ვოდოპიანოვი იყო.

ჩვენი დივიზია მტრის ღრმა ზურგში გამბედაობას და გმირობას იჩენდა— ბომბავდა გერმანელთა ქალაქებში განლაგებულ სამრეწველო ობიექტებს.

მაშინ, როდესაც ჰიტლერი ტრაბახით აყრუებდა მსოფლიოს,— მოვსპე საბჭოთა ავიაცია და მალე საბჭოთა კავშირსაც გავანადგურებო, გერმანიის მოსახლეობა გაკვირვებული უსმენდა ფიურერს, რადგან „განადგურებული" საბჭოთა ავიაცია მასირებულად ბომბავდა გერმანულ ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებს.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში შორეული ბომბდამშენი ავიაციის დივიზიის სამოქმედო გეგმას ვიხილავდით. კომიტეტში სამოქალაქო პირებს თითქმის არ შევხვედრივარ **მალენკოვისა** და **ბერიას** გარდა.

სწორედ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ამ სხდომაზე შევესწარი სტალინის სატელეფონო საუბარს, რომლიდანაც ნათლად ჩანს სტალინის როლი და მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომში და, კერძოდ, მოსკოვის დაცვის საქმეში.

როდესაც სტალინი ოპერატიულ რუკაზე წითელი ისრებითა და ხაზებით აღნიშნავდა ბერლინზე საჰაერო დარტყმის კოორდინატებს, ტელეფონმა დარეკა. სტალინი აუჩქარებლად მივიდა ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოსკოვის მისადგომებთან გოლოვანოვის ავიადივიზიის მფრინავები ბომბავდნენ გერმანელი ჯარისკაცებითა და იარაღით დატვირთულ შემადგენლობებს, ანადგურებდნენ ტანკებსა და მანქანების კოლონებს. მოსკოვის გარეუბანი დამწვარი ტანკების, მანქანების, ზარბაზნების, მიწაზე დანარცხებული სვასტიკიანი თვითმფრინავების სასაფლაოდ იყო ქცეული.

◀ ტლეფონების მაგიდასთან და დინჯად აიღო ყურმილი. სტალინი ყურმილს ყურზე არასოდეს მიიდებდა — ოდნავ მოშორებით ჰქონდა დაკავებული, რადგან მემბრანის ფირფიტა ძლიერად გადმოსცემდა ხმას და იქ მყოფთ გვესმოდა, რაზე ესაუბრებოდა აბონენტი სტალინს. ხაზზე იყო კორპუსის სამხედრო კომისარი **პაველ სტეპანოვი** — სამხედრო-საჰაერო ავიაციის სამხედრო საბჭოს წევრი. სტალინს მოახსენა, რომ სერპუხოვოში (ქალაქ მოსკოვის დასავლეთის მხარე) იმყოფებოდა.

— როგორ გაქვთ მანდ საქმე? — ჰკითხა სტალინმა.

— სამხედრო შტაბი ძალზე ახლოს არის ფრონტის ხაზთან და ხელმძღვანელობა ითხოვს უფლებას, შტაბი გადმოიტანონ მოსკოვის აღმოსავლეთით, სამეთაურო პუნქტი კი მოსკოვის უკიდურეს აღმოსავლეთით.

ოთახში დუმილმა დაისადგურა.

**— ამხანაგო სტეპანოვ, — ნიჩბები თუ გაქვთ ადგილზე? — მშვიდად იკითხა სტალინმა.**

**— ახლავე მოგახსენებთ. — და კვლავ პაუზა.**

**— როგორი ნიჩბებია საჭირო? — იკითხა სტეპანოვმა.**

**— სულერთია. — განუმარტა სტალინმა.**

**— ახლავე... ნიჩბები გვაქვს, ამხანაგო სტალინ. — გაარკვია საკითხი სტეპანოვმა.**

**— გადაეცით ამხანაგებს, — აიღონ ხელში ნიჩბები და თავიანთი ხელით გაითხარონ სამარე. შტაბი დარჩება სერპუხოვოში. მე კი ვრჩები მოსკოვში.**

სტალინმა ისე დადო ყურმილი, არც უკითხავს, ვინ ითხოვდა შტაბის გადმოტანას. შემდეგ მიუჯდა სათათბირო მაგიდას და განაგრძო შეწყვეტილი საუბარი...“

„1941 წლის 15-17 ოქტომბერი ყველაზე მძიმე დღეებია ჩემს ცხოვრებაში. ქალაქი ქაოსში იყო გახვეული. ხალხმა არ იცოდა, რა მიმართულებით უნდა გაქცეულიყო, რომ თავისთვის ეშველა. იყო პანიკა. გავიფიქრე, —იგონებს გოლოვანოვი, — თავს დავანებებ შორეულ ფრენებს და ჩემს განკარგულებაში არსებულ 400 თვითმფრინავს მოსკოვის ცაზე გამოვიყვან, იქნებ ეს უფრო საჭიროა დღეს, ვიდრე შორეული დაბომბვები.

სიტყვა საქმედ უნდა მექცია. გამოვიძახე შტაბის უფროსი და მოადგილე. გავაცანი ჩემი მოსაზრება და დავავალე, მოემზადებინათ შესაბამისი ბრძანება საბრძოლო ოპერაციის შესასრულებლად, გავესაუბრე ცალკეულ მფრინავებს, ძალები მოსკოვის დაცვისკენ მიემართათ. აღმოჩნდა, რომ საშინელმა საჰაერო ბრძოლებმა სამოქალაქო ავიაციის ზოგიერთი მფრინავი შოკში ჩააგდო — ფრენაზე უარი განაცხადეს ავადმყოფობის მომიზეზებით. არადა, ავიადივიზია შემოწმებული მფრინავებისაგან დავაკომპლექტე, მათ შორის, ჯანმრთელობის მხრივ.

— რით ხართ ავად? —შევეკითხე ერთ-ერთ მფრინავს, გვარად ანდრეევს.

— თიაქარი მაწუხებს. — იყო პასუხი.

— თქვენ? —ვკითხე მეორეს.

— გულის დაავადება მაქვს და არ შემიძლია სიმაღლეზე ფრენა.

ეტყობა, შიშმა ავადმყოფობის სინდრომი შექმნა. არადა, ვფიქრობდი, რომ ჩვენი ავიადივიზიის ყველა მფრინავი ჯანმრთელი იყო.

— სამოქალაქო ავიაციაში საზღვარგარეთ ფრენისას თქვენ ჯანმრთელობა არ გაწუხებდათ და ახლა, ომის დროს გაგიუარესდათ?

პასუხს არავინ მცემდა.

— დივიზიის სრული შემადგენლობას საველე სასამართლოს გადავცემ. — გამიელვა თავში და ექოსავით მომესმა პასუხი: „დაუყოვნებლივ დახვრიტეთ!”.





ნიკოლაი გასტელო და მისი გმირობის ამსახველი ნახატი

**დავით ჩხიკვიშვილმა თავისი მოხერხებულობით მოწინააღმდეგის 7 გამანადგურებელი მიწას დაანარცხა. ასე უკვდავყო შესანიშნავმა მფრინავმა, მეცნიერმა, ორგანიზატორმა და აღმზრდელმა თავისი სახელი დიდი სამამულო ომის ისტორიაში. თუმცა, დავით ჩხიკვიშვილი არა მხოლოდ ბრძოლებითა და მოხერხებულობით, არამედ უზადო ადამიანობით, მაღალი კულტურითა და უანგარო მეგობრობითაც არის ჩაწერილი საქართველოს მატიანეში**

გამახსენდა, რომ მიმდინარეობდა სატანკო არმიის ფორმირება, სადაც რადისტები ჰაერივით იყო საჭირო. აზრი შევიცვალე და გადავწყვიტე, ეს დეზერტირები სატანკო არმიისათვის გადამეცა. სიის შედგენა პოლკოვნიკ **შეველიევს** დავავალე:

— ვისაც არ შეუძლია ჰაერში მტერთან ბრძოლა, ყველა გადაეცით სატანკო არმიას, დაე, მათ მიწაზე დაიცვან სამშობლო.

ჩემი ოთახის კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა. ჩემი განკარგულებით, კარი ყველასთვის ღია იყო და არავის სჭირდებოდა შემოსვლის ნებართვის აღება. ვიფიქრე, სტუმარია-მეთქი და კარი გამოვაღე. იქ იდგა ჩვენი დივიზიის ერთ-ერთი რადისტი.

— ალექსანდრე ევგენისძევ, შეიძლება?

— შემოდით, შემოდით. რისთვის მოხვედით?

— არასწორად გამოგვივიდა... მეგობრებმა მე გამომგზავნეს თქვენთან. არ ვიცი, საიდან დავიწყო.

— დაიწყე სიმართლის თქმით და ყველაფერი მითხარი, რაც მოხდა.

— ეს ყველაფერი ანდრეევის ბრალია...”...

**რადისტმა პანიკიორი გასცა. ყველაფერი მოუყვა თავის მეთაურს და მეგობრების სახელით პატიება ითხოვა.**

**ავიადივიზიაში მომხდარი ერთსაათიანი ბუნტი არ გახმაურებულა, მაგრამ იმ დღის შემდეგ არც ანდრეევს ამოუღია ხმა — სამუდამოდ დადუმდა.**

შორეულ ბომბდამშენ ავიაციას მსოფლიოში გაუთქვა სახელი კაპიტანმა **ნიკოლაი გასტელომ,** რომელმაც ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავი პირდაპირ ჰიტლერელთა საბრძოლო მასალებისა და საწვავის საწყობებისაკენ მიმართა, რითაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს. კაპიტანი გასტელოს გმირობა გაიმეორა უმცროსმა ლეიტენანტმა **ივანე ვლადენკომ.**

გოლოვანოვის გამორჩეული მფრინავი **ალექსანდრე მოლოდჩიი** ბერლინის თავზე ტრიალებდა და საავიაციო ქარხანას ზვერავდა დასაბომბად, როდესაც პროჟექტორების შუქზე ჰიტლერთა საჰაერო დაცვის ცეცხლში აღმოჩნდა. მფრინავი არ დაიბნა და მაინც მიზნისაკენ მიისწრაფოდა. მიაღწია კიდეც და საავიაციო ქარხანას უამრავი ბომბი დააყარა. შემდეგ კი რადიოგრამა აფრინა:

„მოსკოვი, კრემლი, სტალინს. ვიმყოფები ბერლინის თავზე, დავალება შესრულებულია. მოლოდჩიი“.

მოსკოვმა უპასუხა:

„თქვენი რადიოგრამა მივიღეთ. გისურვებთ მშვიდობით დაბრუნებას. ი. სტალინი”

„დღე და ღამე ვმუშაობდით.— იგონებს გოლოვანოვი.— იყო პერიოდები, როდესაც საერთოდ არ ვიცოდით, რა იყო ძილი და დასვენება.

**ერთხელ, როდესაც სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში მოხსენებით გამოვდიოდი, ფეხზე ვიდექი და მაგიდაზე გაშლილ რუკაზე მოქმედების რაიონებს ვინიშნავდი, რომ უცებ თვალს დამიბნელდა და ტორტმანი დავიწყე. ჩემ გვერდით მჯდომმა მალენკოვმა და შაპოშნიკოვმა ხელი წამაშველეს და სკამზე დამსვეს. გონებას ვკარგავდი. ვეღარ ვსუნთქავდი. დავინახე, რომ სტალინი სწრაფად წამოხტა თავის სავარძლიდან და სასწრაფოდ გვერდით ოთახში შევიდა. ოთახიდან რაღაც სითხით სავსე ჭიქით გამოვიდა და პირთან მომიტანა.**

—სასწრაფოდ გადაჰკარით. — მითხრა სტალინმა.

პირი გავაღე და სტალინმა თავისი ხელით პირში რაღაც ჩამასხა. მყისვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ცოტა ხანში პირში სპირტის გემო ვიგრძენი. უცბად ჩვეულებრივ ადამიანად ვიქეცი. სტალინი არ მშორდებოდა და თვალებში ჩამცქეროდა.



დავით ჩხიკვიშვილი

— რამდენი ხანია, არ გძინებია? — შემეკითხა სტალინი.

— არც მახსოვს, როდის მეძინა, ამხანაგო სტალინ.

გარეთ გამოსული, ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ფეხზე მდგომს საუბრისას ჩამძინებოდა, ან შოკში ჩავარდნილიყავი. ვიხსენებდი ბევრ შემთხვევას ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი არაფერი მახსენდებოდა“.

**მოსკოვის მისადგომებთან გოლოვანოვის ავიადივიზიის მფრინავები ბომბავდნენ გერმანელი ჯარისკაცებითა და იარაღით დატვირთულ შემადგენლობებს, ანადგურებდნენ ტანკებსა და მანქანების კოლონებს. მოსკოვის გარეუბანი დამწვარი ტანკების, მანქანების, ზარბაზნების, მიწაზე დანარცხებული სვასტიკიანი თვითმფრინავების სასაფლაოდ იყო ქცეული.**

„ნოემბრის პირველ რიცხვებში, —იგონებს გოლოვანოვი, სტალინმა საიდუმლოდ გამანდო, რომ 7 ნოემბერს წითელ მოედანზე ჩატარდებოდა ტრადიციულად სამხედრო აღლუმი და, რომ ამის შესახებ არავის არ უნდა სცოდნოდა. მე ავიადივიზია უნდა მომეყვანა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და ვყოფილიყავი ტელეფონის აპარატთან.

7 ნოემბრის სამხედრო აღლუმის მსოფლიო მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე სამამულო ომში გამარჯვებაზე იმდენი რამ არის დაწერილი და გადაღებული, რომ მას ვერც გოლოვანოვის ჩანაწერები და ვერც ჩემ მიერ მოხმობილი ციტატები ვერაფერს შეჰმატებს, მაგრამ ეს პასაჟი აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა იცოდეს: **გოლოვანოვმა სტალინისაგან იცოდა ის, რაც არავინ იცოდა სტალინის გარდა.**

7 ნოემბრის სამხედრო აღლუმის საიდუმლოს გარდა, სტალინის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი მხოლოდ გოლოვანოვმა იცოდა სხვებზე ადრე და იცნობდა კიდეც იმ ტექსტს, რომელიც პატრიოტიზმის განცდას აღუძრავდა საბჭოთა ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველაფერი ეს ცნობილი იყო სამხედრო-საჰაერო ავიაციის სარდად ჟიგარევისათვის, ვისაც მოსვენებას არ აძლევდა გოლოვანოვისადმი სტალინის კარგი დამოკიდებულება. ჟიგარევისათვის ცხადი იყო, რომ მის სავარძელს საფრთხე ემუქრებოდა.

სწორედ 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომის შემდეგ, მეორე დღეს, ჟიგარევმა შექმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა შორსმოქმედი ბომბდამშენი დივიზიის საქმიანობა და გამოეტანა შესაბამისი დასკვნა მისი მუშაობისა და შედეგების თაობაზე.

ჟიგარევმა გოლოვანოვს მოსთხოვა, წარმოედგინა წინადადება, ვისი დატოვება და ვისი გაშვებაა საჭირო დივიზიიდან, დივიზიამ იმაზე უკეთ რომ იბრძოლოს, ვიდრე იბრძვის დღეს. გოლოვანოვმა მოახსენა, რომ დივიზიაში წესრიგია, მისი პოლკის ყველა მეთაური და შტაბის უუფროსი გამოირჩევვა მაღალი პროფესიული ხელოვნებითა და პატრიოტიზმით და ასეთივე მდგომარეობაა მთელ დივიზიაშიც.

— დივიზიაზე ცალკე გვექნება საუბარი. —გადაჭრით უპასუხა ჟიგარევმა.

გოლოვანოვმა მიხვდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული სარდალს და მშვიდად დაელოდა მოვლენების განვითარებას. იმავე დღის ბოლოს გოლოვანოვის კაბინეტში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ხაზზე იყო ავიამრეწველობის სახალხო კომისარი **შახურინი.**

— როგორ მიდის ცხოვრება? როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჟიგარევთან?

გოლოვანოვმა უპასუხა:

— ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, როგორც იტყვიან, ღმერთის წყალობით. რაც შეეხება ჩემი და ჟიგარევის დამოკიდებულებას, ის სარდალია, მე კი — დივიზიის მეთაური. სულ ეს არის.

გავიდა რამდენიმე წუთი და გოლოვნოვს სტალინმა დაურეკა:

— როგორ მიდის საქმე, ამხანაგო გოლოვანოვ.

— ვმუშაობ თქვენ მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

— რას ფიქრობთ მომავალში, რა გეგმები გაქვთ? — ჰკითხა სტალინმა.

— მომავალში, ვფიქრობ, ჩავაბარო დივიზია და ველოდები შემცვლელს, ამხანაგო სტალინ.

ასეთ პასუხს სტალინი ჩემგან არ ელოდა და ოდნავ გაღიზიანებულმა მითხრა:

— შეგიძლიათ, ახლავე მოხვიდეთ ჩემთან?

— შემიძლია, ამხანაგო სტალინ.

როდესაც მის კაბინეტში შევედი, მისალმებითანავე მკითხა:

— რა მოხდა იქ თქვენ შორის?

სტალინის კაბინეტში მხოლოდ მალენკოვი იყო.

მოკლედ მოვუყევი საქმის შინაარსი. შევატყვე, სარდალს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი დივიზიის ბედი და მე მელაპარაკებოდა, როგორც დივიზიის ყოფილ მეთაურს-მეთქი.

— ხედავ, რაში ყოფილა საქმე? — გახედა სტალინმა მალენკოვს. მის ხმაში იყო, რაღაც გაკვირვება, ან რაღაცის მიხვედრა. ხალიჩაზე რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ სწრაფად შემობრუნდა და გაღიზიანებული ტონით წარმოთქვა:

— ამით დასრულდა ყველაფერი. მალენკოვთან ერთად დაწერეთ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილება, თქვენი დივიზიის სამხედრო საჰაერო ავიაციის შემადგენლობიდან გამოყვანისა და უშუალოდ სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტის დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე. ასევე გადაეცით ჟიგარევს.

ჟიგარევისთვის არ დამირეკავს, არც მას ჰქონია ჩემთან კონტაქტი, მაგრამ ჩვენ მიერ შედგენილი დადგენილება, რომელსაც სტალინმა იქვე მოაწრა ხელი, არა მხოლოდ ჟიგარევისათვის, არამედ სრულიად საბჭოთა კავშირისათვის დროის მცირე მონაკვეთში შეიქნა ცნობილი.“

**გაგრძელება იქნება**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს საქართველოში მედროვეები და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული დამნაშავეები პარპაშებენ. ვიღაცისა და რაღაცის გამო ერისა და სამშობლოს ინტერესების უბედურებაზე გადამცვლელები ყორღანაშვილის მსგავს დასასრულამდე მივლენ. სადაც უნდა იყვნენ, უცხოეთის გოშია-მეღროვეებს განკითხვის დღე მაინც დაუდგებათ და მუხთლობის გამო საკადრისი მიეზღვებათ.**

# ზღაპარი დამოუკიდებლობაზე და ქაქანი დემოკრატიაზე

**გმირებად არ იბადებიან. გმირებად ცხოვრების სინამდვილე აქცევს სინდისის, ზნეობის, მოვალეობის ერთგულ, სამშობლოსათვის თავდადებულ ერის საამაყო შვილებს. გმირობას მსხვერპლის გაღება სჭირდება, საჭიროების შემთხვევაში — სიცოცხლისაც კი.**

საკუთარი კეთილდღეობისათვის ყველაფრის მკადრებლები მომხვეჭელებად, თაღლითებად, ცრუპატრიოტებად, ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ბინძურ, სამარცხვინო საქმეთა მკადრებელ უცხოეთის ლაქიებად ყალიბდებიან და ისე ამთავრებენ თავიანთ ცოდვილ ცხოვრებას, როგორი მყრალიც იყო მათი ამქვეყნიურობა.

**ჩოხაში გამოპრანჭვა და ხანჯლის ჩამოკიდება სულაც არ ნიშნავს, რომ ე.წ ანტიდიკრიმინაციული კანონისთვის ხმის მიცემა ვინმეს მამულიშვილობად ჩაეთვლება.** ნურავის დაავიწყდება, რომ დრო სიმართლის მსახურია, ჭეშმარიტებად გასაღებულ სიცრუესაც მიაკითხავს განკითხვის სუსხი. ხელისუფლებაში ყოფნაც დროებითია და სამშობლოს ინტერესების ვაჭრობით შეძენილმა ქონმა წყენა იცის.

**ცოტნე დადიანმა** თავი გაწირა სამშობლოს ერთგული მამულიშვილების გვერდით წამებით სიკვდილისათვის. სულაც არ იცოდა, რომ მონღოლები ყველას გაანთავისუფლებდნენ და თვითონ საამაყო გმირად შემორჩებოდა ქართველი ერის ისტორიას.

როცა ადამიანი იმას აკეთებს, რასაც სამშობლოსა და ერის სიყვარული კარნახობს, ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს, ღალატით დასვაროს თავისი არსებობა.

**ყორღანაშვილის** მსგავსი პარაზიტები ყველაზე მძიმე პერიოდში მრავლდებოდნენ და მწარედ იკბინებოდნენ. როგორც წარსულში, ახლაც ერის ინტერესების გამყიდველები მუმლივით დასევიან ქვეყანას. სწორედ ამგვარ ყოფაში წარმოჩნდება სინდისის ერთგულთა თვისებები, თამამად რომ ებრძვიან მუხთლობას.

ქართველი ხალხი სიხარულით შეხვდა **ბიძინა ივანიშვილის** გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე. ბედნიერი მომავლის დაპირებაც ისეთი მომხიბვლელი ჩანდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნებაში" ჩათესილი სარეველების მიუხედავად, ქვეყნისთვის სასიკეთო ნაყოფის გამოსხმის შესაძლებლობა იწამა ხალხმა.

განუზომელი იყო არჩევნებში გამარჯვების საერთო სახალხო სიხარული, ქართველთა ოცნების ახდენის სუნთქვა ახლოდან იგრძნობოდა. მაგრამ პრეზიდენტად ისევ იჯდა ხალხის უბედურებად მოვლენილი არსება და წამლავდა ერის მაცოცხლებელ წყაროს; მორჩა უზურპირებული ვადა პრეზიდენტობისა და გაიპარა.

ადამიანები ქვეყნის დამაქცევართა სათანადოდ დასჯას ითხოვდნენ. გამოჩნდა პროკურორი **კბილაშვილი** თემიდის ხელში ჯალათის ნაჯახის ნაცვლად სამართლიანობის ბასრი მახვილის ასაღებად. იწვალა, ივაგლახა და წავიდა იქ, საიდანაც მოვიდა. ხალხის ბობოქარი ვნებათაღელვა კი კოაბიტაციის ჩიხში გაიჭედა.

**დღეს საქართველოში მედროვეები და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული დამნაშავეები პარპაშებენ. ვიღაცისა და რაღაცის გამო ერისა და სამშობლოს ინტერესების უბედურებაზე გადამცვლელები ყორღანაშვილის მსგავს დასასრულამდე მივლენ. სადაც უნდა იყვნენ, უცხოეთის გოშია-მეღროვეებს განკითხვის დღე მაინც დაუდგებათ და მუხთლობის გამო საკადრისი მიეზღვებათ.**

უცხოეთის მიერ მოქრთამული პირების ევროამერიკულ ინტეგრაციაზე აღვირახსნილი ყაყანი ისეთი გამაოგნებელი შეიძლება არც ყოფილიყო, ეს ფსიქოზი ხალხისთვის რომ არ გადაებრალებინათ. საპასუხისმგებლო პოსტის მფლობელის მოვალეობა ერისა და ქვეყნის ინტერესების დაცვაა და არა გათავხედებული უცხოელებისგან მიღებული დამამცირებელი რეკომენდაციების უსიტყვოდ შესრულება.

როგორ შეიძლება სიხარული არ მოგგვაროს **თამაზ მეჭიაურის** მიერ იმის აღიარებამ, რასაც ქართველი ხალხი ქვეყნის ხსნად ელოდება; ან **გოგი თოფაძის** გულახდილმა მხილებამ, რომ თავდაცვის მინისტრმა თანამდებობა დანაშაულებრივად გამოიყენა. ეს ხომ მთელმა საქართველომ ნახა და კანონიერების აღდგენის მოლოდინში თვალთმაქცობა-ძალადობის შემობრუნება მწარედ განიცადა. **მინისტრი რომ ხარ, ხალხს უნდა ემსახურო და არა იმ პარტიას, რომელმაც მთელ ერს შეაძულა თავი.**

აბრეშუმის ნაჭერზე იატაკის ტილოს მიკერებით მოხდენილი პერანგის შეკერვის მცდელობა ფუჭი საქმეა, სწორედ ამიტომ დაიშალა შეკოწიწებული კოალიცია პაჭიკოს გარმონივით და „ქართულ ოცნებას" ამ ბალასტის ჩამოცილებით დინების საწინააღმდეგოდ ცურვის საამაყო პერსპექტივა გამოუჩნდა. ფაშიზმი რომ არ აეკრძალათ და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენი მისი თავკაცები არ გაესამართლებინათ, ეს ხაკისფერი ჭირი, როგორც თავის დროზე უწოდეს ფაშიზმს, წამებულის ნიღაბს მოირგებდა და ენერგიულად შეეცდებოდა ობივატელის ხელახლა გაბითურებას.



**„ნაციონალურ მოძრაობას" საზარელი დანაშაულები აქვს ჩადენილი და აშკარად იმსახურებს გასამართლებას და აკრძალვას, თუნდაც იმიტომ, რომ დანაშაულებს თავისი მფარველების ინტერესების დასაკმაყოფილებლად სჩადიოდა, მაგრამ გასამართლება და აკრძალვა კი არა, კოაბიტირებული ნაციონალები შემოტევაზე გადმოვიდნენ და „ქართული ოცნება" ახლა თავდაცვის რეჟიმშია.**

ამ ჭირის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაში ბიძინა ივანიშვილის დიდი ღვაწლის მიუხედავად, მას დამსახურებად არ ჩაეთვლება კოალიციაში სარეველა პარტიების შეყრა, რომელთა ხმა ძალიან წააგავს ნაციონალი ჭოტების კივილს.

ვის აქვს უფლება, ქართველი ხალხის სახელით საამაყო ეროვნული ტრადიციები და თავმოყვარეობა ევროპელთა სამარცხვინო ლაქუცს ანაცვალოს?!

ევროპას კი ინცესტის, ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და სქესობრივი გარყვნილების საზარელი დაავადებები შეეყარა. დღეს ამ სიბინძურეს დემოკრატიის ზეიმად ასაღებენ, ხვალ კი ეს სიბილწე კაცობრიობას ინკვიზიციასა და ინდულიგენციებით თაღლითობაზე უარეს საქციელად გაახსენდება. ჩვენთან ხომ ევროინტეგრაციის ფსიქოზით შეპყრობილთა ღრიანცელია, რაც, უზნეოდ და უსირცხვილოდ, ქართველი ერის სურვილად საღდება.

**მეოთხედი საუკუნეა, ყველა ხელისუფლება რუსეთის ლანძღვის ფონზე ჭირვეული ბავშვივით გაჰყვირის ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე და ცდილობს, მოსახლეობა ფუჭი დაპირებებით გამოკვებოს. არადა, ამ ფსიქოზის შედეგად უკუღმა ბრუნავს ქართველთა ბედის ბორბალი — ქვეყანა სამ ნაწილადაა დაყოფილი, და თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ განადგურდება.**

**ევრო-ამერიკელებისთვის რა პრობლემა იყო პატარა საქართველოს ფეხზე წამოყენება, მაგრამ მათ სჭირდებათ დაკნინებული და გამათხოვრებული ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაც გოშიას ერთგულებით შეუსრულებთ ხუშტურებს.**

ქართველ ხალხს ე.წ. ვიზალიბერიზაცია და სამშობლოდან გადახვეწა კი არა, განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენა და გამთლიანებულ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება ენატრება.

განა სასაცილო არ არის, რომ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით აშშ-ის შემდეგ საქართველო მეორე ადგილზეა? ჩიორა-პოლიტიკოსების ქადაგებით, თურმე ტერორისტებისგან თუ რაღაც უბედურებისგან ვიცავთ კაცობრიობას. **რომელ ტერორისტებთან ბრძოლაზეა ლაპარაკი, როცა ავღანეთში ამერიკის შეჭრის შემდეგ 40-ჯერ გაიზარდა ნარკოტიკების წარმოება. ერაყში შეჭრის შემდეგ კი ტერორისტული სახელმწიფო შეიქმნა. როცა ამერიკანატოს მიერ დაფერფლილი ქვეყნების ნაცარზე ნარის ეკალივით ხარობს ტერორი და ხალხის უბედურება?**

მსოფლიო პრობლემების მოგვარებაში ჩართულებს საკუთარი თავისთვის ველარ მოგვიცლია. ცხინვალის მიერ გატაცებული ქართველების გამო საჩივლელად ევროპაში გავრბივართ. ოპოზიციური პარტიები და ასო-ები ბრაზისგან ტყავიდან ძვრებიან,— ხელისუფლება პრინციპულად არ აყენებსო საკითხს. რა ქნას, სადაც საკითხის მოგვარება შეიძლება, იქ არავინ უშვებს, ხოლო თავით მარილი რომ ნაყოს, რა გამოვა? **იმ ევროატლანტიკას რუსეთთან კონფლიქტში ზვარაკად რომ ვჭირდებით, ამას რა მარჩიელობა უნდა.**

ხალხმა ძალიან კარგად იცის ქვეყნის აღორძინების გზა საით მიდის და ამდენი უბედურებისგან თავის დასაღწევად აირჩევს კიდეც სწორ მიმართულებას. ან ხალხს უნდა ემსახურო და ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანის პასუხისმგებლობა იტვირთო, ან კუჭის მონობასა და უცხოეთის ლაქიობას შეეგუო. ორივეს ერთად ვერ შეძლებ, რადგან ორ სკამზე ჯდომას ორი საჯდომი სჭირდება.

სოფელ ხურჩაში აფხაზების მებაჟემ ქართველი ვაჟკაცი საზღვრის აქეთ მოკლა. აზვირთდა, აბობოქრდა ევროინტეგრაციის მქადაგებელთა სალაყბო, კვლავ მოედავნენ ხელისუფლებას,— პრინციპულად არ აყენებსო საკითხს. განსაკუთრებული შემართებით გვამცნეს, რომ განრისხებულმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა უშიშროების საბჭოს მოწვევა. არადა, გინდ უშიშროების საბჭოში აბობოქრებულხარ და გინდ სოფლის სალაყბოზე, შედეგი ერთი და იგივე იქნება — ქარიშხალი ჭიქაში. ნაციონალების მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ღია ჭრილობიდან კი წვეთავს და წვეთავს სისხლი.

**პაატა ზაქარეიშვილს** რომ დანიშნავ ამ საქმის მინისტრად, როგორ დაგიჯერო, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა გინდა?! თურმე ისეთი კარგი ცხოვრება გვექნება, რომ აფხაზები და ოსები თვითონ მოვლენ ჩვენთან. გაუსაძლისი პირობების გამო საქართველოდან გადახვეწის მცდელობის პირობებში, ეს ისეთი სატყუარა ხომ არ არის, ცალტვინა ხრუშჩოვ-გორბაჩოვმა კომუნიზმის მშენებლობის ილუზიას სოციალიზმი რომ გადააყოლეს?

**რამდენი კეთილშობილი და ქვეყნის ერთგული მამულიშვილი გვყავს აფხაზებთან და ოსებთან მეგობრული საუბარი რომ შეუძლიათ, მაგრამ ამ ცრუ დამოუკიდებლობაში ისინი არ სჭირდებათ.**

მედუზა გორგონას მოკვეთილი თავიდან მაინც შემორჩნენ არსებები, რომლებიც ამუხრუჭებენ ქართველთა ბედის ბორბალის სასიკეთოდ ბრუნვას:

კოალიციის სარეველა პარტიები, პრეზიდენტად შემოსაღებული "მდიდარი სექსის" კავალერი; სახალხო დამცველზე ხომ საუბარიც არ ღირს, კოლოსავით მომრავლებული ასო-ები; საკონსტიტუციო სასამართლო: პარლამენტის ნაციონალი დეპუტატები; „რუსთავი-2"; დასავლეთის იმედად დარჩენილი უელექტორატო ოპოზიციური პარტიები, დიდი გაწამაწიით რომ ცდილობენ ევროინტეგრაციის ლაქუცს აყოლილთა შორის ადგილის მოპოვებას; ნაციონალებისთვის გულდამწვარი ჭირისუფალი — ევროპის სახალხო პარტია. ამ კონგლომერატს მართავს თანამეგობრობად მონათლული ევროატლანტიკური რვაფეხა. მაგარი ბიჭი ხარ და მარტო შეეჭიდე ამ აზვირთებულ თვალთმაქცობას.

თუ ქვეყნის სასიკეთო გზაზე სიარული მტკიცედ გადაწყვიტა, ხელისუფლების ერთადერთი და საიმედო მოკავშირე ხალხია. ვინც ერის ინტერესების დასაცავად თავდაუზოგავად იბრძოლებს, მისი სიყვარულითა და ნდობით აღჭურვილს, ვერავითარი მუხთალი ძალა ვერ დაამარცხებს.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**



**ახალაგებული 7 ელექტროქვესადგურიდან 5 უკვე ჩართულია, მეექვსეს ივლისში ჩართავენ. ახალქალაქის ქვესადგურს კი — წლის ბოლოს. ენერგოუზრუნველყოფის საკითხი, შეიძლება ითქვას, უკვე გადაწყვეტილია. მაგისტრალზე ელმავლებსაც შემოიყვანენ. მანამდე კი თბომავლებს გამოიყენებენ „გამწევ ძალად“.**

პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «დიდი აბრეშუმის გზის» ქართული კონტურები

**და კვლავ მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობაზე ვართ. სამცხე-ჯავახეთში. სამი თვის შემდეგ — პირველად. როგორი დაგვხვდება, რით გაგვახარებს? ზაფხულის მზიანი დღით, უწინარესად, სიგრილით — 15 გრადუსია ამ დილით, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა თბილისის „საძროხე ქვაბს“ გარიდებული ქალაქელებისთვის.**

წითელი ყაყაჩოებით, რომლებიც ჯერ კიდევ ქვევით, ალგეთს გამოცილებულზე აბრიალდნენ „წერტილოვან დარტყმებად“ და ამ გაზაფხულ-ზაფხულის წვიმიანეთში ისე დაპატრონებიან დარწყულებულ დედამიწას, როგორც არასდროს.

არც — შარშან, არც — შარშანწინ.

გასულ ზამთარში ტემპერატურა მინუს 30 გრადუსამდე დაეცა. ფერითა და ფორმით სვანური ქუდის მსგავს აქაური მთების მწვერვალებს იმ დღესაც შემორჩენილი ჰქონდათ „ჭიანი თოვლი“ ზოლებად...

მზეს კი, როგორც იქნა, ამ დილით გაახსენდა, რომ დადგა საზაფხულო გრაფიკზე გადასვლის ჟამი.

კარგა ხანია.

და ეკიდა მოკრიალებულ ცაზე ფუნქციადაკარგული ღრუბლის ნაფლეთები.

— კარგ ამინდს ვეშურებით და ვცდილობთ შრომის უკეთ ორგანიზების, კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებით მივიღოთ მაქსიმალური შედეგი, — **ამბობს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი შპს მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის რკინიგზის ხელმძღვანელი, რომელსაც კარგად იცნობს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი, გაზეთში გამოქვეყნებული რეპორტაჟებით ამ ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალიდან.**

**რომელიც „დიდი აბრეშუმის გზის“ საქართველოს მონაკვეთია. ხოლო საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის დამაკავშირებელი გზების საკვანძო ქვეყნად ყალიბდება.**

— ჩვენი პროექტი დამამთავრებელ ეტაპში შედის, — **ადასტურებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ხელმძღვანელი,** — 2014 წელს მიზნად გვქონდა დასახული კარწახამდე სატესტო მატარებლის მიყვანა. ეს ამოცანა წარმატებით დავძლიეთ: 2014 წლის 28 დეკემბერს ახალქალაქიდან სადგურ კარწახში ასეთი მატარებელი მართლაც შევიდა. მომდევნო სტადიაზე (ერთი წლის შემდეგ), 2015 წლის 12 დეკემბერს, ორგანიზებული მატარებელი, რომელიც კომერციული ვაგონებისგან იყო შემდგარი, მარაბდიდან ახალქალაქში შევიყვანეთ. ხოლო 2016 წლის ბოლოს ვუპატაკებთ პირველი ტვირთის დაცლას სადგურ ახალქალაქში.

იმის გამო, რომ თურქეთის მხარე პროექტის დასრულებაში, სულ ცოტა, ექვსი თვით ჩამოგვრჩება, ვაპირებთ დავაყენოთ საკითხი, რათა წლის ბოლომდე მაგისტრალი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში. ეს ნიშნავს, რომ მუშა მატარებლების პარალელურად, რომლებიც მშენებლობის დასრულებისა და სრულად აღჭურვის ოპერაციებს მოემსახურება, ამ რკინიგზით შევძლებთ აზიიდან ჩამოსული კომერციული ვაგონების, ანუ ტვირთების უსაფრთხო გადაზიდვას მარაბდიდან ახალქალაქამდე, დავცლით აქვე, გადავტვირთავთ საავტომობილო ტრანსპორტზე და გავგზავნით თურქეთში. იქიდან კი ევროპისკენ თურქეთის მაგისტრალური რკინიგზით.

**— უსაფრთხო გადაზიდვაში რას გულისხმობთ, ბატონო ოლეგ? ტერორიზმის საფრთხისგან დასცვას?**

— *(ეღიმება).* არა, რასაკვირველია. მხედველობაში მაქვს ნორმატიული მოთხოვნების დაცვა, რაც მატარებლების ექსპლუატაციისთვის არის აუცილებელი. ახალაშენებულ სარკინიგზო უბანს თავისი საპროექტო სიმძლავრის მისაღწევად 2-5 წელიწადი სჭირდება. ექსპლუატაციაში მიღებით ამ ვადას შევამცირებთ ისე, რომ არც მშენებლობა შეფერხდება და ის, პირობითად დავარქვათ, „საგამოცდო პერიოდიც“ წარმატებით იქნება დაძლეული.

ექსპლუატაციაში მიღება საშუალებას მოგვცემს, შევთავაზოთ ევროპის, აზიის, წყნარი ოკეანის ქვეყნებს, სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორებისთვის ტვირთების მისაწოდებლად გამოიყენონ ჩვენი სარკინიგზო მაგისტრალი როგორც უმოკლესი, უსაფრთხო, იაფი გზა და საშუალება.

**მოკლედ — საქმე ბევრია, მაღალ პროფესიულ დონეზე შესასრულებელი სამუშაო უამრავი. ამიტომაა, რომ შპს-ის ხელმძღვანელობა გადასულია ე.წ. ხელით მართვის მეთოდზე: ყოველ ხუთშაბათს ახალქალაქის დროებით ოფისში იმართება ოპერატიული თათბირები, სადაც მიმართულებების უფროსები (საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან) მშენებლობის ხელმძღვანელს მოახსენებენ, რა გააკეთეს ე.წ. ვიწრო უბნებზე მდგომარეობის გამოსასწორებლად მიცემული დავალებებიდან გამომდინარე.**

**ასე იყო 30 ივნისსაც, როცა განიხილეს 50-ზე მეტი საკითხი, რომლებიც ეხებოდა მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანის დაწყებას, ირიგაციული სისტემის დასრულებას, მილევის პირზე მიმდგარი ინერტული მასალის შემოტანას (3480 ვაგონია საჭირო), ელექტროსადენების საყრდენებით უზრუნველყოფას (100 ათასია დამატებით საშოვნელი), ქვის სატეხი (სამტვრევი?) ქარხნის დაუყოვნებლივ ამოქმედებას და დამატებითი ტექნიკის „მოზიდვას“. კერძოდ, დილეტანტისთვის გაუგებარი, საიდუმლოებით მოცული, დიდი შესაძლებლობის მქონე ე.წ. „ვეპეერის“ მეორე აგრეგატით არსებული ტექნოპარკის გაძლიერებას. რადგან ერთით, როგორც თათბირზე თქვეს, ფონზე გასვლა შეუძლებელი იქნება.**

**რას ნიშნავს „ვეპეერი“? ეს ყოფილა ვაგონი — ლიანდაგის გამასწორებელი ტექნიკა.**

**აი, ასე!**

**ერთ-ერთი პრიორიტეტული უბანი ახალქალაქის საკონტეინერო ტერმინალია. შარშან, შემოდგომის მიწურულს აქ, უზარმაზარი ქვაბულის ფსკერზე ჭიანჭველებივით ერთმანეთს მწკრივად მისდევდნენ თვითმცლელები, გაჰქონდათ „კოდალებით“ მომტვრეული კლდის ლოდები, აფართოებდნენ მომავალი ტერმინალის ტერიტორიას, რომელიც ლამის ჯუჯა სახელმწიფოს ფართობის ხელაა. ახლა იქ, მაგიდასავით სწორ ფსკერზე ლიანდაგებია დაგებული. უკვე შემოტანილი აქვთ, სულ ცოტა, ერთი სტადიონის სიგრძე (დამონტაჟებამდე) ამწეკრანი, რომლის მონტაჟს ივლისის ბოლოს-აგვისტოს დასაწყისისთვის დაასრულებენ.**

**ახალაგებული 7 ელექტროქვესადგურიდან 5 უკვე ჩართულია, მეექვსეს ივლისში ჩართავენ. ახალქალაქის ქვესადგურს კი — წლის ბოლოს. ენერგოუზრუნველყოფის საკითხი, შეიძლება ითქვას, უკვე გადაწყვეტილია.**

**მაგისტრალზე ელმავლებსაც შემოიყვანენ. მანამდე კი თბომავლებს გამოიყენებენ „გამწევ ძალად“.**

— მშენებლობა აქ ინტენსიურად მიმდინარეობს და სულ მალე მზად ვიქნებით, რომ ტერმინალმა მიიღოს კონტეინერები. დამამთავრებელ ფაზაშია ნაყარი ტვირთების ტერმინალი ამაღლებული ლიანდაგით. ვამონტაჟებთ ამწეებს, მუშაობა მიმდინარეობს მომსახურე პერსონალის, საბაჟოს შენობების დასასრულებლად, შენდება ლიანდაგისპირა საწყობები და ა.შ.

ამ ზაფხულში დავასრულებთ სალიანდაგო მეურნეობის განვითარების ყველა სამუშაოს.

**— მშენებლობის ფრონტი ისეა გაშლილი, რომ ხამი კაცის უცხო თვალისთვის** ძნელი **აღსაქმელი ხდება მშენებლობის მასშტაბი.**

— ასეა. ახალქალაქის სადგური, მაგალითად, 12 ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაშლილი. მშენებლობა ორი წელიწადია, დაიწყო. მოჭრილია მილიონი კუბური მეტრი ბაზალტის კლდე (ასეთი ნიადაგია აქ), აფეთქებების საშუალებით, ცხადია. ეს უდიდესი მასა დაიყარა მეორე მხარეს, რათა პროფილი ნულოვანი გაგვეხადა. ამას მოჰყვება მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანის სამუშაოები, სანიაღვრე, საკანალიზაციო, წყალმომარაგებისა და ა.შ. სისტემები. საერთო სიგრძე (მხოლოდ აქ, ახალქალაქის სადგურში) ამ კომუნიკაციების 55 კილომეტრია.

**თურქეთის საზღვართან ბოლო „ობიექტი“ არის გვირაბი, რომელთან მისასვლელი გზის გასაყვანად გაიჭრა კანიონი (ჭრილი 50 მეტრზე მაღალია), რომლის ხილვა ადამიანის წარმოსახვას იპყრობს; ნიადაგის უზარმაზარი მასები გადაადგილდა, გზა გასწორდა, პროექტის შესაბამისი კონფიგურაცია მიიღო. იქით — ახალქალაქის ქვაბული, აქეთ — პორტალის კანიონი: ლანდშაფტს ცვლის ადამიანის ნება, ენერგია და შესაძლებლობა.**



ოლეგ ბიჭიაშვილი (მარჯვნიდან პირველი) თურქ და აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ერთად

— მოსაჭრელი იყო 120 ათასი კუბური მეტრი ქანობი, — **დეტალებში მარკვევს ბატონი ოლეგი,** — აქაც ვულკანური წარმოშობის ბაზალტოვანი ნიადაგია და აქაც აფეთქებებით ვაწარმოებდით სამუშაოებს, ასევე, პნევმატური ჩაქუჩებით. დარჩენილია 34 ათასი კუბური მეტრი, ამ ზაფხულში მოვამთავრებთ.

**— გვირაბში რა ხდება?**

— მთავრდება. საქართველოს მხარეს უნდა გაგვეყვანა 1830 მეტრის სიგრძის გვირაბი. 1100 მეტრზე დაბეტონება დავასრულეთ, სექტემბრის ბოლოს მთლიანად გამზადებულს ჩავაბარებთ, მოპირკეთების სამუშაოებს კი წლის ბოლოს დავამთავრებთ. პორტალის წინ კეთდება 300-მეტრიანი თოვლდამცავი გალერეა.

**— დიდი მასშტაბი ჩანს, და რაღაც არ ესადაგება საერთო სურათს ერთადერთი ექსკავატორი, რომელიც დღეს აქ მუშაობს.**

— გაზაფხულის გადაუღებელი წვიმების გამო ვერ მოხერხდა ფერდების ჩამოჭრა და პროექტით გათვალისწინებულ პროფილამდე მათი დაყვანა. არის საფრთხე გაუმაგრებელი ფერდების ჩამოშლის და ამიტომ ვერ ვამუშავებდით პნევმატურ ჩაქუჩს, აფეთქებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამინდი, როგორც ხედავთ, კარგი დადგა და მოგვეცემა შანსი, სრულად ავამოქმედოთ ჩვენი ყველა შესაძლებლობა.

**შესაძლებლობები არის და ხუთშაბათის თათბირები ამ შესაძლებლობათა მაქსიმალურად ამოქმედების ნიმუშია.**

**შეკითხვას — კმაყოფილია თუ არა ამ თათბირების ეფექტიანობით, ბატონი ოლეგი დადებითად უპასუხებს.**

**არ არის მისი პასუხი მაინცდამაინც პრესისთვის გაკეთებული განცხადება. მშენებლობაზე რეალურად შექმნილ ვითარებაზეა დამყარებული მისი ოპტიმისტური დასკვნა.**

**სიტყვის კაცია მარაბდა-კარწახის რკინიგზის ხელმძღვანელი, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია. კვლავ და კვლავ ამოვალთ ამ სარკინიგზო მაგისტრალზე და უეჭველად დავრწმუნდებით, რომ ასე იქნება ამჯერადაც.**



ლიანდაგის დაგების პროცესი

**არმაზ სანებლიძე**
ახალქალაქი-თბილისი
ავტორის ფოტო

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთს, როგორც სსრკ-ს მემკვიდრეს, სურს, იყოს აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ ამერიკელები ცალმხრივად გამოვიდნენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულებიდან... აშშ აღმოსავლეთ ევროპაში ქმნის რაკეტსაწინააღმდეგო ცენტრებს. ამერიკელებს არ სურთ, რუსეთის დაბრუნება „რვიანში“ და ქმნიან წინააღმდეგობებს, რათა ეს ქვეყანა არ შევიდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში.**

# ფრანგი დიპლომატი: საფრანგეთმა აუცილებლად უნდა აღადგინოს ურთიერთობა რუსეთთან

**„აუცილებელი არ არის, საფრანგეთის პოლიტიკა მოსკოვის მიმართ იყოს პრორუსული ან ანტირუსული. ის უნდა შეესაბამებოდეს საფრანგეთისა და ევროპის ინტერესებს“, წერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი გენერალური მდივანი ფრანსის გუტმანი Les Echos-ში.**





თავის ამჟამინდელ საზღვრებშიც კი რუსეთი მთავარი ფიგურაა საერთაშორისო თამაშში. მაგრამ მას აღარ აქვს ძალა და საშუალება იმპერიალისტური პოლიტიკის საწარმოებლად. საფრანგეთი ამ ქვეყნის გაძლიერებისკენ უნდა მიისწრაფვოდეს და არა — დასუსტებისკენ.

**გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკა და კულტურა — ეს ყველაფერი აახლოებს რუსეთს საფრანგეთთან და დანარჩენ ევროპასთანაც. მის ელიტასა და საშუალო კლასს, გარკვეულწილად, შეიძლება ევროპული ვუწოდოთ. მაგრამ რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობა სტაბილურად უარესდება.**

რა თქმა უნდა, რუსეთი უცოდველი არ არის, მაგრამ ევროკავშირმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოსკოვის მიერ აღქმული იქნა, როგორც მტრული.

კერძოდ, ეს ეხება **ევროკავშირის გაფართოებას** ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სამომავლოდ მათი ნატოში შეყვანით. თავისი როლი ითამაშა **უკრაინასთან** ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამაც, რომელიც ამ ქვეყანას ავალდებულებს, არჩევანი ევროპის სასარგებლოდ გააკეთოს, არადა, **პუტინი,** თავის მხრივ, ცდილობდა, შეექმნა ევრაზიული კავშირი კიევის მონაწილეობით.

**რუსეთს, როგორც სსრკ-ს მემკვიდრეს, სურს, იყოს აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ ამერიკელები ცალმხრივად გამოვიდნენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულებიდან მაშინ, როდესაც რუსებმა შეაჩერეს ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებზე შეთანხმების მოქმედება.**

აშშ აღმოსავლეთ ევროპაში ქმნის რაკეტსაწინააღმდეგო ცენტრებს. **ამერიკელებს არ სურთ, რუსეთის დაბრუნება „რვიანში“ და ქმნიან წინააღმდეგობებს, რათა ეს ქვეყანა არ შევიდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში. ამას გარდა, რუსეთისთვის აზია არის ბაზარი და არა სტრატეგიული მოკავშირე.** აქ ჩინეთსაც კი არ შეუძლია, იქცეს ალტერნატივად.

**საფრანგეთი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ რუსეთმა განავითაროს კავშირები ევროპასთან. მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენი მიზანი უნდა იყოს მოსკოვთან გლობალური პარტნიორობის ჩამოყალიბება ყველა სფეროში**

საფრანგეთი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ რუსეთმა განავითაროს კავშირები ევროპასთან. მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენი მიზანი უნდა იყოს მოსკოვთან გლობალური პარტნიორობის ჩამოყალიბება ყველა სფეროში (ეკონომიკა, კულტურა, უსაფრთხოება...).

## უკრაინის საკითხი

ჩვენი ამჟამინდელი პოლიტიკა სხვა მიმართულებით მიდის. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ახალი და ფხიზელი მიდგომა რუსეთის მიმართ და უარვყოთ ცივი ომისდროინდელი მიდგომები, რომლებიც ხშირად ჩანს აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს პოზიციებში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ატარებს ანტირუსულ პოლიტიკას (ამის ნათელი მაგალითია სამხედრო ძალების გაძლიერება აღმოსავლეთში), რომელიც სახიფათოა მსოფლიოსთვის და ეწინააღმდეგება ყველას ინტერესებს, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისას.

მაგრამ უკრაინაში სიტუაციის მოგვარებამდე საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობაში ხელშესახები პროგრესი არ იქნება. შექმნილ ვითარებაზე მოსკოვსაც ეკისრება პასუხისმგებლობა, ყირიმის ანექსიის გაუთვალისწინებლადაც კი.

**თავის მხრივ, უკრაინის პარლამენტმა არ შეასრულა ის დაპირებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო „მინსკი 2“-ის შეთანხმებით.** საფრანგეთმა და გერმანიამ ზემოქმედება უნდა მოახდინონ რუსეთზე მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც უშუალოდ მას ეხება, და ეს ქვეყნები უნდა იყვნენ მამოძრავებელი ძალა კონსტიტუციური რეფორმისა უკრაინაში, რათა განისაზღვროს დონბასის რეგიონული სტატუსი.

## სანქციების მოხსნა

რუსეთთან ურთიერთობის განვითარების მოლოდინში აუცილებლად უნდა მომზადდეს ნიადაგი ახალი მოლაპარაკებებისთვის სხვადასხვა დონეზე: გაუმჯობესდეს ოფიციალური ორმხრივი ორგანოების მუშაობა, აგრეთვე, ეკონომიკური, აკადემიური, სამეცნიერო და კულტურული წრეების, ქალაქებისა და რეგიონების, თანამშრომლობა სტუდენტებისა და სკოლის გაცვლები და ა.შ.

ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ოქტომბერში დაგეგმილი ვიზიტი **ვლადიმერ პუტინისა,** რომელიც პარიზში ახალი მართლმადიდებელი ეკლესიის გახსნის საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

LES ECHOS

# მარინ ლე პენი: ევროკავშირი სულ უფრო მაგონებს სსრკ-ს

**პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ევროკავშირი სსრკ-ს შეადარა და ევროპას „სახალხო გაზაფხული“ უწინასწარმეტყველა.**



## «ევროკავშირი ხალხების საპყრობილედ გადაიქცა»

„ევროკავშირის ბედი სულ უფრო მაგონებს საბჭოთა კავშირს, რომელიც საკუთარი წინააღმდეგობრივი მოქმედებების გამო დაიღუპა. ფრანგებზე უნდა იმოქმედოს იმ ფაქტმა, რომ ინგლისელები პირველები გავიდნენ ევროკავშირიდან. ფრანგებს ისღა დარჩენიათ, რომ მათ ქუდის მოხდით მიესალმონ. მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა გადაწყვიტეს ევროკავშირის დატოვება, ფრანგების წინაშე საკითხი ასე დადგა: „სურთ კი, რომ არადემოკრატიული ხელისუფლება კარნახობდეთ, როგორ იცხოვრონ თუ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი?“ **ევროკავშირი ხალხების საპყრობილედ გადაიქცა, 28 ქვეყნიდან თითოეულს ნელ-ნელა წაართვეს დემოკრატიული პრეროგატივა, ეს ქვეყნები უკვე აღარ წყვეტენ თავიანთი ბიუჯეტის საკითხებს, ცხოვრობენ იმ კანონებით, რომლებიც თვითონ არ მიუღიათ, ისინი იძულებულნი არიან, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ გახსნან საზღვრები,** სხვადასხვა ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, ერთიანი ვალუტა შემოეღოთ. ადამიანებს უკვე ხმაც აღარ აქვთ“. — წერს მარინ ლე პენი ამერიკულ გაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ მარინ ლე პენი ევროპარლამენტის დეპუტატია, მიაჩნია, რომ „ევროკავშირი მხოლოდ გარეგნულადაა დემოკრატიული, რადგან სიცრუეზეა აშენებული: **„როგორ შეიძლება იფიქრო, რომ ევროპის ხალხები ერთგვაროვანი არიან თავიანთი ბუნებით და რომ მილანელ დეპუტატს უფლება აქვს, მიიღოს კანონი ესპანელი ხალხისთვის. ბრექსიტი — ეს პირველი გამოძახილია ევროპელი ხალხების აჯანყებისა“,** — წერს ფრანგი პოლიტიკოსი.

მარინ ლე პენმა დაგმო ევროპული ინსტიტუტები და განაცხადა, რომ ისინი დემოკრატიაზე მაღლა დადგნენ და რომ „ბატონი **ფრანსუა ოლანდი** (საფრანგეთის პრეზიდენტი —რედ.), **მატეო რენცი** (იტალიის პრემიერი — რედ.) და **მარიანო რახოი** ( ესპანეთის მთავრობის ხელმძღვანელი — რედ.) ახლა ბრიუსელიდან კი არა, პირდაპირ ანგელა მერკელისგან მიიღებენ მითითებებს.

„სახალხო გაზაფხული შეუქცევადი იქნება, — ასკვნის მარინ ლენ პენი, — ერთადერთი კითხვა, რომელიც ჩნდება ასეთია: **არის კი მზად ევროპა გამოეთხოვოს თავის ილუზიებს თუ გონს ტკივილის შემდეგ მოვა?** მე კი არჩევანი დიდი ხნის წინათ გავაკეთე: მე ავირჩიე საფრანგეთი, მე ავირჩიე დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე ავირჩიე თავისუფლება“.

**«როგორ შეიძლება იფიქრო, რომ ევროპის ხალხები ერთგვაროვანი არიან თავიანთი ბუნებით და რომ მილანელ დეპუტატს უფლება აქვს, მიიღოს კანონი ესპანელი ხალხისთვის. ბრექსიტი — ეს პირველი გამოძახილია ევროპელი ხალხების აჯანყებისა»**



„მართალია, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ევროპელებთან ურთიერთობის გართულების ფონზე თურქეთი ახალ მეგობრებს ეძებს, მაგრამ ეს ძალიან მარტივი დასკვნა იქნებოდა. ერდოღანსა და პუტინს აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ: ორივეს სურს თავისი პოზიციების განმტკიცება სირიასა და რეგიონში არსებულ კონფლიქტურ კერებში“.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა დგას ერდოღანის ბოდიშის უკან

## თვით ერდოღანსაც კი სჭირდება მეგობრები

**მოსკოვის მტკიცებით, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ბოდიში მოიხადა გასული წლის ნოემბერში რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების გამო. თურქებმა რუსული ბომბდამშენი სუ-24 2015 წლის ნოემბერში ჩამოაგდეს სირიაში. ერთი პილოტი დაიღუპა. თვითმფრინავის ინციდენტის შემდეგ რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობაში ცივი ომის ფაზა დადგა. მოსკოვმა თურქეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა.**

ერდოღანმა რუსეთის პრეზიდენტს მისწერა, რომ თურქ სამხედროებს რუსული თვითმფრინავი წინასწარგანზრახვით არ ჩამოუგდიათ. რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის — **დიმიტრი პესკოვის** განცხადებით, თურქეთის პრეზიდენტმა მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო. ერდოღანი რუსეთს მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს და სურს, რომ ორმხრივი ურთიერთობა გაუმჯობესდეს.

თურქეთმა დაადასტურა, რომ რუსი პილოტის დაღუპვაში დამნაშავეს სისხლის სამართლის დევნა დაემუქრება. ამას გარდა, რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ **თურქეთმა და ისრაელმა მრავალწლიანი კონფლიქტის შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას და აპირებენ, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ერთობლივი მოქმედებების შესახებ.**

### პუტინი და ერდოღანი ახლა მეგობრები არიან?

ნატოს ყოფილმა გენერალმა და ბუნდესვერის გენერალურმა ინსპექტორმა **ჰარალდ კუიიატმა** „ბილდს“ განუცხადა: **„მართალია, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ევროპელებთან ურთიერთობის გართულების ფონზე თურქეთი ახალ მეგობრებს ეძებს, მაგრამ ეს ძალიან მარტივი დასკვნა იქნებოდა. ერდოღანსა და პუტინს აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ: ორივეს სურს თავისი პოზიციების განმტკიცება სირიასა და რეგიონში არსებულ კონფლიქტურ კერებში“.**

ბრიტანული კონსალტინგური სააგენტოს Verisk Maplecroft-ის პოლიტიკური ანალიზის განყოფილების დირექტორის — **ენტონი სკინერის** აზრით კი: **„მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ძლიერდება დიპლომატიური იზოლაცია თურქეთისა, რომელიც წაეჩხუბა თავის ბევრ ყოფილ რეგიონულ მოკავშირეს. რეგიონში, სადაც გამეფებულია არასტაბილურობა და ძალადობა, თურქეთს მეგობრები სჭირდება“.**

სირიის სისხლიან სამოქალაქო ომში, რომელიც უკვე 5 წელიწადია გრძელდება, რუსეთი მხარს უჭერს **ბაშარ ასადს** და მის შიიტ მომხრეებს ირანიდან, ლიბიიდან და ერაყიდან.

ერდოღანი კი, თავის მხრივ, მხარს უჭერს სუნიტ ამბოხებულებს, აგრეთვე, ისლამისტებს. რუსეთიც და თურქეთიც სირიელებს ბევრ იარაღს აწვდიან და ამ მიმართულებით ერდოღანის მობოდიშების შემდეგაც საეჭვოა, რამე შეიცვალოს.

რისი იმედიც ახლა უნდა ჰქონდეს თურქეთს — ეს არის თავის კურორტებზე რუსი ტურისტების რაოდენობის მატება. მოსკოვმა გასულ წელს თვითმფრინავის ჩამოგდების გამო თურქეთში ჩარტერული რეისები აკრძალა. ამასთანავე, თურქეთში წარმოებულ კვების პროდუქტებზე დააწესა ემბარგო, რომელიც გაუქმდება.

პუტინს აქვს ალტაცების საფუძველი, რადგან თურქები ველარ გაბედავენ კიდევ ერთი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას, თუკი ის 5 წამით მაინც შემთხვევით შეფრინდება მათ საჰაერო სივრცეში.



**ერდოღანი წინააღმდეგი არ წავა, თუ ამბოხებულებს საჰაერო დარტყმებით დაეხმარება თურქეთის სასაზღვრო რაიონებში. თუმცა აქამდე ამას ვერ ბედავდა, რადგან ამ ტერიტორიას — ალეპოს ჩრდილოეთით — აკონტროლებენ რუსული სარაკეტო სისტემები C-400-ები, რომლებიც რუსებმა სირიაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განალაგეს. აუცილებლობის შემთხვევაში ამ სისტემებს თურქეთის თვითმფრინავების წინააღმდეგ აამოქმედებენ**

წყარომ ისრაელის სპეცსამსახურიდან „ბილდს“ აცნობა, რომ **რუსეთსა და სირიის მეზობელ ქვეყნებს შორის არსებობს „ცხელი ხაზი“ და შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდება არ შეიძლება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჰაერო სივრცეს დაარღვევს.**

რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების მომენტში მოსკოვსა და ანკარას შორის მსგავსი შეთანხმება არ ყოფილა. შერიგების შემდეგ კი შეიძლება გაფორმდეს „თავდაუსხმელობის“ პაქტი, ყოველ შემთხვევაში, იმ თვითმფრინავებსა და უპილოტო საფრენ აპარატებზე მაინც, რომლებიც საჰაერო სივრცეს მხოლოდ მცირე ხნით იყენებენ.

თუმცა ამ პაქტმა შეიძლება არ იმუშაოს. **ერდოღანი წინააღმდეგი არ წავა, თუ ამბოხებულებს საჰაერო დარტყმებით დაეხმარება თურქეთის სასაზღვრო რაიონებში. თუმცა აქამდე ამას ვერ ბედავდა, რადგან ამ ტერიტორიას — ალეპოს ჩრდილოეთით — აკონტროლებენ რუსული სარაკეტო სისტემები C-400-ები, რომლებიც რუსებმა სირიაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განალაგეს. აუცილებლობის შემთხვევაში ამ სისტემებს თურქეთის თვითმფრინავების წინააღმდეგ აამოქმედებენ.**

ექსპერტები თანხმდებიან, რომ **პუტინისთვის ბოდიშის მოხდა და ისრაელთან შერიგება მოწმობს ღრმა იზოლაციას, რომელშიც თურქეთი აღმოჩნდა ერდოღანის პოლიტიკის გამო.**

ამასთანავე, ანკარას არც ევროპასთან აქვს კარგი ურთიერთობა.

თურქეთსა და ისრაელს შორის, რომლებიც თავის დროზე მოკავშირეები იყვნენ, 2010 წლიდან გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა — იმხანად ხმელთაშუა ზღვაში მოხდა ინციდენტი, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირა: ისრაელის ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში დააკავა თურქეთის ბორანი, რომელიც ღაზის სექტორისკენ მიემართებოდა. ატყდა სროლა და დაიღუპა თურქეთის 10 მოქალაქე. ამის შემდეგ ანკარამ თავისი ელჩი გამოიწვია ისრაელიდან და შეწყვიტა ყველა პროექტი, რომელსაც ისრაელთან ერთად ახორციელებდა.

თურქეთსა და ისრაელს შორის ახალი შეთანხმება, ისრაელის პრემიერმინისტრის — **ბენიამინ ნეთანიაჰუს** თქმით, ხელს შეუწყობს ვითარების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში.

სხვათა შორის, თურქეთმა კეთილგანწყობა **გერმანიის** მიმართაც გამოავლინა. თურქული მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, გერმანიის თავდაცვის მინისტრის **ურსულა ფონ დერ ლაიენის** ვიზიტს თურქეთის ტერიტორიაზე, ინჯირლიყში განლაგებულ ნატოს ბაზაზე „ხელს არაფერი უშლის“.

ურსულა ფონ დერ ლაიენმა ინჯირლიყში თავისი ვიზიტის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, როცა გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივან **რალფ ბრაუკზიპეს** თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს. მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანელ სამხედროებს, რომლებიც ინჯირლიყის ბაზაზე მსახურობენ, რამდენიმე დღეში მოინახულებს.

**BILD**

---

## ჩავუშოღლუ: ერდოღანს სურს, პუტინს რუსეთში შეხვდეს

**„თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს სურს, რუსეთის ტერიტორიაზე შეხვდეს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს“, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ.**



„პრეზიდენტებმა დაადასტურეს, რომ შეხვდებიან ჩინეთში, G20-ის სამიტის ფარგლებში, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა, აგრეთვე, გამოთქვა სურვილი, მოლაპარაკებები გაიმართოს ჩინეთში გამგზავრებამდე. ჩვენ ვმუშაობთ ამ მიმართულებით. ასეთი შეხვედრის მოსამზადებლად გავმართავთ კონსულტაციებს უწყებებს შორის“, — განაცხადა ჩავუშოღლუმ.

2 ივლისს რფ-ისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები სერგეი ლავროვი და მევლუთ ჩავუშოღლუ ერთმანეთს სოჭში შეხვდნენ.

---

## თვითკმაყოფილი პიგმეი — ევროკავშირის თავმჯდომარე — მთავარი წინაღობა ბრიტანეთის გზაზე

**ბრიტანეთისა და ევროკავშირის უმტკივნეულო განქორწინების გზაზე მთავარი წინაღობა არის „ბოროტი და შურისმაძიებელი კლოუნი ჟან-კლოდ იუნკერი“. — წერს ბრიტანული გამოცემა The Sun-ი სარედაქციო სტატიაში.**



ეს „თვითკმაყოფილი პიგმეი-თავმჯდომარე“ ბრიუსელის ქედმაღლობის განსახიერებაა, რომელიც მათ, ვინც „ბრექსიტი“ აირჩია, ვეღარ იტანს. მან იცის, რომ ევროკავშირი სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია. მაგრამ უმნიშვნელო რაღაცის დათმობაც არ სურს. მას სურს, თვითონ წარმართოს მოლაპარაკება და „დასაჯოს“ ბრიტანეთი იმ იმედით, რომ სხვა ქვეყნებს შეეშინდებათ და გადაიფიქრებენ ევროკავშირიდან გასვლას. მაგრამ კონტინენტზე მცხოვრები აღშფოთებული ამომრჩეველი ჩვენს ნაკვალევს გაჰყვება. ევროკავშირის პოლიტიკურმა ლიდერებმა განზე უნდა გასწიონ იუნკერი, თუკი სურთ, ნგრევისგან გადაარჩინონ თავიანთი ევროპული სახლი.

**The Sun**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანდინისტური ხელისუფლება მუდმივი გამაღიზიანებელია ობამას ადმინისტრაციისთვის. აშშ-ის სპეცსამსახურები დიდი ხანია, ინტენსიურად რომ უთვალთვალებენ პრეზიდენტ დანიელ ორტეგას, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ორტეგა, როგორც თავის დროზე უგო ჩავესი, ამ ამბავს მშვიდად ხვდება, რადგან უცხოეთში არ აქვს საიდუმლო ანგარიშები და არც კლეპტოკრატიისკენ არის მიდრეკილი.**

# ნიკარაგუის არხი, რუსული ტანკები და ამერიკელი ჯაშუშები

**14 ივნისს ნიკარაგუიდან გააძევეს ამერიკელები, რომელთა მოღვაწეობამ ხელისუფლების საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვია. მათგან ორი — აშშ-ის საბაჟო-სასაზღვრო სამსახურის (Customs and Border Protection) წარმომადგენლები— ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ცდილობდა ნიკარაგუის საბაჟოს „შემოწმებას“, აგრეთვე, ინფორმაციის მოპოვებას რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობისა და ტექნიკის, მათ შორის, ტანკების (T-72) მიღების შესახებ.**

აშშ-ის საელჩომ ნიკარაგუაში გააპროტესტა ამერიკელთა გაძევება და თავისი „რევიზორების“ ინტერესი მკაცრი რეჟიმის ობიექტების მიმართ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ამოცანებით ახსნა.

ნიკარაგუიდან გააძევეს, აგრეთვე, **ევან ელისი,** აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეჯის პროფესორი, რომელიც „რევიზორებთან“ ერთად ჩავიდა ამ ქვეყანაში და მათთან ერთად ცხოვრობდა სასტუმრო „ჰილტონში“. თუ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ელისის აკადემიური პროდუქტიულობა ძალიან მაღალია. ის დაკავებულია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში ჩინეთისა და რუსეთის შეჭრის საკითხების ანალიზით და ცივი ომისდროინდელ კონფრონტაციულ ტერმინებს იყენებს.

**ნიკარაგუაში ელისს აინტერესებდა წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი არხი, რომელიც ამ ქვეყანაში შენდება.** როგორც პროფესორმა განაცხადა, ის კერძო ვიზიტით ჩავიდა მანაგუაში და მოგზაურობის პროგრამა წინასწარ შეათანხმა ნიკარაგუაში აშშ-ის ელჩთან, ოკეანეთაშორისი არხის დირექციის ხელმძღვანელ **მანუელ კორონელ კაუტცთან** და სხვა ნიკარაგუელ მაღალჩინოსნებთან. არხის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად დაგეგმილი ჰქონდა შეხვედრები მთავრობის ფუნქციონერებთან, ბიზნესმენებთან, დიპლომატებთან, ჟურნალისტებთან და სოციალური მოძრაობების აქტივისტებთან. მაგრამ პროფესორმა ნიკარაგუაში მხოლოდ ერთი დღით ყოფნა მოახერხა. რაღაც შეეშალა: შეხვდა სანდინისტური კონტრდაზვერვის აგენტს და თავისი არცთუ მეგობრული გეგმები გაანდო. საბოლოო ჯამში, **ელისმა მოასწრო მხოლოდ ფოტოგამოფენის მონახულება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია ”მიწის, ტბებისა და სუვერენიტეტის ნაციონალურმა საბჭომ” მოაწყო. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ნიკარაგუის არხის მშენებლობის წინააღმდეგ გამოდის.** იმავე საღამოს ელისთან სასტუმროს ნომერში მივიდნენ საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლები და განუცხადეს, რომ მას არ აქვს ოფიციალური ნებართვა წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი არხის მშენებლობაზე გამოძიების ჩასატარებლად და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს ქვეყანა. ამერიკელი უახლოესი ავიარეისით გაისტუმრეს სამშობლოში.

**გაძევების შემდეგ ელისმა თავი ვერ შეიკავა და თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ინტერნეტში გამოაქვეყნა. მისი ბრალდებები ემთხვევა ვაშინგტონის პოზიციას, რომელიც მტრულად არის განწყობილი ნიკარაგუის არხის მშენებლობის მიმართ, რადგან ნიკარაგუის არხი დიდ კონკურენციას გაუწევს პანამის არხს, რომელსაც აშშ აკონტროლებს.**

ელისს ეჭვი შეაქვს პროექტის რეალიზებაში და ამბობს, რომ „ნიკარაგუის მთავრობამ პროექტი იდუმალების საბურველში გახვია; და ეს იმიტომ, რომ დამალოს პერსონალური სარგებელი იმ პირებისა, რომლებიც ამ პროექტში ნიკარაგუის მხრიდან არიან ჩართული“.

**ელისისთვის ამერიკელი დიპლომატების გაძევება არის მტკიცებულება იმისა, რომ „ნიკარაგუის რეჟიმთან პატივისცემისა და კონსტრუქციული კომპრომისის სტრატეგია არ მუშაობს“. ამიტომ აშშ-ს ადმინისტრაციას ნიკარაგუაში ნოემბერში გასამართი არჩევნების წინ „უფლება და მორალური ვალდებულება აქვს ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან, რათა წინ წაიწიოს დემოკრატიის განვითარების მხრივ“.** აშშ-ის ადმინისტრაციისა და კარტერის ცენტრის დამკვირვებელთა უარი, დააკვირდნენ არჩევნებს ნიკარაგუაში ელისისთვის „დემოკრატიის შეზღუდვაა“. ამიტომ **ამერიკის შეერთებული შტატები,** — მოუწოდებს ის, — **სწორედ ახლა უნდა ჩაერიოს საქმეში, ნიკარაგუა საბოლოოდ რომ არ გადაიხაროს ვენესუელის მსგავს ავტორიტარიტარული რეჟიმისკენ.** ლაპარაკობს რა, ნიკარაგუის ხელისუფლების „დანაშაულებრივ შესაძლებლობებზე“, ელისი მიუთითებს, რომ **აუცილებელია მასზე პერმანენტული მონიტორინგი აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან.** გამოქვეყნებულ წერილში არის მუქარის შემცველი ნოტებიც: **„ისინი, ვინც დაკავშირებული არიან ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ან ნიკარაგუელი ხალხის ხარჯზე მდიდრდება, მართლმსაჯულებას ვერ გაექცევიან, ვერ გამოიყენებენ თავიანთ დანაშაულებრივ შემოსავალს, როდესაც პოსტებს დატოვებენ“.**

ელისის წინადადება მონიტორინგის დაწესებაზე შემთხვევითი არ არის. სანდინისტური ხელისუფლება მუდმივი გამაღიზიანებელია ობამას ადმინისტრაციისთვის. **აშშ-ის სპეცსამსახურები ინტენსიურად რომ უთვალთვალებენ პრეზიდენტ დანიელ ორტეგას, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ორტეგა, როგორც თავის დროზე უგო ჩავესი, ამ ამბავს მშვიდად ხვდება, რადგან უცხოეთში არ აქვს საიდუმლო ანგარიშები და არც კლეპტოკრატიისკენ არის მიდრეკილი.**

**ორტეგას რეჟიმზე თავდასხმის სხვა მოტივი (და, ალბათ, ძირითადი) არის ნიკარაგუის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა რუსეთთან.** აქ ელისი, აგრეთვე, მოუწოდებს, სიფხიზლისკენ. მაგალითად, „მარშალ ჟუკოვის სასწავლო ცენტრს რისთვის იყენებენ? მხოლოდ სახმელეთო ჯარების სპეციალისტების მოსამზადებლად?“ მეორე მაგალითი: „ნიკარაგუას აძლევენ ორ სარაკეტო და 4 საპატრულო კატარღას, რატომ ასე ბევრს? ეს ხომ რუსეთის მხრიდან არნახული მასშტაბის შეიარაღებისკენ რბოლაა კარიბის ზღვის აკვატორიასა და წყნარ ოკეანეში?! ელისი შეშფოთებულია ნიკარაგუისთვის მოდერნიზებული ტანკების T72B-1-ის მიწოდებით. პირველი პარტია 20 ერთეულისგან შედგებოდა, სულ კი წლის ბოლომდე ნიკარაგუელი ტანკისტები 50 ჯავშნიან საბრძოლო მანქანას მიიღებენ. **სანდინისტებმა ფოლადის კუთხეები დაუსჯელად რომ არ ათამაშონ, ელისის რეკომენდაციით, აშშ-მა ენერგიულად უნდა ითანამშრომლოს ნიკარაგუის მეზობლებთან, მაგალითად, კოსტა-რიკასთან. თუმცა, გაუგებარია რას გულისხმობს ამერიკელი პროფესორი — ტრადიციულად მშვიდობისმოყვარე კოსტა-რიკას სრულფასოვანი რეგულარული არმიის შექმნაში უნდა დაეხმარონ თუ მის ტერიტორიაზე პენტაგონის კიდევ ერთი სამხედრო ბაზა განალაგონ?**

გასული წლის დეკემბერში ნიკარაგუის არხის მშენებლობა მიმდინარე წლის აგვისტომდე გადაიდო. მიზეზი იყო ძირითადი ინვესტორის — ჰონგკონგის კონსორციუმის HKNicaragua Canal Development Investment Co-ს ფინანსური პრობლემები.

ელისი წერს, რომ პირველი ინფრასტრუქტურის შექმნის შემდეგ მეგაპროექტი ნელა მიიწევს წინ: არ აშენებულა ორი ღრმაწყლიანი პორტი, საწყობები, სამშენებლო მასალების საწარმოები, რომლების მშენებლობაც 2016 წლის აპრილში უნდა დასრულებულიყო.

ალსანიშნავია ისიც, რომ აქტიურად მოქმედებენ ამერიკელთა მიერ დაფინანსებული ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ხელს უწყობენ გლეხებში საპროტესტო განწყობის გაღვივებას. ნიკარაგუელი გლეხები შეშფოთებულნი არიან ტბა ნიკარაგუისა და მდინარეების — ბრიტოსა და ლას-ლახასის სანაპიროებზე ტყის გაჩეხვის გამო.

ისეთი ექსპერტების მხარდაჭერით, როგორიცაა ელისი **ამერიკული მედიასაშუალებები ნიკარაგუელებს შთააგონებენ, რომ წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი არხი — ეს არის „სანდინისტების პროპაგანდა“ და რომ ამ არხის მშენებლობაში არსებული სირთულეები ძნელი დასაძლევია. ამ მიზნით ამერიკული და ამერიკელების კონტროლს დაქვემდებარებული ლათინურამერიკული მედია დიდ ყურადღებას უთმობს პანამის მოდერნიზებული არხის მუშაობას. ლაიტმოტივი ნათელია: დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში საჭირო არ არის ალტერნატიუ-**




**ნიკარაგუის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ნიკარაგუელთა ცხოვრების დონის ამაღლება, სტაბილურობა და უსაფრთხოება (ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში დამნაშავეობის ზრდის ფონზე) — ეს, უწინარესად, პრეზიდენტ დანიელ ორტეგას დამსახურებაა. ის თანამიმდევრულად იცავს ნიკარაგუის ინტერესებს საერთაშორისო არენაზე და ნიკარაგუელთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. სწორედ ამიტომ არ მუშაობს ნიკარაგუაში აშშ-ის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი ტექნოლოგიები და «ქაოსის სტრატეგია»**


დანიელ ორტეგა


ევან ელისი

**ჩვენს პლანეტას შეუძლია თავიდან მოიშოროს ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნაგავი. და, თუკი 300 მილიონი წლის შემდეგ დედამიწაზე გაჩნდებიან ახალი გონიერი არსებები, შეიძლება ვერც კი შეამჩნიონ, რომ მათ მოსვლამდე სხვა ცივილიზაცია არსებობდა. ასე რომ, დედამიწას თავისუფლად შეუძლია ჩვენ გარეშე არსებობა, ჩვენ კი — დედამიწის გარეშე — არა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლი არხები, იმიტომ, რომ პანამის არხს „შეუძლია პრაქტიკულად ყველა პრობლემა გადაჭრას“, რომელიც კი შეიძლება წარმოიქმნას აზია-ამერიკის ვაჭრობაში, ისეთი ხომალდების გაშვებაც კი რომლებზეც 14 ათასი კონტეინერია განთავსებული. ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა კიდეც შესაბამისი ფოტო: ჩინურმა კონტეინერმზიდმა Cosco Shipping Panama-მ წარმატებით გაიარა პანამის არხის ახალი რაზები.

**ნიკარაგუაში დაგეგმილი არჩევნების წინ ვაშინგტონი ყველა მეთოდს იყენებს დანიელ ორტეგას პოზიციების შესასუსტებლად. სანდინისტების „ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა“ დანიელ ორტეგას კანდიდატურა კვლავ წამოაყენა ნიკარაგუის პრეზიდენტის პოსტზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ქვეყანა გაივსო უცხოელი ემისრებითა და ექსპერტებით.**

ნიკარაგუის მეხუთე კოლონა იზოლაციაშია და მხარდაჭერა სჭირდება. ამისთვის კი ხშირად იყენებენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მოქალაქეებს, მაგრამ... მაგალითად, **ვირიდიანა რიოსმა**, ვაშინგტონში არსებული ვილსონის ცენტრის თანამშრომელმა, ამერიკელების გაძევების შემდეგ შეშფოთებულმა, ლამის პანიკაში მყოფმა დატოვა ნიკარაგუა, რადგან, როგორც თვითონ განაცხადა, უთვალთვალებდნენ.

**რიოსის თქმით, ის აგროვებდა ინფორმაციას სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებზე. მის მასალებს არცთუ იშვიათად იყენებენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები, ასე რომ, პანიკისა და გაქცევის მიზეზები ნამდვილად ჰქონდა.**

ნიკარაგუის სამხრეთში კი დააკავეს ლათინოამერიკელი ეკოლოგი-სტუდენტების ჯგუფები. როგორც გაირკვა, ეს „ეკოლოგები“ ინდიელებს ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედებას ასწავლიდნენ.

**ნიკარაგუიდან უცხოელი პროვოკატორების გაძევება მიუთითებს, რომ სანდინისტები ქვეყანაში დასტაბილიზაციას არ დაუშვებენ. სწორედ ამის გამოა გაჩაღებული საერთაშორისო მედიაში ისტერიკული კამპანია „ორტეგას დიქტატურის“ წინააღმდეგ.**

ნიკარაგუის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ნიკარაგუელთა ცხოვრების დონის ამაღლება, სტაბილურობა და უსაფრთხოება (ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში დამნაშავეობის ზრდის ფონზე) — ეს, უწინარესად, პრეზიდენტ დანიელ ორტეგას დამსახურებაა. ის თანამიმდევრულად იცავს ნიკარაგუის ინტერესებს საერთაშორისო არენაზე და ნიკარაგუელთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. სწორედ ამიტომ არ მუშაობს ნიკარაგუაში აშშ-ის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი ტექნოლოგიები და „ქაოსის სტრატეგია“.

**Fondsk.ru**





# რა მოხდება, თუკი ადამიანები გაქრებიან?

**წარმოიდგინეთ, რომ პლანეტაზე მცხოვრები ყველა ადამიანი მოულოდნელად გაქრა. მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზეზის გამო. უბრალოდ, წარმოიდგინეთ შედეგი. ახლა კი მოგითხრობთ, რა მოხდება, თუკი ჩვენ არ ვიქნებით პლანეტა დედამიწაზე.**

ადამიანის გაქრობიდან **რამდენიმე საათის** შემდეგ მსოფლიოში ყველგან ჩაქრება შუქი. ელექტროსადგურების უმრავლესობა სასარგებლო წიაღისეულისგან შექმნილი საწვავით მუშაობს, ადამიანების გარდა კი მათ ვერავინ გამართავს და გაჩერდება.

**48 საათის შემდეგ** ელექტროენერგიის მოხმარების შეფერხების გამო ატომური ელექტროსადგურები გადავა საავარიო რეჟიმზე. ქარის გენერატორები მანამდე იმუშავებს, ვიდრე არ გაუთავდებათ საპოხი საშუალებები. მზის ბატარეები კი მალე გამოვა მწყობრიდან დაგროვილი მტვრის გამო.

თითქმის ყველა რეგიონს, მათი გამოკლებით, სადაც ენერგომომარაგება ჰიდროელექტროსადგურების მეშვეობით ხორციელდება, ელექტროენერგია აღარ ექნება. აშშ-ის დასავლეთში მდებარე ჰუვერის წყალსაცავის გენერატორები, რომლებსაც ტბა მიდის წყლით ამუშავებენ, მომსახურე პერსონალის გარეშე დარჩება.

ადამიანების გაქრობიდან **2-3 დღის შემდეგ** დაიწყება მეტროპოლიტენის სადგურების უმეტესი ნაწილის დატბორვა, რადგან ტუმბოები, რომლებიც სადგურებს გრუნტის წყლების ჩაღვრისგან იცავს, ადამიანების გარეშე ვერ იმუშავებს.

**10 დღის შემდეგ** ადამიანებს საცხოვრებლებში გამომწყვდეული შინაური ცხოველები შიმშილისა და წყურვილისგან დაიხოცებიან. მოკვდება მილიონობით ქათამი, ძროხა და სხვა ცხოველი. მათ კი, ვისაც გაუმართლებს და თავისუფლებას მოიპოვებს, გადარჩენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოუწევთ. ველური ბუნების სინამდვილიდან გამომდინარე, კატებისა და ძაღლების დეკორატიული ჯიშები განადგურდება. სწორედ ისინი დაიღუპებიან პირველები. ბულდოგის მოკლე ფეხები და ტერიერის მინიატურული ყბები მათი დაღუპვის მიზეზი იქნება.

**რამდენიმე კვირის შემდეგ** დედამიწაზე აღარ დარჩება პატარა ძაღლის ჯიში. დიდი ძაღლები ხროვაში გაერთიანდებიან და ნადირობას დაიწყებენ პატარა ზომის ძაღლებსა და სხვა ცხოველებზე.

ჩვენი გაქრობიდან დაახლოებით **ერთი თვის შემდეგ** ატომურ სადგურებში გამაცივებელი სითხე აორთქლდება, რაც გამოიწვევს აფეთქებებს, რომელთა დამანგრეველი ძალა რამდენჯერმე მეტი იქნება ფუკუსიმასა და ჩერნობილში მომხდარი აფეთქებების ძალაზე. მილიონობით ცხოველი კიბოთი დაიღუპება. თუმცა დედამიწა საკმაოდ სწრაფად და ადვილად გაუმკლავდება რადიაციულ დაბინძურებას.

ადამიანების გაქრობიდან **1 წლის შემდეგ** დედამიწაზე ჩამოვარდება უცნაური "ვარსკვლავები". კოსმოსის დაპყრობის შემდეგ ჩვენ დედამიწის ორბიტაზე ათი ათასობით სხვადასხვა ობიექტი გავგზავნეთ. ყველაზე შორეული კოსმოსური თანამგზავრები დედამიწას რამდენიმე წლის შემდეგ დაეცემა.

**25 წლის შემდეგ** დედამიწის ზედაპირის სამი მეოთხედი, ყველა მოედანი და ტროტუარი, მცენარეებით დაიფარება. ხოლო სადაც არის მცენარეული საფარი, იქ არის ბალახისმჭამელები, სადაც არის ნადავლი, იქ არის მტაცებლებიც. გადარჩენილი ძაღლები მგლებთან შეჯვარდებიან და დიდ ქალაქებს შეესევიან.

**უადამიანო დედამიწაზე ჰაერი უფრო სუფთა იქნება. ხედვა ბევრ ადგილას გაუმჯობესდება. დუბაი და ლას-ვეგასი ქვიშაში ჩაიძირება. უდაბნო დაიბრუნებს იმას, რაც ეკუთვნოდა.**

**300 წლის შემდეგ** ლითონის კონსტრუქციები, მაგალითად, ეიფელის კოშკი და ფოლადის ხიდები — დაინგრევა, რადგან ამ ხნის განმავლობაში მათ არავინ შეღებავს და დაიცავს ჟანგისგან. დაინგრევა აგრეთვე რკინა-ბეტონით ნაგები შენობები.

**კვლავ გაჩნდება ვრცელი ჭაობი, რომელსაც ოდესღაც ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა, და ბევრი სახეობის ფრინველი და ცხოველი დაუბრუნდება ადგილებს, საიდანაც უსამართლოდ გააძევეს. ზღვის დიდ ძუძუმწოვრებსაც გაუხარდებათ ჩვენი გაქრობა. როცა ადამიანები გაქრებიან, ვეშაპები შეძლებენ, გამრავლდნენ იმ რაოდენობით, რამდენის შესაძლებლობასაც მისცემთ ოკეანე.**

**10 ათასი წლის შემდეგ** კი დედამიწაზე ადამიანის ცხოვრების ერთადერთი ნიშანი იქნება — ნანგრევები ქვის ნაგებობებისა: ეგვიპტის პირამიდების, ჩინეთის დიდი კედლის.

**15 მილიონი წლის შემდეგ** კი პლასტიკატისგან დამზადებული ბოთლები და მათი ნამსხვრევები ერთადერთი მოწმე იქნება ჩვენი არსებობისა. კიდევ 15 მილიონი წლის შემდეგ კი ისინიც გაქრება.

როგორც ხედავთ, **ჩვენს პლანეტას შეუძლია თავიდან მოიშოროს ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნაგავი. და, თუკი 300 მილიონი წლის შემდეგ დედამიწაზე გაჩნდებიან ახალი გონიერი არსებები, შეიძლება ვერც კი შეამჩნიონ, რომ მათ მოსვლამდე სხვა ცივილიზაცია არსებობდა.**

ასე რომ, დედამიწას თავისუფლად შეუძლია ჩვენ გარეშე არსებობა, ჩვენ კი — დედამიწის გარეშე — არა.

ამიტომ გავუფრთხილდეთ ჩვენს პლანეტას!

**Mind Warehouse (აშშ)**

# «ნუ მეხები, ბინძურო ბერძენო!»



მარცხნიდან: პეტერ რამზაუერი, ზიგმან გაბრიელი და ალექსის ციპრასი

# გერმანიის ვიცეკანცლერის ვიზიტი საბერძნეთში სკანდალით დაიწყო

**გფრ-ის ვიცეკანცლერის — ზიგმარ გაბრიელის ვიზიტი საბერძნეთში სკანდალით დაიწყო. საბერძნეთის პრემიერ მინისტრის — ალექსის ციპრასის ოფისში გფრ-ის ვიცეკანცლერის თანაპარტიელმა, რომელიც ზიგმარ გაბრიელს ახლდა, ხელი ჰკრა ბერძენ ფოტოგრაფს. და, როგორც მოწმეები აღნიშნავენ, არა მხოლოდ უხეშად მოიცილა ფოტოგრაფი, არამედ მიაძახა: „ნუ მეხები, ბინძურო ბერძენო“.**

ეს პიროვნება იყო გფრ-ის ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი **რამზაუერი,** რომელიც ამჟამად ბუნდესტაგის ეკონომიკური კომიტეტს ხელმძღვანელობს. **რამზაუერის** თქმით, მას თვითონ ფოტოგრაფმა ჰკრა ხელი, როცა ციპრასთან მიახლოებას ცდილობდა, რათა კარგი ფოტო გადაეღო. მაგრამ რამდენიმე პირმა, რომლებიც ამ ინციდენტს შეესწრო, მათ შორის, გერმანელთა დელეგაციის წევრებმა, ფოტოგრაფის ნათქვამი დაადასტურეს. სკანდალი აიტაცეს გერმანულმა და საბერძნეთის მედიასაშუალებებმა.

რამზაუერს რასიზმში ადანაშაულებენ, რაც ევროპაში მძიმე ბრალდებაა.



# ტერორისტული აქტი ბანგლადეშში: მოკლულია 20 მოქალაქე და 5 «ბოევიკი»

**ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს მძევლები, რომლებიც ბოევიკებმა ერთ-ერთ რესტორანში აიყვანეს — იუწყება The Daily Star-ი.** დაკას დიპლომატიურ კვარტალში მდებარე რესტორანზე „ბოევიკების“ თავდასხმის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა. სამართალდამცველებმა 18 მძევალი გაათავისუფლეს, 5 „ბოევიკი“ მოკლულია. დაიღუპა, აგრეთვე, 2 პოლიციელი.

ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „ისლამურმა სახელმწიფომ“.

რამდენიმე დღის წინათ დაკას ერთ-ერთ რესტორანში ტერორისტები შეიჭრნენ და საზოგადოებრივი კვების დაწესებულების სტუმრებს ცეცხლი გაუხსნეს. იმ მომენტში რესტორანში 40-მდე ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის, 20 უცხოელი.

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ს სჭირდება რუსეთის ბუნებრივი ნედლეული თავისთვის, და კიდევ იმიტომ, რომ ჩინეთი არ დაეპატრონოს. სჭირდება რუსეთის უკიდეგანო ტერიტორია, სადაც შესაძლებელი იქნება რადიაქტიური ნარჩენების დამარხვა. აბა, პატარა ევროპაში ხომ არ შექმნიან ქიმიურ ყორღანებსა და სამარხებს? მათ სჭირდებათ სუფთა, მტკნარი წყალი. სჭირდებათ ყველაფერი, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება. არ ვჭირდებით ჩვენ, არავინ, „ოქროს მილიარდის“ გარდა არავინ.ამ ბრძოლაში ჩაურთველობა არ შეიძლება. ან შენი ქვეყნის მხარეს უნდა დადგე, ან — სხვა ქვეყნის მხარეს. მესამე მხარე არ არსებობს.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №1-24 (330-353)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**დღეს ვასრულებთ ნიკოლაი სტარიკოვის წიგნის თარგმანის გამოქვეყნებას. ბოლო თავში ლაპარაკია მილსადენების მშენებლობის პრობლემებზე, რომლებიც ამჟამად აქტუალური აღარ არის, რადგან დღის წესრიგიდანაა ამოღებული. მაგრამ, ამასთანავე, აქ განხილულია ისეთი საკითხებიც, რომელთა შესახებ საქართველოში მყარი საზოგადოებრივი აზრია ჩამოყალიბებული. ფაქტები ჭკუისსასწავლებელია, ანალიტიკა — საინტერესო, და ამიტომაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.**




დღევანდელი დასავლეთი, — **აღნიშნავს წიგნის ავტორი,** — სულაც არ არის სრულუფლებიანი სახელმწიფოების გაერთიანება. არიან პატრონები, არიან კლიენტები. ჰყავთ თავიანთი ხელისბიჭები („შესტიორკები“). გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ არცთუ იშვიათად ჩავფიქრებულვართ, ეგებ, ჩვენ სადღაც ისეთები არ ვართ, როგორიც სხვა დანარჩენები არიან?

გავარჩიოთ ეს საკითხი და ამთავითვე ვთქვათ, რომ ნუ მიაქცევთ ყურადღებას ფაქტების სიჭრელესა და პიჯაკების ნაირფეროვნებას. არ დაიბნეთ! სერიოზული სახის ადამიანები დამოუკიდებელი პოლიტიკოსები კი არ არიან, არამედ დაქირავებული მენეჯერები.

**მიხეილ სააკაშვილი, მაგალითად, დაიქირავეს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე სამუშაოდ, ვიქტორ იუშჩენკო — უკრაინის პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე, ხოლო პან კაჩინსკი (ამჟამად გარდაცვლილი) პოლონეთის პრეზიდენტად მიიწვიეს.**

შეიძლება კი, რომ მათ განსხვავებული აზრი ჰქონდეთ მსოფლიო პოლიტიკაზე, თუ ხელფასს ერთსა და იმავე ადგილზე იღებენ? რა თქმა უნდა, არა! ერთი გუნდია, ერთი დასი, ერთი და იმავე პოლიტიკური თეატრის. ხოლო საერთო აზრი ოციოდ ქვეყნის ერთიანი პოზიცია კი არ არის, არამედ — აზრი და პოზიცია ერთი სახელმწიფოსი, რომელმაც დანარჩენები საკუთარ გავლენას დაუმორჩილა და თავისი პოლიტიკის ყურმოჭრილ განმხორციელებლად აქცია. **ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უარს იტყვის „საბეჭდი დაზგის“ ყმობაზე, ავტომატურად მიუღებელი ხდება აშშ-სა და სრულად დასავლეთისთვის.**

ხოლო მათ შესახებ, რომლებიც ამ ფეხაწყობილი რიგის ავანგარდში დგანან, ღირს რამდენიმე სკანდალური ფაქტის გახსენება.

სკანდალური, ამ შემთხვევაში, დანაშაულებრივს ნიშნავს.

**2008 წლის 20 აგვისტოს ახლა უკვე ცნობილი გემი „ფაინა“ უკრაინის პორტ ოქტრიაბრსკიდან გავიდა. სკანდალი, რომელიც ამ ხომალდის, უფრო ზუსტად, იმ ტვირთის გამო ატყდა, რომელიც მას გადაჰქონდა, თანდათან გაძლიერდა და გამდიდრდა დეტალებით. ჯერ გაირკვა, რომ გემი 33 (თუ უფრო მეტი) ტ-72 ტანკით იყო დატვირთული. შემდეგ დაზუსტდა, რომ მისი ტრიუმები სავსე იყო საზენიტო ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცნებით, დიდი რაოდენობის საბრძოლო ჭურვებით. კიდევ ერთი კვირის შემდეგ ეს ჩამონათვალი შეივსო ცეცლსასროლი სისტემებითა და რაკეტებით. მალე ისიც გაირკვა, რომ ეს სისტემები სხვა არაფერია, თუ არა „გრადი“, სიკვდილის მთესველი სისტემები.**

2008 წლის 25 სექტემბერს „ფაინა“ ხელთ იგდეს სომალელმა მეკობრეებმა. უკრაინის ოფიციალურ ხელისუფლებას ხმა არ ამოუღია იმაზე, თუ ვისი იყო გემი, რომელიც მეკობრეებმა დააკავეს, ან ვისთვის გადაჰქონდა ეს იარაღი.

ისე ჩანდა, რომ ხელისუფლების ერთმა ნაწილმა მართლაც არაფერი იცოდა, ხოლო მცირე ნაწილი დაზაფრული იყო მოსალოდნელი სკანდალის მოლოდინში. მხოლოდ შუადღისთვის, როცა „მცოდნე“ ნაწილმა სრულად აღიქვა, რომ არაფერი დაიმალებოდა, გავრცელდა განცხადება: **„უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო იფარგლება ინფორმაციით, რომ საქმე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი და მიმდინარეობს შემოწმება. პრეზიდენტმა დაავალა ყველა კომპეტენტურ ორგანოს, განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი მეზღვაურების გასათავისუფლებლად“.**

ოფიციალური ვერსია, რომელიც თავდაპირველი დუმილის შემდეგ იშვა, ზღაპარს ჰგავდა: **ბოროტმა მეკობრეებმა ხელთ იგდეს მშვიდობიანი გემი, რომელიც შემთხვევით ტანკებით დატვირთული აღმოჩნდა.**

კიევში ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ამ ტანკებმა „ამაყად“ გაიარეს კრეშჩატიკზე, უკანასკნელ აღლუმზე, რომელიც უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გაიმართა. მაყურებლებს აჩვენეს უკრაინის ჯარის ძლიერება და განაგრძეს გზა მატარებლის პლატფორმებზე დასატვირთად.

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო: **უკრაინის დამოუკიდებლობის დღე 24 აგვისტოა. „ფაინა“ კი ზღვაში 20 აგვისტოს გავიდა. სამაგიეროდ ყველა სხვა ინსინუაცია კიევის ხელისუფლების მისამართით სიმართლეს ჰგავს. ძალიან.**

იგივე ავი ენები ირწმუნებოდნენ, რომ საზენიტო კომპლექსები და ჭურვები, რომლებიც აფრიკაში გაზიდეს, „დაიწვა“ 2008 წლის 27 აგვისტოს უკრაინის სახმელეთო ჯარების საბრძოლო მასალების 61-ე არსენალში გაჩენილი ხანძრის დროს. ეს ვერსია უკრაინაში დაუყოვნებლივ გაავრცელეს:

„უკრაინის ქალაქ ლოზოვაიაში მდებარე საბრძოლო მასალების საწყობებში გაჩენილი ხანძარი შეიძლება გამოეწვიათ გამიზნულად, რათა დაეფარათ ჭურვების დანაკლისი“. იუწყებოდა NEWSru, რომელიც იმოწმებდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ყოფილ ვიცე-პოლკოვნიკს **გენადი ლობოდას. „ვფიქრობ, რომ ტექნოგენური კატასტროფა სამხედროების უყურადღებობით მოხდა. ეს ერთი. საწყობისთვის ცეცხლი სპეციალურად შეიძლება წაეკიდებინათ, რათა ჭურვების დანაკლისი დაეფარათ. როცა ჭურვები „იკარგება“, ბრალდების თავიდან ასაცილებელი საუკეთესო საშუალება აფეთქების მოწყობა და დანაკლისის ამ მოტივით ჩამოწერა“.**

არსენალში, რომლის ფართობი 494 ჰექტარია, 100 ტონამდე საომარი მასალა ინახებოდა. ერთი ხანძრის მოწყობით არა მხოლოდ „ფაინას“ დატვირთვას შეძლებდნენ, არამედ მთელი ქარავნის. ეს ცხადზე უცხადესია ყველასთვის, მათ შორის, უკრაინელი პარლამენტარებისთვისაც. ამიტომ, ხანძარი ჯერ კიდევ ჩამქრალი არ იყო, რომ 2 სექტემბერს უკრაინის რადამ შექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომლის თავმჯდომარის **ვალერი კონოვალიუკის** განცხადებით, საწყობებს სპეციალურად წაუკიდეს ცეცხლი, დანაკლისი რომ დაეფარათ.

კომისიამ, რომელიც ნახანძრალს ათვალიერებდა, ჯერ კიდევ არ იცოდა მთავარი, ანუ იარაღითა და ტყვია-წამლით დატვირთული „ფაინას“ მოგზაურობის ამბავი.

**ამ დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიებას შემდეგ შეუდგებიან, დეპუტატები განსაკუთრებით დაინტერესდებიან საომარი აღჭურვილობის მიწოდებით სააკაშვილის რეჟიმისთვის, რომელმაც ერთი თვით ადრე განახორციელა სამხედრო ოპერაცია ცხინვალზე.**

შეისწავლეს და გაარკვიეს გასაოცარი უაზრობა. კერძოდ:

*** უკრაინული დანაყოფების უმრავლესობა დაკომპლექტებული იყო ტ-64 ტანკებით. ახალი ტ-72-ები კი მიჰყიდეს სააკაშვილს;**

*** საქართველოს მიაწოდეს უახლესი საარტილერიო სისტემები, თვითონ კი ძველი დაიტოვეს;**

*** ძმურად გაიყვეს საზენიტო კომპლექსები „კოლჩუგა“ — საქართველოში გაგზავნეს ოთხი ერთეული,** ▶



**2008 წლის 20 აგვისტოს ახლა უკვე ცნობილი გემი «ფაინა» უკრაინის პორტ ოქტრიაბრსკიდან გავიდა. სკანდალი, რომელიც ამ ხომალდის, უფრო ზუსტად, იმ ტვირთის გამო ატყდა, რომელიც მას გადაჰქონდა, თანდათან გაძლიერდა და გამდიდრდა დეტალებით. ჯერ გაირკვა, რომ გემი 33 (თუ უფრო მეტი) ტ-72 ტანკით იყო დატვირთული. შემდეგ დაზუსტდა, რომ მისი ტრიუმები სავსე იყო საზენიტო ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცნებით, დიდი რაოდენობის საბრძოლო ჭურვებით. კიდევ ერთი კვირის შემდეგ ეს ჩამონათვალი შეივსო ცეცხლსასროლი სისტემებითა და რაკეტებით. მალე ისიც გაირკვა, რომ ეს სისტემები სხვა არაფერია, თუ არა «გრადი», სიკვდილის მთესველი სისტემები**

**აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო და აღიარებული მეცნიერია, მის კომპეტენტურ სიტყვას აფასებენ და ანგარიშს უწევენ. მისი ღვაწლის დიდი აღიარება იყო ის, რომ 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2013 წელს მიენიჭა აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის საპატიო წოდება ეკონომიკის დარგში.**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მშობლიურ უკრაინასაც ამდენივე დაუტოვეს;**

*** საზენიტო კომპლექსების —„ბუკ-11“-ის სააკაშვილისთვის მისაყიდად საჭირო გახდა საბრძოლო მორიგეობიდან მათი მოხსნა. შედეგად, 15 „ბუკიდან“, რომლებითაც უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო ძალები იყო აღჭურვილი ადგილზე დარჩა 8, დანარჩენი შვიდი საქართველომ შეიძინა. ოთხი წლის წინათ ეხვეწებოდა პაკისტანი უკრაინას ამ საზენიტო კომპლექსების ერთი დივიზიონი 150 მილიონ დოლარად მიეყიდა, მაგრამ უარით გაისტუმრეს. საქართველოს კი ორი დივიზიონი 28 მილიონ დოლარად დაუთმეს.**

მიაქციეთ ყურადღება: **უკრაინა აიარაღებდა სხვა ქვეყანას საკუთარი თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ. განიარაღდებოდა თვითონ, აიარაღებდა საქართველოს.**

**თავისთავად ჩნდება კითხვები — რა იყო ამის მიზეზი? ნუთუ კიევი ასე თავდავიწყებით იყო შეყვარებული თბილისზე?!**

ვალერი კონოვალიუკის (საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის) მონაცემებით, 40 ტანკი ტ-72, რომლებითაც დაიტვირთა გემი „ფაინა“, საქართველოს მიჰყიდეს 9 მილიონ დოლარად, ანუ თითოეული — 225 ათას დოლარად. კიდევ 15 ტანკი — სულ რაღაც, 135 ათას დოლარად. არადა, ერთი ტ-72-ის საბაზრო ფასი ერთ მილიონამდე დოლარია. ეს ტანკები უახლესი მოდელი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ არც ჯართია — ყველამ გაიარა მოდერნიზაცია, აღჭურვილი იყო უახლესი ელექტრონული მოწყობილობებით, აქტიური ჯავშნითა და დამიზნების სისტემებით.

და მიუხედავად ამ ყველაფრისა, თავის ფასზე ხუთჯერ უფრო იაფად გაიყიდა.

საიდან ასეთი გულმოწყალება?

რამ ან, უფრო ზუსტად, ვინ აიძულა უკრაინის პრეზიდენტი ასე იაფად გაეყიდა საომარი ტექნიკა, მოეხსნა იგი საბრძოლო მორიგეობიდან და დაესუსტებინა თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ვიღაც სხვის გაძლიერების მიზნით?

**არცერთი ქვეყანა არ განაიარაღდება, რათა შეაიარაღოს სხვა ქვეყანა, რაგინდ „ძმადნაფიცობა“ აკავშირებდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამდვილად არის დამოუკიდებელი. მაგრამ, თუ მას სათავეში უდგას ამერიკის მარიონეტი, მაშინ ნებისმიერი ფოკუსი დასაშვებია. იგივე განაცხადა თავის დროზე დეპუტატმა ვალერი კონოვალიუკმა: „იუშჩენკოს პრეზიდენტად დასმით უკრაინამ თავისი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. სახელმწიფოს მეთაური მარიონეტულ პოლიტიკას განახორციელებს და ოკეანისგაღმელი პარტნიორების სტრატეგიული გეგმების რეალიზაციას ემსახურება“.**

ესეც დავიხსომოთ: **როცა ქვეყნის მეთაური იქცევა როგორც წვრილმანი თაღლითი, ქმნის ილუზიას, თითქოს ითვისებს სახელმწიფო სახსრებს, ასე საკუთარი სურვილით არ მოქმედებს.**

ასეთი „ორიგინალობა“ რუსეთის ისტორიაში უკვე იყო, როცა **ლენინი** და **ტროცკი** ყიდულობდნენ „ოქროს ორთქმავლებს“. მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულმა „ნარინჯისფერმა“ პრეზიდენტმა, ათეული წლების შემდეგ იგივე გაიმეორა...

რა გამოვიდა? არც — თავისთვის, არც — ქვეყნისთვის. მაშ, ვისთვის?

მგონია, რომ ამ კითხვას ამომწურავად ვუპასუხეთ.

გაურკვევლობა იმ მიზნებში, რომლებისთვისაც იბრძვიან მსოფლიო კატაკლიზმების ორგანიზატორები, იქნება ეს მსოფლიო ომი თუ ეკონომიკური კრიზისი, პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების არასწორი დაგეგმვის მიზეზი ხდება. **საბჭოთა კავშირის მეთაური სტალინი ნაციზმის შესაჩერებლად ვალდებული იყო, „დამეგობრებოდა“ დასავლეთის დემოკრატიას, რომელიც მის თვალწინ საბჭოთა ქვეყნის დაპყრობის იდეით დაავადებულ ჰიტლერს ზრდიდა და აძლიერებდა. დღეს კი დასავლეთის ლოგიკას რომ მივყვეთ, სისულელეებს თავი უნდა დავანებოთ და ყველაფერი ვაკეთოთ ისე, როგორც აკეთებენ იქ, ვაშინგტონში. უნდა ჩავატაროთ თავისუფალი არჩევნები, შევქმნათ ახალი პარლამენტი. უარი ვთქვათ დასავლეთთან კონფრონტაციაზე. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ქედი მოვუხაროთ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბატონ-პატრონ ფინანსისტებს.** მაგრამ „მსოფლიო მოწყობის თავისებურებაში“ გაურკვეველი ობივატელისთვის ეს განმარტება გაუგებარია...

სიტუაცია მყარი არ არის, სასწორის ხან ერთი პინაა მაღლა, ხან — მეორე...

**აშშ-ს სჭირდება რუსეთის ბუნებრივი ნედლეული თავისთვის, და კიდევ იმიტომ, რომ ჩინეთი არ დაეპატრონოს.**

**სჭირდება რუსეთის უკიდეგანო ტერიტორია, სადაც შესაძლებელი იქნება რადიაქტიური ნარჩენების დამარხვა. აბა, პატარა ევროპაში ხომ არ შექმნიან ქიმიურ ყორღანებსა და სამარხებს?**

**მათ სჭირდებათ სუფთა, მტკნარი წყალი. სჭირდებათ ყველაფერი, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება.**

არ ვჭირდებით ჩვენ, არავინ, „ოქროს მილიარდის“ გარდა არავინ.

ამ ბრძოლაში ჩაურთველობა არ შეიძლება. ან შენი ქვეყნის მხარეს უნდა დადგე, ან — სხვა ქვეყნის მხარეს.

მესამე მხარე არ არსებობს.

**თავიანთ მოქალაქეებს დიდი ხანია, ტვინები გადაუბრუნეს. ახლა ჩვენკენ დაიძრნენ.**

მაშ, რა უნდა გავაკეთოთ?

**უნდა გავიგოთ, უნდა გავერკვეთ. ფართოდ გავაღოთ თვალები და დავძაბოთ გონება — მათი ქმედება არც ისე რთული და ძნელად გასაგებია. არ უნდა შეგვაშინოს იმან, რომ ჩვენს გარშემო არსებული რეალობა ისეთი არ არის, როგორც გვქონდა წარმოდგენილი.**

**წარმატება ჩვენ, ყველას!**

# ომარ ქეშელაშვილი — 75

## თვალსაჩინო მეცნიერი და სასახელო პიროვნება

**აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა უკვე კარგა ხანია, მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა.**



1968 წელს დაიცვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1978 წელს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მინიჭებული აქვს პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1995 წლიდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1966 წლიდან მუშაობდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ. 1988 წლიდან იყო აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 2006 წლიდან — დირექტორი, 2007— 2011 წლებში — აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ — სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1991-2011 წლებში იყო, მის მიერვე დაფუძნებული უმაღლესი სასწავლებლის — საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის რექტორი.

ამჟამად არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ამავე აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი, ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი, გამომცემლობა „აგროს“ ხელმძღვანელი, საერთაშორისო ჟურნალ „მოამბის“ პასუხისმგებელი რედაქტორი.

აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა, თავისი გამოკვლევებით ახალი მიმართულებები შექმნა ქართულ აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში. პირველმა მან მოგვცა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების გამოყენების ეკონომიკური შეფასება და მისი მეცნიერული საფუძვლები, დაადგინა მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები.

მან საფუძველი ჩაუყარა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის მართვის პრობლემების კვლევას და პირველმა (2008-2009 წწ.) დაადგინა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალური დონეები ფერმერული მეურნეობებისათვის.

აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემის შედგენაში. მის მიერ ჩატარებული ახალი გამოკვლევების საფუძველზე, 2009 წელს, საქართველოს ტერიტორია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თვალსაზრისით დაიყო 13 ზონად და 8 ქვეზონად.

მისი თანახელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით 1977, 1982 და 1986 წლებში მომზადდა და მასობრივი ტირაჟით (ქართულ და რუსულ ენებზე) გამოიცა ავტორთა კოლექტივის კაპიტალური ნაშრომი „რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ“, 1985-1987 წლებში “სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების რეკომენდაციები” საქართველოს 15 ტიპური სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის. ამ ნაშრომისთვის მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი ხარისხის პრემია.

1970-იანი წლებიდან, 15 წლის განმავლობაში, აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა შესრულდა დიდი მეცნიერულ-გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები — 15 რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები, რომლებიც ფართოდ დაინერგა წარმოებაში.

2006—2011 წლებში, აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ხელმძღვანელობით აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში შესრულდა ფუნდამენტური სამეცნიერო სამუშაოები, დამუშავდა მრავალწლიური პრიორიტეტული პრობლემა: „საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის რესურსული და ინსტიტუციურ-მარკეტინგული, ზონალურ-დიფერენცირებული სტრატეგიული სისტემა“.

ორიგინალურია და დიდი მოწონებით სარგებლობს მის მიერ მომზადებული და გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები: „აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (1986წ.), „ბიზნესის ორგანიზაცია“ (1995 წ.); „სამართალმცოდნეობა ყველასთვის“(2001წ), „ვინ იცის ეკონომიკა?“ (2004 წ.), „ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ (2005 წ.), „ინტელექტუალური საუბრები“ (2005 წ.), „ვერბალური მართვა“ (2005 წ.); „საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა“ ოთხ ტომად (2008-2010 წლებში), „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“ (2009 წ.), „ბიზნესური ეკონომიკა“ (2010 წ.), „სამთო სოფლის მეურნეობა (განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები“ 2010 წ.); „ბიზნესგეგმის შედგენის თეორია და პრაქტიკა“ (2012 წ.); „ეკონომისტისა და ბიზნესმენის ცნობარი” (2014წ), “ეკონომიკური ცოდნის საგანძური” (2014წ.), „ინოვაციური სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტები სოფლის მეურნეობის მგრადი განვითარებისათვის“ (2014წ), „ეს ყველამ უნდა იცოდეს“ (2015წ), „საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგად-ეკონომიკური დახასიათება და სტრატეგიული მიმართულებები“ (2015წ), „სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი“ (2016წ. თანაავტორობით).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა საგანმანათლებლო სფეროში, 1980 წლიდან, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში.

დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აღზრდილი ჰყავს 31 ასპირანტი, მაძიებელი და დოქტორანტი. მიღებული აქვს მონაწილეობა 4 მსოფლიო კონგრესში.

აკადადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი უაღრესად ნაყოფიერი და პროდუქტიული მეცნიერია. გამოქვეყნებული აქვს 750-მდე სამეცნიერო, თეორიულ-მეთოდოლოგიური, ფუნდამენტური და სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 40 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 87 ბროშურა და ცალკე გამოცემა. 32 ნაშრომი გამოცემულია საზღვარგარეთ, მისი რედაქტორობით გამოცემულია 180-ზე მეტი წიგნი და ჟურნალი.

აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო და აღიარებული მეცნიერია, მის კომპეტენტურ სიტყვას აფასებენ და ანგარიშს უწევენ. მისი ღვაწლის დიდი აღიარება იყო ის, რომ 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2013 წელს მიენიჭა აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის საპატიო წოდება ეკონომიკის დარგში.

**ვულოცავთ ბატონ ომარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს!**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# გერმანელებმა მხარი დაუჭირეს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც რუსეთის მიმართ ნატოს პოლიტიკა მწვავედ გააკრიტიკა

**გერმანიის მოქალაქეთა 64% იზიარებს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის — ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის აზრს ნატოსა და რუსეთის ურთიერთობაზე, რომელმაც მწვავე კრიტიკა გამოიწვია გერმანელ და ნატოს წევრ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკოსებში. — იუწყება გამოცემა Die Welt-ი, რომელმაც საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის — YouCov-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.**

„რაც ახლა არ უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ ვითარება არ გავამწვავოთ იარაღის ჟღარუნითა და საბრძოლო ყიჟინით. ის, ვინც ვარაუდობს, რომ ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებზე სიმბოლური სატანკო აღლუმებით უფრო მეტ უსაფრთხოებას მივაღწევთ, ცდება“, — განაცხადა გერმანიის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა გაზეთ Bild am Sonntag-ში რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ წერილში.

8 და 9 ივლისს ვარშავაში უნდა გაიმართოს ნატოს სამიტი, რომელზეც, სავარაუდოდ, მიიღებენ გადაწყვეტილებას ალიანსის კიდევ 4 ბატალიონის გაგზავნის შესახებ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანია უხელმძღვანელებთ იმ ბატალიონს, რომელიც ლიტვაში განლაგდება.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰერაკლეონი, რომელიც ჰომეროსს თავის ნაწარმოებში აქვს ნახსენები, წლების განმავლობაში ლეგენდა ეგონათ, რადგან დანამდვილებით არ იცოდნენ, რეალურად თუ არსებობდა მსგავსი სიმდიდრის ქალაქი ოდესმე. როგორც ამბობენ, ის ეგვიპტის მთავარი პორტი იყო და ყველა გემი, რომლებიც ბერძნული სამყაროდან მოდიოდა, აქ უნდა შემოსულიყო.**



# «ჰიუნდაის» ახალი ჩინური ბრენდი

**გუანჯოუს ავტოშოუზე „ჰიუნდაიმ“ წარადგინა ახალი ბრენდი, რომელიც სპეციალურად ჩინური ბაზრისთვის არის შექმნილი და რომელსაც „შოუვანი“ დაარქვეს. ეს არის ერთობლივი კომპანია, რომელშიც კორეული კომპანიის მეწილე, ჩინური „ბეიჯინგ ავტომოტივია“ (BAIC). „შოუვანი“ ხელმისაწვდომი და ეკოლოგიური ავტომობილების წარმოებაზე იქნება სპეციალიზებული.**

კორეელ და ჩინელ პარტნიორებს ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ, რომელ მოდელებს გამოუშვებს „შოუვანი“ ან როდის დაიწყებს წარმოებას. თუმცა პირველი ავტომობილი შოუზე უკვე წარადგინა. **ავტომობილს SOUVAN BHCD-1 ეწოდება. აბრევიატურაში პირველი ორი ასო ბეიჯინსა და ჰიუნდაის ნიშნავს, CD – სამოდელო ხაზს, რიცხვი კი – კომპანიის პირველ ავტომობილს.**

„ჰიუნდაის“ განცხადებით, ავტომობილი ჰიბრიდული სისტემითაა აღჭურვილი, თუმცა კორეულ კომპანიას მისი ტექნიკური მახასიათებლები არ გამოუქვეყნებია. ამასთანავე, როცა ავტომობილის სერიული წარმოება დაიწყება, ის მხოლოდ ბენზინის ძრავით აღიჭურვება.

“შოუვანი” ოთხკარიანი „სედანია“ და მისი გაბარიტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „სონატას“ ან „ეკუსის“ ბაზაზეა შექმნილი. რა თქმა უნდა, როცა მისი წარმოება დაიწყება, კაპოტქვეშ უმეტესად კორეული კომპანიის აგრეგატებსა და მაკომპლექტებლებს ჩაუდგამენ.

ბოლო ხანს ჩინეთში სულ უფრო მეტი უცხოური კომპანია ხსნის ერთობლივ კომპანიას, ადგილობრივ ახალ ბრენდებს კი, უმეტეს შემთხვევებში, იაფფასიანი ავტომობილების წარმოებისთვის იყენებენ. მაგალითად, „ჯენერალ მოტორსის“ ჩინურ ბრენდს „ბაოძუნი“ ეწოდება, „ჰონდასას“ — „ლინიანი“, „ნისანისას“ კი – „ჟიჩუნი“.

# ჰერაკლეონის საიდუმლოს ამოხსნაზე არქეოლოგები დღესაც მუშაობენ

**ნამდვილი „ატლანტიდა“ — ქალაქი ჰერაკლეონი, რომელიც 1200 წლის წინათ დაფარა წყალმა ეგვიპტის სანაპიროსთან, 2001 წელს აღმოაჩინა ფრანგმა წყალქვეშა არქეოლოგმა ფრანკ გოდიომ წყალქვეშა არქეოლოგიის ევროპული ინსტიტუტის ჯგუფთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში, აბუ-კირის ყურეში, ქალაქ ალექსანდრიასთან.**





მანამდე კი ჰერაკლეონი, რომელიც ჰომეროსს თავის ნაწარმოებში აქვს ნახსენები, წლების განმავლობაში ლეგენდა ეგონათ, რადგან დანამდვილებით არ იცოდნენ, რეალურად თუ არსებობდა მსგავსი სიმდიდრის ქალაქი ოდესმე. როგორც ამბობენ, ის ეგვიპტის მთავარი პორტი იყო და ყველა გემი, რომლებიც ბერძნული სამყაროდან მოდიოდა, აქ უნდა შემოსულიყო.

აქ იპოვეს 64-ზე მეტი გემი, უამრავი ოქრო და ვერცხლი, უზარმაზარი და მომცრო ქანდაკებები, გემის აღჭურვილობა და სხვადასხვა ნივთი, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც ბერძნებს, ასევე ეგვიპტელებს.

ჰერაკლეონის საიდუმლოს ამოხსნაზე არქეოლოგები დღესაც მუშაობენ, რაშიც მათ ხელს უწყობს კარგად შენახული არტეფაქტები.

# ულამაზესი ხედები რესტორნიდან, რომელიც კლდეშია აშენებული





**რა არის ზღვის პირას რომანტიკულ ვახშამზე უკეთესი? საამისოდ საუკეთესო ვარიანტია სამხრეთ იტალიაში, კლდეში აშენებული რესტორანი „გროტა პალაცესი“. ეწვიეთ — აქედან ულამაზესი ადრიატიკის ზღვის ხედებით დატკბებით.**





ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ სახლებში ცხოვრობენ მდიდარი ადამიანები

**ჟურნალმა „ფორბსმა" Realtor.com, Trulia.com, Zillow.com-სა და სხვა საიტების დახმარებით გაარკვია, სად ცხოვრობენ ყველაზე მდიდარი ცნობილი ადამიანები. ფოტოგალერეაში წარმოგიდგენთ მათ სახლებს.**



## ჟიზელ ბუნდჩენი

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში 46-ე ადგილი.**
**ფოტოზე: ვილა ლოს-ანჯელესში, კალიფორნია.**
**ღირებულება: 20 მლნ დოლარი.**

ტოპმოდელის ვილა ციხესიმაგრეს ჰგავს. მასში ჟიზელი მეუღლესთან, ტომ ბრედლისთან ერთად ცხოვრობს. სახლის საერთო ფართობი 2050 კვ. მ-ია, რომელზეც განთავსებულია 8 საძინებელი, სატრენაჟორო დარბაზი, ღვინის მარანი, ავტოფარეხი 6 ავტომობილისთვის და ლიფტი. გვერდით მდებარეობს ლაგუნას ფორმის აუზი.



## მაიკ ტაისონი

**ფოტოზე: სახლი ფილმიდან „წვეულება ვეგასში", ლას ვეგასი, შტატი ნევადა. ღირებულება: 1, 5 მლნ დოლარი.**

ამერიკელმა მოკრივემ, ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში, მაიკ ტაისონმა გადაწყვიტა, გაყიდოს ლასვეგასში მდებარე თავისი სახლი. ეს სწორედ ის სახლია, რომელშიც გადაღებული იქნა კადრები ფილმიდან „წვეულება ვეგასში". 49 წლის მოკრივე ამ სახლში 2008 წლიდან ცხოვრობს. ამ სახლის გაყიდვით იგი 1, 5 მლნ. დოლარის აღებას გეგმავს. დადის ხმები, რომ სახლის გაყიდვის მიზეზი გაბანკროტებული მოკრივის მრავალრიცხოვანი ვალებია, თუმცა, ოფიციალურ მიზეზად მეზობლად მდებარე, უფრო დიდ სახლში გადასვლა სახელდება.

ორსართულიან სახლში, რომლის საცხოვრებელი ფართობი 600 კვ.მ-ს შეადგენს, არის ექვსი სააბაზანო, ხუთი საძინებელი, კინოთეატრი, სამი ბუხარი, ღვინის მარანი, აუზი ჯაკუზითა და ჩანჩქერით.

ფორმალურად ტაისონი არ შედის ყველაზე მდიდარი ცნობილების სიაში, მაგრამ მაინც რჩება შოუბიზნესში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად.



## ტეილორ სვიფტი

**ყველაზე მდიდარი ვარსკვლავების რეიტინგში მას მე-8 ადგილი უკავია.**
**ფოტოზე: სახლი უოჩ ჰილში (შტატი როდ-აილენდი) ხედით ატლანტის ოკეანეზე.**
**ღირებულება: 17 მლნ დოლარი.**

მომღერალი და მსახიობი ბოლო პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევს თავის უძრავ ქონებას. უოჩ ჰილში მდებარე ვილა მან 2013 წლის აპრილში შეიძინა. სახლი განთავსებულია 20 000 კვ.მ.-ის ტერიტორიაზე, რომელიც შეიცავს 65 მ-ის სიგანის პლაჟს. კიდევ ერთი ვილა ოკეანის პირას, მასაჩუსეტსის შტატში მომღერალმა 2012 წლის ზაფხულში იყიდა 4, 8 მლნ დოლარად, 7 თვის შემდეგ კი გაყიდა 5, 7 მლნ დოლარად. მსახიობს კალიფორნიაში, ბევერლი-ჰილზზე აქვს კიდევ ერთი სახლი, რომელიც 2012 წეს 4 მილიონად იყიდა.

2014 წელს სვიფტმა შეიძინა ნიუ იორკის ელიტურ რაიონში მდებარე პენტჰაუსი, რომლის ღირებულებაა 20 მლნ დოლარი. აღნიშნული სახლი ადრე რეჟისორ პიტერ ჯექსონს ეკუთვნოდა.



## ჯასტინ ბიბერი

**2014 წელს ბიბერი 30 წელზე ნაკლები წლოვანების მქონე ყველაზე მდიდარი ვარსკვლავების რეიტინგის სათავეში აღმოჩნდა, თუმცა ერთი წლის შემდეგ საერთოდ ამოვარდა „ფორბსის" ამ სარეიტინგო სიიდან.**
**ფოტოზე: ვილა Oaks Mansion ქალაქ კალაბასასში (შტატი კალიფორნია).**
**ღირებულება: 6, 5 მლნ დოლარი.**

მუსიკოსმა ჯასტინ ბიბერმა ლოს-ანჯელესის გარეუბანში მდებარე ეს სახლი 2012 წელს იყიდა. მასში არის 6 საძინებელი, 7 სააბაზანო და რამდენიმე სხვა ოთახი. საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 855 კვ.მ-ს.

18 წლის იუბილეზე, იმავე 2012 წელს, ბიბერმა Hollywood Hills-ზეც შეიძინა სახლი, 10, 8 მლნ დოლარად. შენობის პროექტი, რომელიც მინის, ბეტონისა და რკინისგან არის შექმნილი, არქიტექტურულ ბიუროს – Mills Studio-ს ეკუთვნის. სახლის საცხოვრებელი ფართობი 875 კვ.მ-ია, რომელზეც განთავსებულია ხუთი საძინებელი, ბარი, ტრენაჟორების დარბაზი, ოთახი მასაჟისთვის და კინოთეატრი.



## ჯენიფერ ლოპესი

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში მას მხოლოდ 95-ე ადგილი უკავია. ფოტოზე: სახლი ქალაქ უოტერ მილში, ნიუ იორკი. ღირებულება: 10 მლნ დოლარი.**

ეს სახლი ჯენიფერ ლოპესმა 2013 წლის მაისში შეიძინა. 890 კვ. მ-ის საცხოვრებელი ფართობი 12 000 კვ.მ-ის ტერიტორიაზეა განთავსებული და შეიცავს 8 საძინებელს, 7 სააბაზანოსა და საუნას. სახლის გვერდით არის აუზისათვის განკუთვნილი შენობა. აქვეა ცალკე ავტოფარეხი მომღერლის „პორშესთვის". ლოპესს აქვს კიდევ ორი სახლი ქალაქ გლენ-ჰედში და ერთი – კალიფორნიაში. ამას გარდა, 2014 წლის ოქტომბერში მან მანჰეტენზე პენტჰაუზიც იყიდა.

ხოლო სახლი, რომელშიც ლოპესი ყოფილ მეუღლესთან, მარკ ენტონისთან ერთად ცხოვრობდა ჰაიდენ ჰილსზე, გასაყიდადაა გამოტანილი. ორსართულიანი შენობა 18 მილიონი დოლარი ღირს.



## ლებრონ ჯეიმსი

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში მე-18 ადგილზე მყოფი.**
**ფოტოზე: ვილა ჩოცონოუტ გროვე, მაიამში, შტატი ფლორიდა.**
**ღირებულება: 9 მლნ დოლარი.**

კალათბურთის ვარსკვლავმა ლებრონ ჯეიმსმა ეს სახლი მას შემდეგ შეიძინა, რაც 2010 წელს კლუბ „მაიამი ჰიტის" წევრი გახდა.

ვილა ოკეანის ნაპირზე მდებარეობს, საცხოვრებელი ფართობი 1130 კვ.მ-ს შეადგენს. შენობაში არის 6 საძინებელი, ღვინის მარანი და კინოთეატრი. უკანა ეზოში განთავსებულია უზარმაზარი აუზი და ნავსადგომი ორი იახტისთვის.



## კეტი პერი

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში მე-3 ადგილის მფლობელი.**
**ფოტოზე: ვილა ჰოლივუდის ბულვარზე, ლოს-ანჯელესში, შტატი კალიფორნია.**
**ღირებულება: 6, 5 მლნ დოლარი.**

2013 წელს კეტი პერიმ გასაყიდად გამოიტანა ვილა, რომელიც ექს-მეუღლესთან, რასელ ბრენდომთან ერთად შეიძინა 2011 წელს.

მის მაგივრად მომღერალმა მეზობლად მდებარე რამდენიმე ნაკვეთი იყიდა 11, 2 მლნ. დოლარად. შეძენილ უძრავ ქონებაში შედიოდა ორი აუზი, ორი სახლი და 16 000 კვ.მ. მიწა.



## კრიშტიანუ რონალდუ

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში მე-10 ადგილი.**
**ფოტოზე: ვილა La Finca მადრიდში**
**ღირებულება: 7, 1 მლნ დოლარი**

ვილა განთავსებულია 4000 კვ.მ-ის ტერიტორიაზე. სახლში არის 7 საძინებელი, ორი აუზი და ბაღი. მადრიდში ფეხბურთელს მეორე სახლიც აქვს, რომელიც 2009 წელს შეიძინა. 2015 წელს რონალდუმ ლისაბონის ცენტრში იყიდა ბინა 2 მილიონ ევროდ.

## ლეონარდო დი კაპრიო

**ყველაზე მდიდარი ცნობილების რეიტინგში იგი მხოლოდ 89-ე ადგილზეა.**
**ფოტოზე: ვილა მალიბუში, კალიფორნია.**
**ღირებულება: 18, 9 მლნ დოლარი.**

2012 წელს მსახიობმა ეს სახლი გასაყიდად გამოიტანა 23 მლნ დოლარად (მოგვიანებით კი ფასი ჩამოვიდა 18, 9 მლნ-მდე). ვილა, რომელიც მალიბუს ყველაზე ელიტურ რაიონში მდებარეობს, მსახიობის მეორე სახლია ამ ქალაქში. დი კაპრიოს სხვა უძრავი ქონებაც აქვს აშშ-ს სანაპიროებზე, მათ შორის ვილა ჰოლივუდში. ამას გარდა, ვარსკვლავს აქვს პენტჰაუსი ნიუ იორკში, მანჰეტენზე, ეკოსახლში, სახელწოდებით Riverhouse.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არა მსოფლიოში ყველაზე დიდი თუთიყუშია. ამ ღია ლურჯი ფერის ჩიტის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. თუთიყუშის სახელი დაკავშირებულია მისი ბუმბულის ფერთან. იგი პირველად სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეში იპოვეს.**

# ყველაზე ძვირად ღირებული არსებები

## ისინი მთელი ქონების ფასია!

ზოგი ადამიანისთვის საკმარისი არ არის, შინ ჰყავდეს კატა ან ძაღლი, უნდა კიდევ რაღაც უფრო ეგზოტიკური... მაგრამ რა ღირს ეს ფუფუნება?



### აროვანა (თევზი-დრაკონი) – 5 000 დოლარიდან ზევით

**ეს არის თევზი, რომელსაც, მისი ფასის გამო, ნამდვილად შეგვიძლია ოქროსი ვუწოდოთ. ზოგიერთი მოყვარულის თქმით, ეს თევზი შეიძლება 180-დან 240 სანტიმეტრამდე გაიზარდოს და აკვარიუმში 8 წლამდე იცხოვროს.**

ოსტეოგლოსიდების ოჯახის ეს წევრი უკვე არსებობდა იურულ პერიოდში. დღეს ბინადრობენ ამაზონში, აფრიკის ზოგიერთ ნაწილში, აზიასა და ავსტრალიაში. მათ ზოგჯერ ყიდულობენ და უვლიან, როგორც ეგზოტიკურ თევზებს. აროვანა გაუმაძღარი მტაცებელია და იკვებება ყველაფრით, მათ შორის, ჩიტებითა და ღამურებით, რის დაჭერასაც მოახერხებს (აროვანას შეუძლია წყლის ზედაპირიდან 2 მეტრზე მაღლა ახტეს). გარეგნობის გამო ჩინეთში მათ „დრაკონ-თევზებს“ ეძახიან, ასევე მიიჩნევენ, რომ აროვანებს წარმატება მოაქვთ.



### იაგუნდისფერი არა – 6 500-დან 12 000 დოლარამდე

**არა მსოფლიოში ყველაზე დიდი თუთიყუშია. ამ ღია ლურჯი ფერის ჩიტის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. თუთიყუშის სახელი დაკავშირებულია მისი ბუმბულის ფერთან.** ის პირველად სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეში იპოვეს, მისმა გამოჩენამ აშშ-ის ბაზარზე ნამდვილი აურზაური გამოიწვია — ლამის ყოველ მეორე ადამიანს უნდოდა, ჰყოლოდა სახლში ასეთი ფრინველი. ამიტომ არას ფასმაც საგრძნობლად მოიმატა. ოღონდ როდესაც ასეთ ფრინველს ყიდულობ, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მას თავისუფლად შეუძლია ნისკარტით ქოქოსის კაკლის გატეხვა. ასე რომ, სიფრთხილეა საჭირო. გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში — მექსიკიდან პარაგვაიმდე. ბინადრობს ტყეში, ხის ფუღუროში, დებს 2 კვერცხს, იკვებება მცენარეების ნაყოფითა და თესლით.



### ალბინოსი პითონი – 15 000 დოლარი და მეტი

**პითონები გველების ქვეოჯახია მახრჩობელასებრთა ოჯახისა (ან დამოუკიდებელი ოჯახი). გავრცელებულია აღმოსავლეთ და, ნაწილობრივ, დასავლეთ (ცენტრალური ამერიკა) ნახევარსფეროებში. ამჟამად ქვეოჯახში შედის 8 გვარი, 35 სახეობით.**

ბინადრობენ უმთავრესად ლერწმიანებში, ლელიანებში, ქვებს შორის. კარგად ცურავენ, შეუძლიათ ხეზე ასრიალება. იკვებებიან ძირითადად ხერხემლიანებით, რომლებსაც სხეულით გუდავენ. პითონები კვერცხის მდებლები არიან. დედალი დებს 100-ზე მეტ კვერცხს.

ზრდასრული ალბინოსი პითონის სიგრძემ შეიძლება 2 მეტრს მიაღწიოს. მისი შენახვა განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს.



### ბენგალიური შინაური კატა – ფასი 800-დან 3000 დოლარამდე

**ჰიბრიდული კატების ჯგუფიდან ეს ყველაზე ცნობილი ჯიშია, რომელმაც საოცარი და სრულიად გამორჩეული გარეგნობის გამო ბოლო ხანს დიდი პოპულარობა მოიხვეჭა.**

ბენგალიური კატები ათლეტური აღნაგობისა და მეგობრული ბუნებისანი არიან. მათი ატლასივით სრიალა ბეწვი ულამაზესი ნახატით გამოირჩევა, მოსწონთ ბანაობა.

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა, სად და როგორ წარმოიშვა მისი უსაყვარლესი შინაური ცხოველი, როგორ გახდა ეს ფუმფულა ფისო ასეთი თვინიერი და მოსიყვარულე. ათეული წლების წინათ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა, გენეტიკოსმა **ჯინ საგდენმა** კატის ლეიკემიის ვირუსის შესწავლის მიზნით ბენგალიური კატა შინაურ კატასთან შეაჯვარა, მაგრამ გარემოებებმა ხელი შეუშალა მისთვის საინტერესო კვლევის გაგრძელებაში. შემდეგ ჯინ საგდენმა (ქორწინების შემდეგ მილი) სელექციური პროგრამა დაიწყო, რომლის დროსაც ამ ჰიბრიდებს შინაურ კატებთან, მათ შორის, უჯიშო მოკლებეწვიანებთან აჯვარებდა. შედეგად კი თაობიდან თაობამდე სულ უფრო თვინიერ, მეგობრულ და გარეგნულად ულამაზეს კატებს იღებდა.

1991 წელს ბენგალიური კატა პირველად დაუშვეს კატების ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.





### იაპონური თოვლის მაკაკა – 3 500 დოლარი

**მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰიბრიდები წითელ წიგნში არიან შეყვანილი, მათი, როგორც შინაური ცხოველის, ლეგალურად შეძენა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუმცა ამისთვის სპეციალური ნებართვაა საჭირო.**

იაპონურ მაკაკებს „თოვლის მაიმუნებსაც“ უწოდებენ. ისინი ჩრდილოეთ ჰონსიუს მთებში ბინადრობენ. ეს ადგილები წლის უმეტეს დროს თოვლით არის დაფარული. იაპონური მაკაკები ჯგუფურად გროვდებიან ვულკანურ ნაკადულებთან და თბებიან. ისინი თავს მშვენივრად გრძნობენ 5 გრადუს ყინვაში.

მამალი მაკაკას სიმაღლე 80-95 სმ-ია, წონა — 12-14 კგ; დედალი კი შედარებით დაბალია და 1,5-ჯერ ნაკლებს იწონის. ამ მაიმუნებს აქვთ წითელი კანი და სქელი, მუქი ნაცრისფერი ბეწვი, რომლითაც დაფარული აქვთ მთელი სხეული სახისა და ხელების გარდა. იაპონურ მაკაკებს მოკლე კუდი აქვთ, მაქსიმუმ 10 სმ; ცხოვრობენ 20-30 წელს. მათი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ჩრდილოეთი იაპონიაა.

**სურათზე:** იაპონური მაკაკები ქალაქ ამაგუჩის მაიმუნთა პარკის ცხელ წყლებში ნებივრობენ.





### ჩინური ქოჩორა ძაღლი – 4 000 დოლარი

**მართალია, ბოლო პერიოდში ამ ჯიშის ძაღლის ფასი დაეცა, მაგრამ მისი შეძენა იაფი მაინც არ დაგიჯდებათ.**

ეს პატარა არსება მხოლოდ მაშინ უნდა აირჩიოთ, თუ მზად ხართ, პატრონის მიმართ მისი უდიდესი სიყვარული დააფასოთ. უცნობია, როგორ ან სად წარმოიშვა ეს ჯიში. იგი ჯერ კიდევ უძველეს ჩინეთში ცხოვრობდა. ამ უჩვეულო ძაღლის ორი სახეობა არსებობს: ერთი — ე. წ. უბალნო, რომელსაც მხოლოდ თავზე, თათებსა და კუდზე აქვს ბეწვი; მეორე – ბალნიანი, რომელსაც გრძელი, რბილი ბეწვი აქვს. ამ ძაღლებს არ ესაჭიროებათ განსაკუთრებული კვება, არასოდეს მისცეთ ძვალი, რადგან აკლიათ ზოგი კბილი და შეიძლება დაიხრჩონ. მოარიდეთ ზედმეტ საკვებსაც, რათა არ გასუქდნენ.

მისი გრძელი ორმაგი ბეწვის ყოველდღიური ვარცხნა აუცილებელია.

ორივე სახეობა შეიძლება იყოს ერთფერი — ლაქებიანი ან დაწინწკლული; კუდი წვრილი, წაწვეტებული და აპრეხილი; ნუშისებრი ფორმის თვალები მუქ ძაღლებს მუქი ფერის აქვთ, ღია ფერის ძაღლებს — ღია.

ტანი — გამხდარი, ოდნავ მოხრილი კისრითა და დაკუნთული გულმკერდით.

ამ ძაღლებს მოსწონთ სწრაფი სიარული და თამაში. ჩინური ქოჩორა ძაღლები ძალიან ეჩვევიან თავიანთ პატრონებს და მათთან ყოფნა მუდმივად უნდათ. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 13-15 წელია.



**ტიბეტური მასტიფი ბავშვებისთვის შესანიშნავი ძაღლია, ის სრულად ემორჩილება პატარა პატრონს, სეირნობისას არასოდეს გარბის მასზე წინ და პრაქტიკულად ყველაფრის უფლებას აძლევს. ამიტომ მშობლებმა უფრო შვილებს უნდა მიაქციონ ყურადღება, ვიდრე ძაღლს. ტიბეტური მასტიფი ყოველთვის თავგანწირვით იცავს ოჯახის პატარა წევრებს.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბენგალიური ვეფხვი ალბინოსი — 138 ათასი დოლარი

**ჩვეულებრივი კატა არ გაკმაყოფილებთ? მაშინ ინებეთ ბენგალიური ვეფხვი, თანაც — ალბინოსი.**

ეს ჯიში იშვიათია, ამას დამატებული ალბინოსობა და ფასიც რამდენიმე ათასით იზრდება.

ზოგჯერ თეთრი ვეფხვების შეჯვარებისას სავსებით თეთრი (ზოლების გარეშე) ბოკვერები იბადებიან.



## სავანის კატა — 22 000 დოლარი

**სავანის კატები, ძირითადად, აფრიკის კონტინენტზე ბინადრობენ, კერძოდ, სავანის ტერიტორიებზე. თვისებებით ძალიან ჰგვანან სერვალურ კატებს.**

პირველად 1980-იან წლებში კატის მომვლელმა **ჯუდი ფრენკმა** შეაჯვარა სერვალისა და სიამის კატები. ამ შეჯვარებიდან დაიბადა სავანის კატა. სავანის კატების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და მათ, როგორც ყველაზე ახალგაზრდა თაობას, გადაშენება ემუქრებათ.



## თეთრი ლომის ბელი — 140 000 დოლარი

**ეს ლომის გენეტიკური მუტაციის შედეგად შეცვლილი სახეობაა; ველურ ბუნებაში მხოლოდ 30-მდე იქნება. ძირითადად, ბინადრობენ ეროვნულ პარკებში, სადაც ცხოველთა მომვლელების მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობენ.**

ამ ცხოველების სანახავად ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრობენ კრუგერის ეროვნულ პარკს, რომელიც მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე. თეთრ ლომებს ველურ ბუნებაში ბინადრობა არ შეუძლიათ. განსაკუთრებული გარეგნობიდან გამომდინარე, მონადირეების ყურადღებას მალევე იპყრობენ. პირველად თეთრი ლომი 1928 წელს შეამჩნიეს, მეცნიერების აზრით, ისინი არ არიან ალბინოსები.



## ტიბეტური მასტიფი იანძი — 585 ათასი დოლარი

**თუ დიდი ძაღლების მოყვარული ხართ და არჩევანს ტიბეტურ მასტიფზე შეაჩერებთ, გაითვალისწინეთ მისი ხასიათის თავისებურება.** ამ ძაღლების წინაპრები მწყემსები და მონადირეები იყვნენ, ამიტომ ისინი ქალაქგარეთ, ეზოიან სახლში უკეთ გრძნობენ თავს. ამ ძაღლს ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვა და ხანგრძლივი სეირნობა სჭირდება. მოვლა ძალიან მარტივია. საკმაოდ მოკრძალებული მადის პატრონია და არასოდეს ჭამს იმაზე მეტს, ვიდრე სჭირდება.

ტიბეტური მასტიფის ბეწვის მოვლაც არ არის რთული. მას თივთიკი წელიწადში ერთხელ სცვივა. ზოგჯერ რთულია წარმოიდგინო, როგორ შეიძლება ძაღლს ამდენი ბეწვი დასცვივდეს და არ გაშიშვლდეს. ამ ძაღლებს არ აქვთ სპეციფიკური სუნი, ამიტომ ხშირი ბანაობა არ სჭირდებათ.

თუ ძაღლის ბეწვზე ალერგია გაწუხებთ, ტიბეტური მასტიფი თქვენთვის კარგი გამოსავალია — მისი ბეწვი ჰიპოალერგიულია.

ლეკვის სწორი, თანმიმდევრული და სიყვარულით აღზრდის შემთხვევაში ერთგული მეგობარი და შესანიშნავი მცველი გეყოლებათ.

ტიბეტური მასტიფები დასაბამს ძაღლების ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენლის, აწ უკვე გადაშენებული ტიბეტური შავი მგლისგან იღებენ. გარდა შავი შეფერილობისა, წინაპრებისგან ამ ძაღლებმა მძლავრი სხეული, ფუმფულა კუდი, სქელი ბალანი, შესანიშნავი ყნოსვა და საშინელი სიავე მიიღეს. ზუსტად ეს ბოლო თვისება აძლევდათ საშუალებას მათ, შერკინებოდნენ ლომებს ფინიკიელებთან ერთად ნადირობისას და გაემარჯვათ გლადიატორებზე რომის კოლიზეუმში.



ტიბეტური მასტიფი ძლიერი და მძიმე ძაღლია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 16 წელია. მის შეფერილობაში მაგიური აზრია ჩადებული: მკერდზე თეთრი ლაქა მამაცი გულის ნიშანია, ღია ფერის ლაქები თვალების ზემოთ — ეს კიდევ ერთი წყვილი თვალია, რომელიც ძაღლს საშუალებას აძლევს, ადამიანის სულში ჩაიხედოს. ამ ლაქების გამო გვეჩვენება, რომ მას არასოდეს ძინავს.

ტიბეტური მასტიფი ადამიანზე ორიენტირებული ძაღლია. იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე დაიცავს თავის პატრონსა და სახლს უცხოებისგან. ის სწორედ ამ მიზნით გამოიყვანეს ათასი წლის წინათ.

ღამით თავის სამფლობელოში მარტო დარჩენილი სერიოზული დარაჯია. გამუდმებით ამოწმებს თავის ტერიტორიას. ირჩევს ყველაზე მაღალ წერტილს, საიდანაც შეეძლება ეზოს უთვალთვალოს. გაღიზიანებული ტიბეტური მასტიფი საშინელი სანახავია — ფაფარი ყალყზე უდგება, რაც 2-ჯერ ზრდის მის ზომას, კბილებს კრეჭს, ხოლო თვალები ველური წითელი შუქით ენთება. ის არის მრისხანე მეტოქე, რომელთან შებრძოლებას ბევრი ვერ ბედავს.

ტიბეტურ მასტიფს ლეკვობიდანვე უნდა გამოუმუშავდეს მორჩილება თამაშ-თამაშში. ლეკვს განსაკუთრებული აღზრდა სჭირდება. პატრონმა მოთმინება უნდა შეუხამოს სიმტკიცეს, დაჟინებულობა კი სიყვარულს.

ტიბეტური მასტიფის მოყვარულები ამბობენ, რომ ამ ძაღლს ძალიან აქვს განვითარებული ინტუიცია. ყოველთვის შეუმცდარად გრძნობს პატრონის განწყობის ცვლილებას.

**ტიბეტური მასტიფი ბავშვებისთვის შესანიშნავი ძაღლია, სრულად ემორჩილება პატარა პატრონს, სეირნობისას არასოდეს გარბის მასზე წინ და პრაქტიკულად ყველაფრის უფლებას აძლევს. ამიტომ მშობლებმა უფრო შვილებს უნდა მიაქციონ ყურადღება, ვიდრე ძაღლს. ტიბეტური მასტიფი ყოველთვის თავგანწირვით იცავს ოჯახის პატარა წევრებს.**

ოთხფეხა მეგობარი ყურადღებით აკვირდება ბავშვების თამაშს და შეუძლია გადაწყვიტოს, შეიცავს თუ არა საფრთხეს მათი ესა თუ ის ქმედება.



## შავი პალმის კაკადუ — 16 ათასი დოლარიდან ზევით

**ძალიან ჰგვანან თუთიყუშებს. არიან კაკადუსებრთა ოჯახიდან და ბინადრობენ ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ახალ გვიანეასა და არუს არქიპელაგზე.** პალმის კაკადუ საუკეთესოა კაკადუსებრთა ოჯახში. ყველაზე ხშირად ეს ჩიტი შეიძლება ზოოპარკებში შეგვხვდეს, საშინაო პირობებში მისი მოვლა საკმაოდ რთულია. მას მარტივად შეუძლია „ჩაკბიჩოს" 4-5 მმ სისქის რკინის გისოსები. ცხოვრობენ დამოუკიდებლად, იზრდებიან 65-75 სანტიმენტრამდე. იკვებებიან: ვაშლით, ფორთოხლით, ბროწეულით, კარტოფილით, ჭარხლით, კომბოსტოთი და თხილით.





## შიმპანზე — 60-65 ათასი დოლარი

**შიმპანზეები თავიანთი საუკეთესო თვისებებით ადამიანს ემსგავსებიან — საკმაოდ ჭკვიანი და ერთგული არიან. მაგრამ მათგან მოსალოდნელია თავდასხმაც, რადგან აგერესიულ ცხოველთა ოჯახს მიეკუთვნებიან.**

ისინი ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში ბინადრობენ. მიუხედავად იმისა, რომ შიმპანზეები გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს შორის ითვლებიან, ოჯახში მათი მიყვანა არ ღირს, რადგან შესაძლოა, ნებისმიერ დროს მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1884 წლის 12 ივლისს ლივორნოში (იტალია) დაიბადა ებრაული წარმოშობის იტალიელი მხატვარი და სკულპტორი, ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი ამედეო (იედიდია) მოდილიანი (ამედეო კლემენტე მოდილიანი).**

მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტილოები: „კვიპაროსები და სახლი“, „გოგონა ცისფერში“, „ხმელთაშუაზღვისპირული პეიზაჟი“, „შიშველი ბალიშზე“, „მწოლიარე შიშველი“, „ვიოლონჩელისტი“, „ყვითელი სვიტერი“, „ნეფე-პატარძალი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1920 წლის 24 იანვარს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1921 წლის 10 ივლისს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ობჩაში დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი რევაზ ლაღიძე.**

რევაზ ლაღიძე სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების ავტორია. მას ეკუთვნის ოპერა „ლელა“. მუსიკალური კომედიები „მეგობრები“ და „კომბლე“, სიმფონიური პოემა „სამშობლოსთვის“, სიმფონიური სურათი „საჭიდაო“, რამდენიმე საგუნდო სიმღერა, კანტატა, საფორტეპიანო და ჩელოს პიესები. მუსიკა სპექტაკლებისა (40-ზე მეტი) და კინოფილმებისთვის: „საბუდარელი ჭაბუკი“; „ნინო“; „ზვიგენის კბილი“; „ხევისბერი გოჩა“; „ხევსურული ბალადა“; „რაც გინახავს, ველარ ნახავ“; „წუთისოფელი“; „კეთილი ადამიანები“ და სხვ. სულ 30-ზე მეტი.

განსაკუთრებით პოპულარულია რევაზ ლაღიძის სიმღერა „სიმღერა თბილისზე“ („თბილისო“), აგრეთვე, „აყვავილდა ნუში“, „ტყე შეუნახეთ შვილებსა“, „ჩემო კარგო ქვეყანა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1981 წლის 16 ოქტომბერს.

*** 1907 წლის 6 ივლისს მეხიკოში დაიბადა გამოჩენილი მექსიკელი მხატვარი ქალი ფრიდა კალო დე რივერა (მაგდალენა კარმენ ფრიდა კალო კალდერონი).**



მექსიკურმა კულტურამ და კოლუმბამდელი ამერიკის ხელოვნებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფრიდა კალოს შემოქმედებაზე. მის სტილს ახასიათებენ, როგორც ნაივურ ხელოვნებას ან ფოლკ-არტს. სიურრეალიზმის ფუძემდებელი ანრი ბრეტონი კი ფრიდა კალოს სიურრეალისტებს მიაკუთვნებდა. ფრიდა კალო ბავშვობიდან იტანჯებოდა პოლიომიელიტით, მოყვა ავტოავარიაში და რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა, სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა. ფრიდა კალოს შემოქმედებაზე გავლენა იქონია მისმა ქმარმა, მხატვარმა დიეგო რივერამ.

ფრიდა კალოს ცნობილი ტილოებია: „ავტოპორტრეტი. თავისუფალი თმა“. „მოსე (ქმნილების ბირთვი), „პატარა ფურირემი“, „მიწის ნაყოფი“, „ორი ფრიდა“, „ფესვები“, „რა მომცა წყალმა“, „მე დიეგო და კოატლი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1954 წლის 13 ივლისს.

*** 1901 წლის 7 ივლისს ქალაქ სორაში (იტალია) დაიბადა გამოჩენილი იტალიელი რეჟისორი და მსახიობი იტალიური ნეორეალიზმის თვალსაჩინო ფიგურა, აშშ-ის კინოაკადემიის 4 „ოსკარის“, აგრეთვე, კანისა და ბერლინის კინოფესტივალების მთავარი ჯილდოების მფლობელი ვიტორიო დე სიკა (ვიტორიო დომენიკო სტანისლაო გაეტანო სორანო დე სიკა).**



როგორც მსახიობი, მონაწილეობდა ფილმებში: „პური, სიყვარული და ფანტაზია“, „პური, სიყვარული და...“ „ანგელოზი წითელში“, „სისხლი დრაკულასთვის“ და სხვ.

განსაკუთრებით პოპულარულია მისი რეჟისორული ნამუშევრები: „ალისფერი ვარდები“, „ცის კარიბჭე“, „შუშა“, „ველოსიპედის გამტაცებლები“, „ჩოჩარა“, „ბოკაჩო-70“, „ბუმი“, „მზესუმზირები“, „ფინცი-კონტინის ბაღი“, „საოცრება მილანში“, „გუშინ, დღეს, ხვალ“, „ქორწინება იტალიურად“ და სხვ.

გარდაიცვალა 1974 წლის 13 ნოემბერს.



*** 135 წლის წინათ, 1881 წლის 7 ივლისს რომში პირველად დაიბეჭდა კარლო კოლოდის ზღაპარი „პინოკიო“.** იტალიის პატარა ქალაქ კოლოდიში, რომლის პატივსაცემადაც აირჩია ფსევდონიმი მწერალმა კარლო ლორენცინიმ, დგას ლიტერატურული გმირის — ხის ბიჭუნა პინოკიოს ძეგლი, რომელზეც ამოტვიფრულია სიტყვები: „უკვდავ პინოკიოს — 4-დან 70 წლამდე მადლიერი მკითხველებისგან.

გრძელცხვირა, კეთილი, მიამიტი, გონებამახვილი, ეგოისტი და დიდსულოვანი ხის ბიჭუნა პინოკიოს შესახებ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იციან.

კოლოდის ეს ზღაპარი მსოფლიოს 87 ენაზეა ნათარგმნი.

*** 1415 წლის 6 ივლისს კონსტანცში (გერმანია) ერესში ბრალდებით კოცონზე დაწვეს მოაზროვნე, ჩეხეთის რეფორმაციის იდეოლოგი, პრაღის უნივერსიტეტის რექტორი იან ჰუსი (1369-1415).**





*** 1765 წლის 10 ივლისს თბილისში (სხვა მონაცემით — ყიზლარში (დაღესტანი) დაიბადა რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, ეგერების პოლკის ლეიბ-გვარდიის შეფი, 1812 წლის ომის პერიოდში დასავლეთის მე-2 არმიის სარდალი, საფრანგეთისა და რუსეთის ომის გმირი, ქართული სამეფო გვარის წარმომადგენელი პეტრე ბაგრატიონი.**

1787-1791 წლებში თავი გამოიჩინა რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1793-1794 წლებში — პოლონეთის სამხედრო კამპანიაში. 1799 წელს მონაწილეობდა სუვოროვის ლაშქრობაში იტალიასა და შვეიცარიაში. 1805-1807 წლებში საფრანგეთთან ომის პერიოდში ავსტრიის სოფელ შიონგრაენთან 6-ათასიანი სამხედრო ქვედანაყოფით შეაჩერა ფრანგების 30-ათასიანი არმია. მან თავი გამოიჩინა, აგრეთვე აუსტერლიცთან, პროისიშ-აილაუსა და ფრიდლანდთან (პრუსია) ბრძოლებში.

1812 წელს სოფელ ბოროდინოსთან ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიჭრა და 17 დღის შემდეგ, 24 სექტემბერს, გარდაიცვალა.



*** 1877 წლის 9 ივლისს ლონდონის გარეუბან უიმბლდონში ბალახის კორტზე გაიმართა პირველი საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც დღეს ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო 4 ტურნირს შორის ერთ-ერთია.**

1877 წლის ივლისის დასაწყისში ინგლისურ გაზეთ The Field-ში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „კროკეტისა და ლაუნჩოგბურთის სრულიად ინგლისური კლუბი „უიმბლდონი“ მსურველებს სთავაზობს, მოსინჯონ ძალები საჩოგბურთო შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება ორშაბათს, 9 ივლისს. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ორი პრიზით: ჩემპიონს გადაეცემა ოქროს პრიზი, ფინალისტს კი — ვერცხლის!“

მთავარი პრიზის მოსაპოვებლად იბრძოდა 22 მოთამაშე, რომლებმაც ტურნირში მონაწილეობისთვის 1 გინეა (ინგლისური ფულის ერთეული) დადეს. მთავარი პრიზი, რომელიც 35 გინეად იყო შეფასებული, მოიპოვა **სპენსერ გორმა** — უიმბლდონის პირველმა ჩემპიონმა. მას შემდეგ უიმბლდონის ტურნირი ყოველწლიურად იმართება და მასში მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები მონაწილეობენ.

აღსანიშნავია, რომ წელს ტურნირის საპრიზო ფონდმა 13,1 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.



*** 1917 წლის 12 ივლისს I მსოფლიო ომში პირველად გამოიყენეს მომწამვლელი აირი იპრიტი.**

1917 წლის 12 ივლისის ღამეს ბელგიის ქალაქ იპრთან, ინგლისელებისა და ფრანგების სამხედრო შენაერთების შეტევის შეჩერების მიზნით, გერმანელებმა გამოიყენეს ქიმიური იარაღი — მომწამვლელი აირი, რომელსაც ბრძოლის ადგილის მიხედვით იპრიტი დაარქვეს. აირის გამოყენების შედეგად სხვადასხვა დაზიანება მიიღო 2490-მა კაცმა, მათ შორის 87 დაიღუპა. იპრიტი აზიანებს თვალებსა და სუნთქვის ორგანოებს, აგრეთვე, კუჭ-ნაწლავთა სისტემას და კანს.

1993 წელს მიღებული და 1997 წელს 65 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული კონვენციის მიხედვით ამ ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია.



*** 1621 წლის 8 ივლისს შატო-ტიერიში (საფრანგეთი) დაიბადა სახელგანთქმული ფრანგი მეიგავე ჟან დე ლაფონტენი.**

მისი ცნობილი იგავებია: „მგელი და კრავი“, „ყვავი და მელა“, „მუხა და ლერწამი“; „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“; „ლომი და თაგვი“; „მელია და ყურძენი“; „ძუნწი და ქათამი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1695 წლის 13 აპრილს.

**აქტიური მოქმედების პერიოდია, მაგრამ რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოთ ის, რაც თქვენთვის ყველაზე ღირებულია. სასიკეთო პერიოდია კირჩხიბისა და თევზების ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**6 - 12 ივლისი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

რთული პრობლემების მოსაგვარებლად კოლეგების ან ახლობლების დახმარება დაგჭირდებათ და ამ დახმარებას აუცილებლად მიიღებთ.

თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას — არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

ვერძები, რომლებიც სიყვარულს არიან მოწყურებული, შეხვდებიან საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელიც შეიძლება მათი ცხოვრების მეგზური გახდეს.

დიდია ალბათობა, შეგექმნათ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემა. დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 7 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 11 ივლისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

სასიკეთო პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად. გაგიჩნდებათ იდეა, რომელიც გავლენიან ადამიანს დააინტერესებს და, არ არის გამორიცხული, ამ იდეის განხორციელებაში დაგეხმაროთ. აქტიური და შეუპოვარი მოქმედებები შესანიშნავ შედეგს გამოიღებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მხოლოდ დადებითი მომენტები გელით. თუმცა, მისი პრობლემების მოგვარებაც მოგიწევთ.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და ცხიმიანი კერძები.

**დადებითი დღე: 7 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

მოგიწევთ რთულ სიტუაციაში გარკვევა. გადაწყვეტილების მიღებისას გაბედულება, შეუპოვრობა, ეშმაკობა და შემოქმედებითი უნარი გამოიყენეთ. შესაძლოა მოგიწიოთ ისეთი საკითხების გარკვევა, რომლებიც დაკავშირებულია დოკუმენტებთან, საგადასახადო ან სასამართლო სისტემასთან.

შეიძლება ისე ღრმად ჩაეფლოთ საქმეებში, რომ უყურადღებოდ დაგრჩეთ საყვარელი ადამიანები. საყვედურები თავიდან რომ აიცილოთ, გამოსასვლელ დღეებში ოჯახური საღამო მოაწყვეთ.

ამჟამად თქვენი ჯანმრთელობას ერთადერთი მტერი ემუქრება — გადაღლილობა. შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ და მაღალკალორიული პროდუქტებით იკვებოთ.

**დადებითი დღე: 8 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

ამჟამად თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი ძალიან მაღალია. მოგეცემათ თავისუფლად მოქმედების საშუალება და სამუშაოს თქვენი გემოვნების მიხედვით შეასრულებთ, ოღონდ აუჩქარებლად, თანამიმდევრულად უნდა იმოქმედოთ.

კოლეგებსა და ახლობლებთან იყავით კორექტული, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებთ.

მარტოხელა კირჩხიბები, ბოლოს და ბოლოს, შეძლებენ საერთო ენის გამონახვას საწინააღმდეგო სქესის იმ წარმომადგენელთან, ვის მიმართაც კარგა ხანია, სიმპათია გაუჩნდათ.

დიდია ალბათობა, რომ შეგექმნათ საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემა. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და ცხიმიანი საკვები, აგრეთვე, გაზიანი და ალკოჰოლური სასმელი.

**დადებითი დღე: 8 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

წარმატებას მიაღწევთ პროფესიულ საქმიანობაში. პრობლემებს, რომლებიც გაწუხებდათ, მოაგვარებთ და თავისუფლად ამოისუნთქავთ.

შესაძლოა მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალზე.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ბზარი შეეპარა, პრობლემა პირველ რიგში, საკუთარ თავში ეძებეთ, შემდეგ კი უთანხმოების მიზეზები ერთობლივად გააანალიზეთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. გახსოვდეთ: ყველა დაავადების საფუძველი ნერვიულობაა! შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 8 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

თუ მეტისმეტ მოთხოვნებს წაუყენებთ თანამშრომლებსა და ახლობლებს, თანაც — არარეალურს, მწვავე კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ. ნურც თქვენი მოვალეობებს გადააბარებთ სხვას, რადგან ესეც შეიძლება იყოს უთანხმოების მიზეზი.

შესაძლოა მოგიწიოთ დიდი ხარჯის გაღებამ, მაგრამ, შემოსავლის დამატებით წყაროების წყალობით, თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება.

ეს პერიოდი სიმტკიცეზე გამოცდა იქნება ქალწულებისთვის — საყვარელ ადამიანთან უთანხმოება შეიძლება განშორებით დასრულდეს, თუ ემოციებს არ მოთოკავთ და ყველაფერში მას დაადანაშაულებთ.

სიცხემ შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს თქვენს ჯანმრთელობაზე. ამიტომ მოერიდეთ მზის მწველ სხივებს. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 6 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

თქვენს ცხოვრებაში ცვლილებების პერიოდი იწყება. თუ გსურთ, ახალი, უფრო კარგი პოზიციები დაიკავოთ, ძველს არ უნდა ჩაებღაუჭოთ.

შესაძლოა პრობლემები შეგექმნათ სამსახურში, რადგან დამატებითი სამუშაო გამოგიჩნდებათ და, არ არის გამორიცხული, რამდენიმე საქმეს თავი ვერ გაართვათ. დახმარება კოლეგებს სთხოვეთ.

თუ პროფესიულ სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გამო გაღიზიანდებით და ეს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაზეც აისახება, უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 10 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 8 ივლისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით — ძალ-ღონესა და დროს ტყუილუბრალოდ დახარჯავთ და შესაძლოა, რეპუტაციაც შეგელახოთ. თუ საჭირო ადამიანებთან მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდება, საკითხების განხილვა რამდენიმე კვირით გადადეთ.

მარტოხელა მორიელებისთვის კარგი პერიოდია რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად. ვინც ეძებს, ყოველთვის პოულობს! მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ორგანიზმს ფიზიკური დატვირთვითა და წყლის პროცედურებით გაიკაჟებთ.

**დადებითი დღე: 10 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

მოგიწევთ ბევრი მუშაობა და, თუ ყველა საქმეს თავს გაართმევთ, ხელმძღვანელობისგან შექებას დაიმსახურებთ ან — ფულად პრემიას. რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს დაეკითხეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ მშობლების მიმართ, არც ახლო ნათესავები დაივიწყოთ.

შეეცადეთ, ნაკლები ინერვიულოთ სამსახურებრივ საქმეებზე და, საერთოდ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს, რადგან ეს ნეგატიურად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და ფიზიკურად დაიტვირთეთ.

**დადებითი დღე: 9 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

სამსახურში შესაძლოა ბევრი დაბრკოლება შეგექმნათ სამუშაოს შესრულებისას, მაგრამ ძლიერი ნებისყოფისა და მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ყველა პრობლემას მოაგვარებთ.

თქვენს საქციელზე იქნება დამოკიდებული,როგორ განვითარდება ურთიერთობები საყვარელ ადამიანებთან. უყურადღებობამ ან გულგრილმა დამოკიდებულებამ შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს, მაგრამ, თუ სითბოს გამოამჟღავნებთ, ანალოგიურად გიპასუხებენ.

აჩქარებულმა და მოუთმენელმა მოქმედებებმა შეიძლება ტრამვამდე მიგიყვანოთ. განსაკუთრებით დიდია ფეხების დაზიანების ალბათობა.

**დადებითი დღე: 7 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

სამსახურში შეიძლება პრობლემა შეგექმნათ ხელმძღვანელობასთან, მიზეზი — საქმე, რომელსაც უგულისყუროდ მოეკიდებით. ნუ გაცხარდებით და ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. შეეცადეთ, დავალებები პუნქტუალურად შეასრულოთ.

თქვენი დაუდევარმა საქციელმა შესაძლოა საყვარელი ადამიანი გაანაწყენოს. თუ არ დაუთმობთ და კომპრომისის გზით არ მოაგვარებთ კონფლიქტს, დაითრგუნებით.

მერწყულები, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, მეტად უნდა დაიტვირთონ ფიზიკურად. კარგი იქნება, თუ შეასრულებთ სავარჯიშოებს ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღე: 10 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 6 ივლისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თევზების უმრავლესობისთვის წარმატებული პერიოდი იქნება. შეძლებენ თავიანთი პროფესიონალიზმის დემონსტრირებას.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობასა და აზარტულ თამაშებს. დიდია მოტყუების ალბათობა.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ, მაგრამ ურთიერთობა უწყინარი ფლირტის იქით არ წავა.

ბევრმა მუშაობამ გადაღალა და, აქედან გამომდინარე, ყველაფრისადმი აპათია შეიძლება გამოიწვიოს. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ სამუშაოსა და დასვენებას შორის.

**დადებითი დღე: 10 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი კრისტინ მუტონენი გახდა

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ასარჩევად კენჭისყრის მეორე ტურის ჩატარება შეიქნა საჭირო, ვინაიდან ხმათა სათანადო უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა.**

არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე ავსტრიის წარმომადგენელ **კრისტინ მუტონენს** 86-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი, **გიგი წერეთელს** კი — 73-მა.

ახალი პრეზიდენტი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას 1 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სესია, რომელიც 1-5 ივლისს საქართველოში მიმდინარეობდა, თბილისის დეკლარაციის მიღებითა და ასამბლეის ხელმძღვანელი პირების არჩევით დასრულდა.

გიგი წერეთელი რჩება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად მომავალი 2 წლის განმავლობაში.



ვახტანგ გომელაური:

# გამოძიება თუ დაიწყება, გაირკვევა, ჩატაევი აგენტი იყო თუ არა

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის — ვახტანგ გომელაურის განცხადებით, თუ ახმედ ჩატაევის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება, გაირკვევა, იყო თუ არა ის აგენტი.**

როგორც გომელაურმა განაცხადა, ჩატაევი ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდა, ევროპაში წავიდა და მისი გვარი რამდენიმე წელი არავის უხსენებია.

„გამოძიება თუ დაიწყება, შეიძლება დახურულად წარიმართოს და იქ გაიხსნება თემები, ჩატაევი აგენტი იყო თუ არ იყო, თანამშრომლობდა თუ არ თანამშრომლობდა. ფაქტია, ეს ადამიანი ჩამოვიდა, ფაქტია, ამ ადამიანს იმწამსვე შეეცვალა ბრალი, იქნა გამოშვებული, ცხოვრობდა თბილისში, შემდეგ წავიდა ევროპაში. უფრო სწორად, ლაფანყურის შემდეგ დააკავეს, აღიარა, რომ არანაირი ხელყუმბარები არ ჰქონია, სასამართლომ გაათავისუფლა და ეს ადამიანი წავიდა ევროპაში. პოლიტიკური თავშესაფარი ჰქონდა, თუ არ ვცდები, ავსტრიაში. წლების განმავლობაში არ ჩანდა და სირიის ფაქტების შემდეგ დაიწყო მისი გვარის ხსენება.“ — განაცხადა გომელაურმა.



# მაგდა პაპიძეს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს

**მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. დაახლოებით ორსაათ-ნახევრიანი მსჯელობის შემდეგ თორმეტივე ნაფიცმა მსაჯულმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძე როგორც ოჯახური დანაშაულის ჩადენაში, ასევე განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.**

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტს მოკლული **ომარ ქაფიაშვილის** ახლობლები და ოჯახის წევრები ტაშით შეხვდნენ. მაგდა პაპიძისთვის სასჯელის დანიშვნის სხდომა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე ჩატარდება.

მაგდა პაპიძეს 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება. სასჯელის ზომას, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის საფუძველზე მოსამართლე განსაზღვრავს. მაგდა პაპიძე მეუღლისა და შვილის მკვლელობის ბრალდებით 7 თვის წინათ დააკავეს. მას ბრალი 109-ე მუხლით წაუყენეს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პროკურატურის განცხადებით, დადასტურდა, რომ მაგდა პაპიძემ თავში უროს ჩარტყმით მოკლა მეუღლე და განზრახ გაგუდა არასრულწლოვანი შვილი

ირაკლი სესიაშვილი:

# გიგი წერეთელი იმ პოლიტიკური ძალის ლიდერია, რომელიც ქვეყანას აწამებდა

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი სესიაშვილმა სააგენტო „აიპრესთან“ იმ მიზეზზე ისაუბრა, რატომ არ უნდა იყოს ეუთოს ასამბლეის პრეზიდენტი გიგი წერეთელი. მისი თქმით, წერეთლის პრეზიდენტობა ხელს შეუშლის ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი წარმომადგენლები ეცდებიან, თავიანთი ვიწროპოლიტიკური ინტერესები დაიკმაყოფილონ და არჩევნები ისე შეაფასონ, როგორც სურთ.**

„გიგი წერეთელი და „ნაციონალური მოძრაობა“ ორიენტირებულია, რომ თავის ვიწრო პოლიტიკური ინტერესები გაატაროს, ამის მარტივი მაგალითია ვიზალიბერალიზაციის საკითხი. აქ სხვანაირად ჭიკჭიკებდნენ და იქ დადიოდნენ და ეხვეწებოდნენ, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ მისცეთ, თორემ დავიღუპებითო. დადიან საერთაშორისო ორგანიზაციებში და იტყუებიან ძალიან ბევრ რამეს და ცდილობენ, რომ საქართველოს შეტენონ პოლიტპატიმრები, შეტენონ ჩატაევი, შეტენონ ყველა საშინელება, რასთანაც პირნათელია ეს ქვეყანა.



ახლა მათ სურთ, რომ გიგი წერეთელს მხარი დავუჭირო და მერე ეუთო არჩევნებზე დამკვირვებელი რომ იქნება მისი თავმჯდომარეობით, გამოვა და იმის მცდელობა ექნებათ, რომ თავიანთი ვიწრო პოლიტიკურად ინტერესები დაიკმაყოფილონ და არჩევნები ისე შეაფასონ, როგორ მათ სჭირდებათ. თუ ამის მომხრეები ხართ კი ბატონო, დაუჭირეთ მხარი. „ნაციონალური მოძრაობა“ პირველ რიგში ფიქრობს საკუთარ ინტერესებზე და თუ სადმე სიაში შეიძლება ქვეყნის ინტერესები ჩაწერონ, ბოლოში, სადღაც „ჭ“ კლასში ხვდება ეს ინტერესები. მე ასეთ ძალასთან და მათ წარმომადგენელთან საერთო არ მექნება, ბოლოს და ბოლოს, გიგი წერეთელი იმ პოლიტიკური ძალის ლიდერია რომელიც ქვეყანას აწამებდა, ადამიანების უფლებებს ფეხქვეშ თელავდა, გინდათ, რომ ეუთოს ასეთი თავმჯდომარე გყავდეთ? მე არ მინდა“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილი.

ომარ ნიშნიანიძე:

# შემოდგომა «ნაციონალური მოძრაობის» პანაშვიდად იქცევა

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ომარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე “ნაციონალური მოძრობა” მაქსიმალურად შეეცდება, პროვოკაციები მოაწყოს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ “ნაციონალური მოძრაობა”შეეცდება ვითარება გაამწვავოს, ხელისუფლება მაინც შეძლებს არჩევნების ღირსეულად ჩატარებას.**

„არჩევნებზე, ბუნებრივია, იქნება დაძაბულობა. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფრის მკადრებელი ძალაა. ყველაფერს იკადრებენ იმისთვის, რომ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვის ქვეშ დადგეს. ისინი მოაწყობენ პროვოკაციებს, შესჩივლებენ თავიანთ პატრონებს დასავლეთში და კუდსაც გააქიცინებენ, — ჩვენ ვართ კარგები, პირველები და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია საქართველოს აშენება, როგორ შეიძლება საქართველო უჩვენოდ აშენდესო. ჩვენ რას ვაკეთებთ? ხელისუფლება იმიტომ არის ხელისუფლება და იმიტომ ჰყავს ძალოვანი სტრუქტურები, რომ წინა ხელისუფლების მსგავსად ადამიანები სატანჯველად და საწამებლად კი არ გამოიყენოს, არამედ წესრიგი დაამყაროს ამ ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენ დავიცავთ ამ წესრიგს და არჩევნებიც სტაბილურ ვითარებაში ჩატარდება“, — განაცხადა ნიშნიანიძემ.

შეკითხვაზე, რა იქნება უმრავლესობის ძირითადი მოწოდებები წინასაარჩევნოდ, ნიშნიანიძე ამბობს, რომ აქცენტი მეტწილად სოცლიალურ თემატიკაზე, გაჭირვებასა და უმუშევრობაზე გაკეთდება, თუმცა მისივე განცხადებით, უმრავლესობა მაქსიმალურად პრაგმატულად მოიქცევა და არ შექმნის ფუჭ მოლოდინს.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტო-თერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი-ნევროპათოლოგი-ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს-ნეფრიტს, გლომერულო-ნეფრიტს, ქრონიკულ ბუასილს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრონიკულ ქოლეცესტითს, ბ-ჰეპატიტს, პროსტატს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის ქისტას-ქისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრონიკულ ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის აშლილობა. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის შეკრულობა.

იური ბურდილაძე გადავიდა მშობლიურ რაჭაში, ქალაქ ონში და იქ აგრძელებს ფიტო-თერაპიულ მკურნალობას.

**ტელეფონი: 551-10-59-74.**
**მისამართი: ქ. ონი, მოედნის ქუჩა №20**



საქართველო და მსოფლიო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894